სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 13 მაისი 1999 №87 (860) | ფასი 1 ლარი

4 დიდი დათვალიერება

საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა იოჰან ბრესკამპმა კანდიდატები საქმეში იხილა

8 დიეგო ცისხეში

არგენტინელთა კერპს ჟურნალისტის დაჭრა არ აპატიეს

8 მეთოფეების მეორე გასროლა

ალან სმიტის გმირობის ამბავი

12 რატომ არ ხერხდება ლაციოს, მანჩესტერის ან თუნდაც ემპოლის საქართველოში ჩამოყვანა?

სპორტსმენობა საქართველოში ჯერაც სახიფათო პროფესიაა, არადა, ჩვენში უკვე რამდენიმე სადაზღვევო კომპანია საქმიანობს

ქართველებმა პირველი ტაიმი მოიგეს, პორტუგალიელებმა კი თამაში

გუშინ პორტუგალიის ქალაქ სეპრაში საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მეექვსე საკვალიფიკაციო ჯგუფის პირველი მატჩი გამართა ამ ქვეყნის ნაკრებთან და 14:17 დამარცხდა. არადა, ჩვენებურებს შეხვედრა კარგად დაუწყიათ და პირველ ტაიმში 8:6 უმარჯვიათ. მერე კი პორტუგალიელებს გამოულიათ ხელი და მატჩის ბედი ბოლო ექვს წუთში თავიანთ სასარგებლოდ გადაუწყვეტიათ.

ქართველი ხელბურთელები პორტუგალიელებს კვირას, 16 მაისს უმასპინძლებენ.

მეექვსე ჯგუფში გუშინ კიდევ ერთი შეხვედრა ჩატარდა. სლოვაკებმა 20:17 მოუგეს ლატვიელებს და პორტუგალიელებთან ერთად ცხრილის სათავეში მოექცნენ.

REUTERS მოსკოვიდან

იტალიური აქცენტი

უეფას თასი — პარმას, რეკორდი — იტალიას

UEFA CUP

გუშინ მოსკოვის „ლუჟნიკზე“ უეფას თასის ფინალში „პარმამ“ „მარსელი“ 3:0 გაანადგურა. ეს იტალიური კლუბების სარეკორდო, მეათე წარმატებაა ამ თასის ისტორიაში. ამდენჯერ ეს პრიზი არავის მოუგია — ინგლისელებმა ტურნირში ცხრაჯერ, ხოლო ესპანელებმა კი რვაჯერ გაიმარჯვეს.

მატჩის რეპორტაჟი იხილეთ მეორე გვერდზე

რა საერთო აქვს კოპალეიშვილს პიკასოსთან?



გვერდი კიბილაძის ფოტო

ვახტანგ კოპალეიშვილი

გაგვახარა და გაიხარა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა. ბოლო ხანს წარუმატებლობით გულდათუთქულ ქართველ ქომაგსაც მალამოსავით მოეცხო ჩვენებურთა გუშინწინდელი გამარჯვება და მათი ევროპის ჩემპიონატზე თამაში. ჭაბუკებმა კიდევ ერთხელ გვასახელეს. ევროპის ახალგაზრდულ თამაშებზე მოპოვებულ ოქროს, მათ ახალი, არანაკლებ მნიშვნელოვანი წარმატება დაუმატეს.

თავად განსაჯეთ, როგორი საქმეა, რას მიაღწიეს ჩვენმა 18-წლამდელებმა — ისინი ამ ზაფხულს, შვედეთში, მასპინძლთა და კონტინენტის კიდევ ექვსი საუკეთესო გუნდის მარაქაში გაერივნენ, რომელთაგანაც პირველი ხუთი 2 000 წლის 20 წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

ყველაფრის სულისჩამდგმელი, ჩვენი ესოდენ გახარებისა და უკეთესი ხვალინდელი დღის მომასწავებელი კი ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილია. კაცი, რომელიც ყველას ემადლიერება, თავისი შეგირდების დიდი იმედი აქვს და... ხსნისა და გამარჯვების სიმბოლოდ პიკასოსავით მტრედი აურჩევია.

ბათუმიდან დაბრუნებულ გამარჯვებულ-გახარებულ მწვრთნელს კი სულის მოთქმას აბა როგორ ვაცლიდით. ვახტანგ კოპალეიშვილიც უწინადებურად თავაზიანი გახლდათ, უარს რატომ გეტყვითო და ინტერვისთვის მოემზადა.

იხილეთ მესამე გვერდი

UEFA CUP

აი, რატომაა ფეხბურთი მეფე!

უეფას თასის ფინალი

REUTERS მოსკოვიდან

აბუბაქარ „ტიტი“ კამარამ ამაოდ ღვარა ოფლი „ლუჟნიკზე“

მოსკოვი
12 მაისი
23 საათი
ლუჟნიკი
61 000 მაყურებელი

პარმა 3:0 მარსელი

1:0 კრესპო (26), **2:0** ვანოლი (36), **3:0** კიეზა (55)

პარმა: ბუფონი, ტურამი, სენსინი, კანავარო, ვანოლი, ბოგოსიანი, ბაჯო, ფუზერი, ვერონი (ფიორე 77), კიეზა (ბალბო 73), კრესპო (ასპრილია 85)

მარსელი: პორატო, ბლონდო, ბლანი, დომორო, ედსონი (კამარა 46), ისა, ბრანდო, ბრავო, გურვენეკი, პირესი, მორისი

გაფრთხილება: ბლონდო

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

„პარმას“ რომ ვუყურებ, მგონია, თითქის ჩემი გუნდი სპორტის აბსოლუტურად სხვა სახეობას მისდევს. არ შეიძლება ორივეს თამაშს ფეხბურთი უწოდო“ — ასე აფასებდა „მარსელის“ მწვრთნელი როლან კურბისი უეფას თასის ფინალში თავის მოწინააღმდეგეს.

ეს სიტყვები „ლუჟნიკის“ სტადიონზე გამართულ მატჩამდე ერთი დღით ადრე თქვა ფრანგთა დამრიგებელმა. თვით ფინალმა კი ცხადყო, რომ კურბისი მეტოქეს ხოტბას ტყუილად არ ასხამდა. იტალიურმა გუნდმა ფრანგული თამაშის ყველა კომპონენტში დაჩაგრა. მართალია, „მარსელს“ ძირითადი შემადგენლობის ხუთი ფეხბურთელი აკლდა, მაგრამ ეს მაინც არ არის უსახური თამაშის გასამართლებელი საბუთი.

როგორც მოსალოდნელი იყო, „მარსელმა“ დაცვითი ტაქტიკა აირჩია, ალბათ, იმ იმედით, რომ როგორმე თავის კარს მშრალად შეინახავდა და მატჩისშემდგომი თერთმეტმეტრიანების სერიამდე მიაღწევდა. სასტარტო შემადგენლობაში კურბისმა ხუთი მცველი დააყენა. მარცხენა ფლანგი ბრაზილიელ ედსონს ჩაბარა, მარჯვენა კი ბლონდოს. დომორო და ისა „პარმას“ შეტევის მრისხანე ტანდემს კრესპოსა და კიეზას პერსონალურად მეურვეობდნენ, მსოფლიოს ჩემპიონ ლორან ბლანს კი თანაგუნდელების დაზღვევა ევალებოდა. ნახევარდაცვაში საყრდენებად ბრავო და ბრანდო მოქმედებდნენ, გამთამაშებლობა გურვენეკს დაეკისრა, წინ კი მორისი და პირესი იყვნენ, თუმცა პირესმა მალე დაიხია უკან და „მარსელი“ ერთი თავდამსხმელის იმედზე დარჩა.

„პარმამ“ კი შეხვედრა სამი მცველით დაიწყო — ტურამი, სენსინი და კანავარო სავსებით აუდიოდნენ მეტოქეთა უფხო შეტევებს. შუა ხაზში დინო ბაჯო, ფუზერი, ვანოლი, ბოგოსიანი და ვერონი თამაშობდნენ, წინ კრესპო და კიეზა.

თავიდან შეტევა „მარსელმა“ სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. იტალიელებმა ხუთიოდ წუთი აცალეს მეტოქეს და პრესინგიც დაიწყეს, რამაც მთლიანად მოშალა ფრანგების გუნდი. თუმცა მცირე ხნით მათ მაინც გაძლეს და პორატოს კართან სახიფათო მომენტები, კრესპოს მარცხნიდან საჯარიმოში შეჭრას და არაზუსტ დარტყმას თუ არ ჩავთვლით არც შექმნილა.

კურბისის გუნდი საქართველოს ნაკრების მსგავსად უტევდა. მორისისკენ მაღალ ბურთებს გზავნიდა და ისიც ტურამთან და კანავაროსთან ბრძოლაში ვერას ხდებოდა. „მარსელის“ მე-9 ნომერმა ფაქტობრივად ერთადერთხელ აჯობა მასზე მაღალ მცველებს, გურვენეკის პასის შემდეგ ბურთი თავით ტიტი კამარას დაუგდო, მაგრამ გვინეელმა ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ შეძლო ანგარშში სხვაობის შემცირება. დიახ, შემცირება, რადგან ეს მომენტი მეორე ტაიმში შეიქმნა და იმ დროისთვის „პარმა“ უკვე 3:0 იგებდა. ბუფონის კარში გოლის გატანის მეტნაკლებად ხელრიანი შესაძლებლობა ამის გარდა „მარსელს“ არც ჰქონია, რადგან იტალიელების დაცვა კედელივით გაუვალი იყო.

თუ „პარმა“ თავს სამი კაციათაც იოლად იცავდა, „მარსელს“ იგივე ხუთი მცველითაც არ გამოუვიდა. მეტიც, პირველი გოლი მოწინააღმდეგეს სწორედ დაცვის ბურჯმა და გუნდის კაპიტანმა ლორან ბლანმა აჩუქა. თუმცა კრესპოს დამსახურებაც არ უნდა დავაკნინოთ. იგი კიეზასთან ერთად მთელი მატჩის მანძილზე ატერორებდა მეტოქის უკანა ხაზს. 26-ე წუთზეც ბოლომდე მიჰყვა ბურთს და ბლანს შეცდომის დაშვება აიძულა. პორატოსთან პირისპირ დარჩენილმა კი აუღელვებლად გადაუგდო მას ბურთი თავზე და ანგარიშიც გახსნა.

ამის მერე თამაშის სადავეები პარმელების ხელში იყო. ისინი თავიანთი საჯარიმოს მისადგომებთან ელოდნენ მარსელელებს, ბურთის მოხელთების შემდეგ კი ზამბარასავით იშლებოდნენ, მოედანს ელვისუსწრაფესად გადადიოდნენ და...

36-ე წუთზე ლილიან ტურამმა მეტოქეს ბურთი მარჯვენა ფლანგზე აართვა და სწრაფად მიაწოდა დიეგო ფუზერს. მანაც საჯარიმოში ჩაწოდება არ დაანანა, იქ კი ვანოლიმ მარჯვედ დაჰკრა ბურთს თავი და პორატოს მეორედ გამოატანინა კარის ბადედან. ეს კი უკვე უეფას თასის დაუფლებას ნიშნავდა.

შესვენებაზე კურბისმა შეტევის გაძლიერება გადაწყვიტა და ედსონის ნაცვლად მინდორზე კამარა შეუშვა. მეორე ტაიმიც „მარსელის“ იერიშებით დაიწყო. თუმცა ამაოდ. ფრანგები ბურთს მეტოქეზე მეტ ხანს კი აკონტროლებდნენ (სათამაშო დროის 60% 40-ის წინააღმდეგ), მაგრამ მხოლოდ საჯარიმოს მისადგომებამდე თუ აღწევდნენ. აქ კი ბურთი იკარგებოდა და „პარმაც“ კონტრეშეტევებს ახორციელებდა.

ჯერ ტურამს, შემდეგ კი კიეზას მესამე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ვერ ივარგეს.

გოლი მაინც გავიდა. 56-ე წუთზე ტურამი, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო მშვენივრად მოთამაშე პარმელებს შორის, რამდენიმე მარსელელს ოსტატურად გასცდა და მარჯვენა ფლანგზე ვერონს მიაწოდა, მან თავის მხრივ, საჯარიმოში ჩააწოდა, კრესპომ ბურთი ლამაზად გაატარა და მისმა მეწყვილე კიეზამ შეუჩერებლივ უძლიერესად დაარტყა. ბურთი მეკარისგან მარცხენა ცხრიანში შეფრინდა. მეტად ეფექტური გოლი იყო.

ამის მერე თამაშის ხალისი ორივე გუნდმა დაკარგა და მატჩის ჩამთავრებასღა ელოდა. თუმცა შეცვლაზე გასულმა ბალბომ, იქნებ მეც გავიტანოო, დაახლოებით 30 მეტრიდან მშვენივრად დაარტყა საჯარიმო. ბურთი ძელმა აისხლიტა და ცარიელ კართან მდგომ ვანოლის მიუვიდა, მან კი აშკარად კაცომოყვარეობა გამოიჩინა და მეტოქე სასტიკად გასანადგურებლად „აღარ გაიმეტა“ — მისი დარტყმის შემდეგ ბურთი პორატოს კარს გადასცდა.

3:0, „პარმამ“ უეფას თასის ფინალში ისეთივე ანგარიშით გაიმარჯვა, როგორითაც შარშან „ინტერმა“ „ლაციოს“ მოუგო. მალეზანის გაწვრთნილმა გუნდმა დამტკიცა, რომ იტალიის ჩემპიონატში მოთამაშე კლუბები ფრანგულებზე ძლიერები არიან.

90-იანი წლების დამლევს ევროპული გრანდების მარაქაში გარეულმა „პარმამ“ მესამედ იმარჯვა ევროტურნირის ფინალში და მოსკოვში ჩაყოლილი 800 ერთგული ქომაგი, ისევე, როგორც ყველა დანარჩენი გულშემატკივარი, მშვენიერი, ლამაზი, გამართული, ლაღი თამაშით გაახარა.

სწორედ ასეთი გუნდები და ასეთი მატჩები რომ არსებობს, იმიტომაა ფეხბურთი სპორტის მეფე.

გაიოზ თალაძვაძე

REUTERS მოსკოვიდან

„პარმას“ არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მინდორზე

პრესკონფერენცია

როლან კურბისი, „მარსელის“ მწვრთნელი:

— აბა, რა გითხრათ? შედეგმა დაგვაღონა და ძალიან გაგვანაწყენა. ველოდით, რომ ძნელი თამაში იქნებოდა და ასეც მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ ძნელი გამოდგა ჩვენთვის და არა მეტოქისთვის...

— პირველმა გოლმა, ჩემის აზრით, დიდი გავლენა იქონია მატჩის შედეგზე. ბლანს შეცდომა რომ არ მოსვლოდა და დასანანი გოლი არ მიგვეღო, ვფიქრობ, შედეგი სხვა იქნებოდა, თუმცა ახლა რაღა დროს ესაა...

— მოედანზე გუნდი მთლიანი შემადგენლობით კი თამაშობდა, მაგრამ „მარსელს“ მეტოქესთან შედარებით თუნდაც ერთი ფეხბურთელით მეტი რომც ჰყოლოდა, „პარმასთან“ ვერაფერს გახდებოდა. მესამე გოლის შემდეგ ჩვენი თამაში საერთოდ საშინელება იყო...

— უამრავი შანსიდან ვერცერთი გამოვიყენეთ. მარცხი ძირითადად სწორედ ამან განაპირობა...

ალბერტო მალეზანი, „პარმას“ მწვრთნელი:

— გეტყვით გამარჯვების საიდუმლოს — „პარმა“ დღესდღეობით გაცილებით უკეთესი გუნდია, ვიდრე „მარსელი“. ეს არის და ეს. „პარმა“ ყოველმხრივ კარგია, ფეხბურთელებიდან დაწყებული მწვრთნელებით დამთავრებული...

— გამარჯვებამ ძალიან გამახარა. იტალიის თასის მოგების შემდეგ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ უეფას თასსაც მოვიგებდით. სასიხარულოა, გულისწადილი რომ ავისრულეთ. ახლა მომავალი სეზონისთვის უკეთესად მოვემზადებით...

— რთული თამაში იყო. პირველმა გოლმა, რომელიც ფაქტობრივად მეტოქემ გვაჩუქა, ფრთები შეგვასხა. მერე ჩვენი შეჩერება შეუძლებელი იყო...

— „პარმას“ დღევანდელ შემადგენლობას ძალუძს უმაღლესი მიზნებისთვის ბრძოლა. მჯერა, მომავალ სეზონში მეტს მივაღწევთ...

ერნან კრესპო, „პარმას“ არგენტინელი თავდამსხმელი:

— ვთვლი, რომ მიმდინარე სეზონში ამაზე მნიშვნელოვანი ბურთი არ გამიტანია. ჩემმა გოლმა ხომ გუნდის გამარჯვება განაპირობა...

— უეფას თასს რომ მოვიგებდით, დარწმუნებულნი ვიყავით, მაგრამ მაინც ვფრთხილობდით. არ გვსურდა გაუთვალისწინებელი რამ მომხდარიყო...

ლილიან ტურამი, „პარმას“ ფრანგი მცველი:

— დღევანდელმა თამაშმა გაცილებით დამძალა ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალმა. ვერ გეტყვით რატომ, მაგრამ დღეს უფრო ენერვიულობდი ვიდრე მაშინ...

— გამარჯვება ცხადია სასიხარულოა, მაგრამ ორმაგად გასახარია სეზონს ასე შესანიშნავად რომ ასრულებ — ჩვენ ხომ იტალიის თასიც მოვიგეთ.

მატჩის სტენოგრამა

2 წუთი: ენრიკო კიეზას გარღვევას მარსელელები ადვილად შლიან.

6 წუთი: დაახლოებით 20 მეტიდან პატრიკ ბლონდომ ძლიერად დაარტყა, თუმცა ჯანლუიჯი ბუფონი ბურთს ადვილად დაეუფლა.

10 წუთი: ხუან სებასტიან ვერონმა საჯარიმო დარტყმიდან ბურთი ძლიერად დაარტყა. მეკარე სტეფან პორატო ბურთს ადვილად დაეუფლა.

15 წუთი: პირველი სახიფათო მომენტი ერნან კრესპოს ეძლევა, მაგრამ არგენტინელი თავდამსხმელი შანსს ვერ იყენებს.

24 წუთი: ნესტორ სენსინიმ რობერტ პირესი საჯარიმოს მისადგომებთან დასცა, მაგრამ გურვენეკის დარტყმული ბურთი ცოცხალ კედელს მოხვდა.

26 წუთი: 1:0 — ფრანგთა კაპიტანი ლორან ბლანი უხეშად შეცდა, ბურთი მეკარეს ვერ მიაწოდა და წამოპარულმა ერნან კრესპომაც წინ გამოსულ პორატოს ბურთი თავზე გადაუგდო და გუნდის გამარჯვებას დაუდო სათავე.

28 წუთი: ფუზერი მარჯვენა ფრთიდან კუთხურს აწოდებს. ვერონის დარტყმულ ბურთს პორატო ეუფლება.

35 წუთი: 2:0 — ლილიან ტურამმა ბოლომდე იბრძოლა და მარჯვენა ფლანგზე გაჭრილ დიეგო ფუზერს ბურთი მიაწოდა. ამ უკანასკნელმა თავის მხრივ საჯარიმოში ჩააწოდა, იქ კი პაოლო ვანოლიმ უძლიერესი თავური დარტყმით უპირატესობა გაზარდა.

40 წუთი: კრესპოს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ორატომ აჯობა.

52 წუთი: კიეზა ფლანგურ გარღვევას უძლიერესი დარტყმით ასრულებს, თუმცა ბურთი სანტიმეტრებით სცდება „მარსელის“ კარს.

55 წუთი: 3:0 — კვლავ ტურამი თამაშობს შესანიშნავად. შეტევას ვერონი აგრძელებს, რომლის მიერ საჯარიმოში ჩაწოდებულ ბურთს კრესპო მახვილგონივრულად ატარებს და ენრიკო კიეზა უძლიერესი დარტყმითა და ულამაზესი გოლით მესამე გოლს იტანს.

61 წუთი: რობერტ პირესის შორეულ დარტყმას ბუფონი იგერიებს.

66 წუთი: ლორან ბლანის საჯარიმო დარტყმის შემდეგ ბურთი ცოცხალ კედელს გამოაქვს.

79 წუთი: აბელ ბალბოს ცოტა დააკლდა მეოთხე გოლის გასატანად — მის მიერ შესრულებული საჯარიმო დარტყმიდან ბურთი კარის ძელს ხვდება. ვანოლი დამატებით დარტყმას აცდენს.

რა საერთო აქვს კოპალეიშვილს პიკასოსთან?

დასაწყისი პირველ გვერდზე

— ალალად გვიპასუხეთ, ელოდით ასეთ წარმატებას?

— უიმედოდ ნამდვილად არ ვყოფილვარ. ვიცოდი, ჩეხების სახით ძალიან ძლიერ მეტოქესთან გვექნებოდა საქმე, მაგრამ იმასაც ვგრძნობდი, სწორი ფეხბურთის თამაშის, ბრძოლისა და მონდომების შემთხვევაში ისინი ჩვენთვის უძლეველნი არ იქნებოდნენ. საბედნიეროდ, ზოგიერთი ხარვეზის ჩაუთვლელად, ბიჭებმა დავალება კარგად შეასრულეს და აგერ, შედეგიც.

— მთავარი მაინც რა იყო? რის ხარჯზე გაიმარჯვეთ?

-- სისწრაფე, ტექნიკა, მონდომება და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია — მართებული აზროვნება. გარდა ამისა, ბიჭების ერთმანეთისადმი დიდმა მეგობრობამ, სიყვარულმა გაგვამარჯვებინა. მიმაჩნია, ეს გუნდი დღეს საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

— მერე ამას გაფრთხილება უნდა. უკვე საკმაო ავტორიტეტიც შეიქმენით. წინ კი ევროპის ჩემპიონატია. ხომ არ გვაფიქრებინებთ, ეს წარმატება შემთხვევითი იყოო?

— არა, რას ამბობთ. ვითამაშებთ შვედეთში და დარწმუნდებით, ყველაფერი ლოგიკურია გახლდათ. მჯერა, თავს არ შევირცხვენთ, როგორი ფეხბურთიც გვჩვევია, ისეთს ვითამაშებთ, არავის დავეჩაგვრინებით, აუგს არავის ვათქმევინებთ, არავის არაფერს დავუთმობთ. ევროპის ჩემპიონატზე ჩვენ გასამარჯვებლად წავალთ, უკიდურეს შემთხვევაში იქიდან მსოფლიოს რჩეულ გუნდთა შორის მოსახვედრად.

— დღევანდელ ფეხბურთელთა კონტინგენტი საამისოდ საკმარისია?

-- ივლისამდე, ჩემპიონატის დაწყებამდე, თითქმის ორი თვეა დარჩენილი, კარგად მოვემზადებით, რამდენიმე საწვრთნელ მატჩსაც გავმართავთ და... ამ შემადგენლობით ოთხგუნდიან ჯგუფიდან გასვლა სრულიად შესაძლებელი მგონია. ჯგუფში პირველობის შემდეგ კი ჩემპიონობამდე ერთი ნაბიჯიღაა. ევროპის ჩემპიონატისთვის იმ ფეხბურთელებს შევარჩევ, ვინც იმ დროისთვის საუკეთესო ფორმაში იქნება. შემთხვევით ჩემს გუნდში ვერავინ მოხვდება, ჩემთან პროტექცია არ ჭრის, ყველაფერი დამსახურებისამებრ — ასეთია ვახტანგ კოპალეიშვილის პრინციპი. ჩემპიონატამდე დარჩენილ დროში კი, ალბათ, იმდენ ფეხბურთელს მაინც მოვძებნი, ორი გუნდი რომ დაკომპლექტდეს, ნიჭიერ ბავშვებს რა დალევს. მერე ამათგან ავარჩევ. კონკურენციაზე კარგი წამალი ხომ არაფერია.

— მართალს ბრძანებთ. ახლა კი უშუალოდ ჩეხებთან მატჩებზე ვთქვათ. თითოეული სათამაშო რგოლი შეფასეთ. მეკარე ბათიაშვილით დავიწყოთ.

— ზურაბ ბათიაშვილი გუნდის სული და გულია, კაპიტანი. გუნდი მის იმედზეა. მათ იციან, ზურგს საიმედო მეკარე უმაგრებთ, ეს კი ძალიან მნიშვნელოვანია. მან ბათუმში უკეთ ითამაშა, ვიდრე ოპავაში.

— კი მაგრამ, ზურა „დინამოში“ ძირითადად სათადარიგოა. როგორ გარისკეთ, უთამაშებელ მეკარეს როგორ ენდეთ?

— მისი ნიჭიერებისა მჯეროდა. აკი

ბაბრი კეთილაძის ფოტო

საქართველოს ნაკრების მცველი ედიკ საჯაია და თავდამსხმელი ლაშა ჯაკობია (№10)

გამიმართლა კიდეც. დაამტკიცა, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი დაკარგვა საცოდაობა იქნება.

— დაცვაზე რას იტყვით?

— ორ თამაშში სამი ბურთის გაშვება ბევრია. თუმცა, როცა ოპავის მატჩისთვის ვემზადებოდით, მცველები ნორმალურად გამოიყურებოდნენ, ზარბრიუკენის ნაკრებთანაც კარგად ითამაშეს, ძლიერ გერმანელებს გოლი არ გაატანინეს. ან, ჩეხებთან პირველი მატჩისას კი ერთმანეთის დაზღვევა, გადაადგილება გაუჭირდათ. გაცილებით უკეთ ითამაშეს მათ, ვისაც მეტოქის თავდამსხმელთა პერსონალური მეურვეობა დავავალე. ამ ხერხმა გაამართლა, ფაქტობრივად, ოპავაშიც და ბათუმშიც მეტოქის ფორვარდები გათიშულები იყვნენ. საჯაიამ კი ბათუმში ბაროში ისე გაამწარა, რომ მსაჯმა სტუმარს სრულიად სამართლიანად მინდორი დაატოვებინა. ყველაფრის მიუხედავად, საპრეტენზიო ბევრი არაფერი მაქვს. ხიზანიშვილი, აბრამიძე, საჯაია, ხიზანეიშვილი, დევიძე, მუჯირი — ყველანი მადლობელი ვარ. ხიზანიშვილი კი, ნოდარის ვაჟი... ძალიან მსურს, მან დიდი ფეხბურთი ითამაშოს. ნაკრების შემდეგ სადაც წავალ, მასაც ჩემთან წავიყვან. მისი სახით საქართველოს ძლიერი მცველი ეზრდება.

— ნახევარდაცვის ჯერია.

— ყველაზე მეტი პრობლემა სწორედ შუა ხაზში გვქონდა. იმ ფეხბურთს არ თამაშობდნენ, როგორიც მსურს. პასს ხშირად აყოვნებდნენ, რის გამოც მეტოქე ასწრებდათ. არადა, დღევანდელ ფეხბურთში წამის მეასედის მოგება, ბევრს ნიშნავს. სწრაფი აზროვნება და პასი, აი, ამას მოვითხოვ. ნახევარმცველებს ერთი შეხებით თამაში უჭირთ. ნახევარდაცვა გუნდის ხერხემალია. ის თუ ძლიერია, მორჩა, შენი მოგები არავინაა. დიღმელაშვილი, ნოზაძე, გველესიანი, კორლალიძე, მენთეშაშვილი, გაგუა უდავოდ პერსპექტიული ბიჭები არიან, მაგრამ გუნდური თამაში უნდა ისწავლონ, პირველ ყოვლისა კი ამ პრობლემის გამოსასწორებლად კლუბების მწვრთნელებმა უნდა იმუშაონ.

— და თავდასხმა და ჯაკობია.

— მართლაც, თქვენი თქმისა არ იყოს, არ მინდოდა, ვინმე გამომეყო, მაგრამ აბა, ჯაკობიაზე უთქმელობა როგორ შეიძლება? გუნდის ნამდვილი ლიდერია, კარგი ბიჭი, ყველასათვის საყვარელი, ფაქტობრივად, ჩვენი ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრაც ოპავაში გატანილმა მისმა ორმა ბრწყინვალე გოლმა გადაწყვიტა. არ ვიცი, მასზე კარგის მეტი რა უნდა ვთქვა. მიუხედავად იმისა, რომ საზარდულები აწუხებს, თავდაუზოგავად, ვაჟკაცურად თამაშობდა. ძალიან პერსპექტიული თავდამსხმელია იმედაძე, თუმცა მას პასის სწავლა მართებს, ბურთს ზედმეტად იჭერს-ხოლმე. დარწმუნებული ვარ, იგი ამ ნაკლსაც მალე გამოასწორებს და კარგ ფორვარდად გაიზრდება, ისევე როგორც მიქაძე, აფხაზავა, რომანაძე...

— მთლიანად გუნდის ნაკლი რა არის?

— სათამაშო პრაქტიკის უქონლობა, შეუთამაშებლობა. მგონი, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები მსოფლიოში ერთადერთი გუნდია, რომელსაც შეკრებების წინ საგანგებო ტესტირება, საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმება არ გაუვლია. აი, ეს არის, რაც გვაკლია, თუმცა ფეხბურთის ფედერაციის დიდი იმედი მაქვს. ისინი აუცილებლად დაგვეხმარებიან.

— როდის დარწმუნდით, რომ ევროპის ჩემპიონატის მონაწილენი იყავით?

— ბათუმში, როცა მსაჯმა ბოლოჯერ ჩასტვინა. მაშინ ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო. მართალია, მატჩის ბოლოს ჩვენმა ბიჭებმა ძალიან კარგად ითამაშეს, მაგრამ ფეხბურთში ხომ ყოველწამსაა ყველაფერი მოსალოდნელი. ბოლო წუთზე რომ გოლი გაგვეშვა, ღმერთმა იცის, რა მოხდებოდა.

— როდის შეგეშინდათ? როდის დაეჭვდით საბოლოო გამარჯვებაში?

— როცა ჩეხებმა ანგარიში გაგვითანაბრეს, გულში რამ აღარ გამკრა. იმ დროს ბიჭები დაიბნენ, დაცვაში შეცდომები მრავლად დაუშვეს, ერთი სული მქონდა, ტრიბუნიდან როდის დამთავრდებოდა, დასვენება. მთლიანად ფსიქოლოგიურად - დაბეშაევი, ყველა აუცილებელი. ბედად ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მეორე ტაიმამდე გავძელით. მერე კი ჯაკობიას იმედაძე შეეცვალა მეტოქის მცველების დასაფრთხობად, თამაშიც დალაგდა, ნელ-ნელა ბიჭებმა თავიანთი ძალისაც ირწმუნეს. უფრო შემართულებმა გააგრძელეს მატჩი.

— ამ კითხვაზეც ალალად გვიპასუხეთ. ბათუმში მოსაგებად თამაშობდით? ჩვენს ჭაბუკებს ხომ ორნაირი ფრეც ხელს აძლევდათ?

— მოსაგებად ვთამაშობდით და ამიტომაც ვუტევდით. შეგვეძლო მეორე ტაიმში ანგარიშის შენარჩუნებისთვის ბრძოლა, მაგრამ ხომ იცით, საუკეთესო თავდაცვა, თავდასხმაო. ჩვენ რომ ყრუ დაცვითი ფეხბურთი გვეთამაშა, ვინძლო ასე არ გაგვეხარა და პირიქით, ევროპის ჩემპიონატზე ჩეხები გასულიყვნენ.

— მსაჯობაზე რა აზრის ხართ?

— კმაყოფილი ვარ. საპრეტენზიო არაფერი მაქვს. ოპავაშიც და ბათუმშიც ნორმალურად იმსაჯეს. თუმცა კი ოპავაში, ბელარუსს არბიტრს, გუშინწინ ბულგარელი კოლეგისგან განსხვავებით მეტი სიმკაცრე უნდა გამოეჩინა. წარმოიდგინეთ, სტუმრად როგორ უხეშობდნენ ჩეხები და შინ რას იზამდნენ. ისე კი ვისურვებდი ჩვენებურთა ყველა მატჩი ბათუმის, თუნდაც ოპავის მატჩების მსგავსად ემსაჯოთ.

— ბოლოსკენ ესეც მინდა გკითხოთ. ზემოთ რამდენჯერმე იხმარეთ სიტყვა „ნიჭიერი“, კარგი თაობა იზრდებაო. ასეთი კი საქართველოში ყოველთვის ყოფილა. 18 წლამდე მართლაც, თითქმის ყველა ნიჭიერია, თუმცა მერე და მერე ნიჭი სადღაც ქრება. თქვენს დღევანდელ შეგირდებზე რას იტყვით. ეგენ, მათაც ზოგ-ზოგიერთებივით ქებამ აწყინოთ, თავში აუვარდეთ?

— ეგრეა, გეთანხმებით. ფეხბურთელებთან ჩემი ურთიერთობა სწორედ ამით იწყება, როგორც შემიძლია მათზე ფსიქოლოგიურად ვმოქმედებ, ყოველთვის ერთსა და იმავეს ვუჩიჩინებ — გიყვარდეთ შრომა, ნუ იზარმაცებთ, საკუთარ თავზე ზედმეტ წარმოდგენას ნუ შეიქმნით-მეთქი. დღეს, იმას რომ ფეხბურთელმა თავის პოტენციალ ბოლომდე ვერ გამოავლინა, ზოგი ჟურნალისტებს გაბრალებთ. მე სხვანაირად ვფიქრობ, დამნაშავე ფეხბურთელის წრეა, მეგობრები, მშობლები, მწვრთნელები, ერთხელ რომ ეტყვიან მაგარი ხარო, მეორედ, მესამედ... მეასედ, თავში აუვარდება, ქედმაღლობას დაიწყებს. ყველაფერში ზომა-წონაა საჭირო, ზედმეტი არაფერი ვარგა.

ჩემს შეგირდებზე კი ერთის თქმა შემიძლია, დარწმუნებული ვარ დღევანდელი გუნდიდან 6-7 დიდ ფეხბურთს ითამაშებს. რა უნდა მოხდეს, ამათ რამე თავში აუვარდეთ? არა მგონია, ესენი დაიკარგონ. სხვანაირი პიროვნებები არიან. ეს მათ შორის ურთიერთობიდანაც იგრძნობა. იშვიათია ასეთი მეგობრული გუნდი.

— ამის რა სჯობს. ჩვენც ეგ გვინდა. ახლა კი, ის გვითხარით, რაც ადრე დაგვიმალეთ, მატჩის შემდეგ იყოსო, გახსოვთ? ჩეხებთან საპასუხო მატჩის ადგილად ბათუმი რატომ აირჩიეთ? მაშინვე თქვით, მორწმუნე კაცი ვარ, ყველაფერი გავითვალისწინეო.

— როცა ლანჩხუთის „გურიაში“ ვთამაშობდი, საბჭოთა კავშირის უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად ბოლო მატჩი ბათუმში ჩავატარეთ და თავსხმა წვიმაში გავიმარჯვეთ. მას შემდეგ დამამახსოვრდა ბათუმის სტადიონი და რატომღაც, ქვეცნობიერად მუდამ მწამდა, ჩემთვის იღბლიანი სტადიონი რომ არის. გარდა ამისა, ჩემი თილისმა მტრედია, ნუ გაიკვირვებთ, სიყვარულის, მშვიდობის, სიკეთის სიმბოლოსიც მწამდა. ბათუმში კი ხომ უამრავი მტრედია?!

და კიდევ, „სარბიელის“ საშუალებით დიდი მადლობა ყველას, ვისი დახმარებითაც ასეთ წარმატებას მივაღწიეთ. სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი, ჩემი თანაშემწეები, თბილისის „დინამო“ და „ლოკომოტივის“ მწვრთნელი... გმადლობთ.

ჩვენც მადლობები ვართ თქვენი და თქვენი გუნდისა ბატონო ვახტანგ. მართლაც ძალიან გავეხარეთ.

კოტა ინასარიძე

THE IRISH TIMES

გუშინწინდელი ირლანდია — ჩრდილოეთ ირლანდია: მასპინძელი რიკი ბეიკერი (№7) ტერი მაკფლინს ბურთს ართმევს

ევროპის ოვრამეტნლამდელთა ჩემპიონატი
მეორე შესარჩევი ეტაპი

UNDER-18 Championship

საფრანგეთი 1:2 ხორვატია

პირველი მატჩი 4:0

10 ჯენე (6), 11 დელჩი (23), 12 აბრამოვჩი (54)

ნორვეგია 1:1 ესპანეთი

პირველი მატჩი 0:0

1:0 ჰოლმი (66), 1:1 აგანიო მენდესი (67)

ესპანეთი: კახილას ფერნანდესი, პატო ბერნალი, დელპორნო კოსგაია, გარსია ჰარო, კამაჩო ბარნოლა, გალარდი ლეონი, სოუზა ფრანკუელო, აგანსო მენდესი (მუნიოს ლომპარტი 78), როსას მონტერო (გონსალეს ნავასი 89), მატეუ გონსალესი (სანტამარია გონსალესი 64)

ირლანდია 2:1 ჩრდ. ირლანდია

პირველი მატჩი 4:2

0:1 ჰამილტონი (25), 1:1 კროსლი (26), 2:1 დოჰერტი (67)

ირლანდია: დილეინი, ჰილი, კ. დოჰერტი, გევინი, მერფი, კროსლი, ოგრეიდი, მილერი, ბეიკერი, გ. დოჰერტი, ფიცპატრიკი (ბარეტი 83)

იტალია 0:1 ჰოლანდია

პირველი მატჩი 1:0

პენალტებით 5:4

0:1 იანსენი (42)

პენალტები გაიტანეს: კოლუჩი, რინალდინი, ოლივი, ლაცარო, მარესკა

იტალია: ლეოპიცი, კახელი, ფისონი, ფაბრისი, ლაცერი, როსეტი (ოლიო 87), რინალდინი, მალესკა, გნაფიეიდი (ლაცარო 80), კოლუჩი, სგრინა (ბლასი 68)

საბერძნეთი 1:0 შოტლანდია

პირველი მატჩი 0:0

1:0 პასიოსი (20)

საბერძნეთი: პაპადოპულოსი, ხარალაბაკისი, ხოლიანოპულოსი, პელტეკიდისი, ნასტოსი, ვენეტისი, იორდანიდისი (სოტირიადისი 90), პასიოსი, გკოგკასი (ტარალიდისი 53), ვაკუფცისი (კონტოგულიდისი 77), სიიბანისი

პოსნია — პორტუგალია

წუხელ გაიმართა

პირველი მატჩი 1:2

დუბლი №1

თბილისი
12 მაისი
18.07 საათი
ეროვნული
8 000 (ტევადობა 75 000)

საქართველო 3:5 დინამო

1:0 ხომერიკი (17), 1:1 ალექსიძე (30), 2:1 ხომერიკი (32), 2:2 კიკნაძე (43), 2:3 ჯინჭარაძე (45), 2:4 კიკნაძე (69), 3:4 ჭანტურიძე (73), 3:5 კიკნაძე (85)

საქართველო: ლომაია (ჭანტურია 28), ახვლედიანი, ნიკოლეიშვილი (ი. საჯაია 68), სიჭინავა, ჭიჭვეიშვილი, ტრაპაიძე, მ. აფციაური, ვ. მაისურაძე, ზირაქიშვილი, იმედაძე (ჭანტურიძე 65), ხომერიკი (ვ. გოჩაშვილი 46)

დინამო: გვარამაძე, ლ. მიქაძე, ვაშაკიძე, დიდავა, მ. მაჭავარიანი, ა. სახვაძე (თ. აფციაური 85), პ. ჯინჭარაძე (ბურდული 79), გუჩუა, კიკნაძე (გოცირიძე 87), ალექსიძე, აშვეთია (ლ. მელქაძე 84)

გაფრთხილება: მ. აფციაური (12), გუჩუა (76)

გაძევება: მ. აფციაური (79), გუჩუა (79)

მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ზ. დოლიძე (თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); ა. სამხარაძე (სოხუმი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ცანავა

კლუბების ნაკრების კარს რატი ალექსიძე (№8) ემუქრება

ვახტანგ ბზიკაძე

კარგი რეჟისორის ფილმს მონტაჟის მერე ამ ფილმში გადაღებული მსახიობებიც ძნელად ცნობენ. რეჟისორი გადაღებულ მასალას საკუთარი გემოვნების და მრწამსის კვალობაზე ალაგებს. ზედმეტს გვერდზე გადადებს, ვარგისს კი ერთმანეთს ისე წააბამს, როგორც ეს მხოლოდ მას შეუძლია.

გუშინ ეროვნული სტადიონი ერთ დიდ პავილიონს წააგავდა. იქ დიდძალი ხალხი ირეოდა, დამსწრეთათვის ბევრ ნაცნობ-უცნობი. ოღონდ გუშინდელი დღე უფრო დათვალიერებისა იყო. თითქმის თითოეულ როლზე არაერთი გამოიცადა. ახლა რეჟისორზეა, ვის აარჩევს, ვის დაიწუნებს, ვის რა ადგილს მოარგებს და გამოუნახავს.

არა, გუშინ მართლა დიდი დათვალიერება მოეწყო. ერთი მეგაფონით არ დარბოდა ადგილობრივი ინფორმატორი, თორემ ამდენ ჭრელა-ჭრულაში დაბნეულები მის ლაპარაკს ყურს ძვირად ათხოვებდნენ. არადა, დიქტორი დაუღალავად იმეორებდა: დღეანდელი აქციის ორგანიზატორი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაა, აქცია საქველმოქმედოა, მონაწილენი საქართველოს კლუბების ნაკრები, „დინამოს“ ბაზაზე დაფუძნებული ოლიმპიური ნაკრები და სხვები არიანო. ერთი სიტყვით, ცალკე ნანახი აუბნევდა კაცს თავგზას და ცალკე გაგონილი, მერე კიდევ ამდენი სამადლობელი სიტყვა...

არადა, საქმე მართლაც კარგი გაკეთდა. გუშინდელი მატჩების შემოსავალი აფხაზეთიდან დევნილთა დასაზმარებლად შეიგულეს. ჯერჯერობით უცნობია, სტადიონზე მოხვედრილთაგან რამდენმა შეიძინა ბილეთი, ანუ რამდენი შეეშველა დევნილებს, თუმცა, რაც იქნება, ესეც საქმეა.

გუშინ ორ კურდღელს დავედევნეთ, რამდენი დავიჭირეთ, დრო გვიჩვენებს. ახლა კი ერთის თქმა შეიძლება, საწვრთნელი მატჩების ასე პომპეზურად ჩატარება, ცოტა არ იყოს, გადამეტებულია.

მატჩს, საწვრთნელის პირობაზე, არა უშავდა. თავის გამოჩენას უკლებლივ ყველა ცდილობდა და მწვრთნელი რას იტყვის, სხვა საქმეა, საკუთარი თავის უკმაყოფილო ცოტა თუ უნდა დარჩენილიყო.

გუშინდელი მატჩი უნიკალური გახლდათ — ორივე გუნდის მწვრთნელი იოჰან ბოსკამპი იყო. ეს ფაქტობრივად, მაგრამ არა — ოფიციალურად, რადგან მატჩის ოქმში მისი გვარ-სახელი არც ერთი გუნდის მხარეს მოიხსენიებოდა.

ნაკრების ბოსკამპს, „დინამოს“ ბოსკამპთან შედარებით, არცთუ სახარბიელო სიტუაცია ჰქონდა. მის შინდისფერ გუნდს არც სრულფასოვანი შეკრება გაუვლია, შემადგენლობაც გვარიანად შეთხელებული ჰყავდა — რამდენიმე ფეხბურთელი საქმეში ტრავმების გამო ვერ იხილა. თუმცა კი მის საქართველოში ჩამოსვლას ხელი ყველასთვის დაუტკბია, ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი დინამოელთა ფანმაშესას გახლავთ. მატჩის პრეზიდენტი ალუნერ ... ბაზეზე სერიოზულად მსჯელობა ამ შეთხვევაში ალბათ უადგილოა. სამაგიეროდ, ზოგადი დასკვნების გამოტანა შეიძლება.

გუშინ ორივე გუნდი დაახლოებით ერთნაირი ტაქტიკური სქემით თამაშობდა, 4 მცველით, ამდენივე ნახევარმცველითა და ორ-ორი თავდამსხმელით. საქართველოს კლუბების ნაკრების და „დინამოს“ დაცვა ხაზზე განლაგებულიყო — ჩავთვალოთ, ამდენი გოლიც ძირითადად ამ „ახალი ხილის“ შედეგია. ხაზზე თამაშს ხომ ვითომ არც ერთი ლიბერო, ამ დროს კი დაზღვევაზე ლიბეროსავით კარგად მოთამაშე ოთხი მცველი სჭირდება.

გუშინ ორივე გუნდი საკმაოდ სწრაფად, შესამჩნევად რაციონალურად თამაშობდა. ასე განსაკუთრ, კლუბების ნაკრები ბევრჯერ კი დაჯარიმდა, მაგრამ მოედნის საკუთარ ნახევარზე პირველ ტაიმში სულ ორჯერ. ქართულ ფეხბურთზე თვალშეჩვეულ კაცს ებევრებოდა გრძელი, მაგრამ ზუსტი გადაცემები, ბურთის ფლანგიდან ფლანგზე გადატანაც. ერთი სიტყვით, თანამედროვე ფეხბურთის უმარტივესი, მაგრამ ჩვენთვის პრობლემადქცეული ელემენტები გუშინდელ მატჩში საკმაოდ უხვად ჩანდა.

მოთამაშეთაგან განსაკუთრებით „დინამოს“ ლიდერები — ალექსიძე და კიკნაძე გამოირჩნენ, ნაკრებიდან კი ტრაპაიძე და ზირაქიშვილი. ისე, ორი გოლის გამტან ხომერიკსაც არა უშავდა, მაგრამ პირველივე წუთზე აბვლედიანის გრძელი პასის გამოუყენებლობით თავიდანვე გული გაუტეხა მაყურებელს.

დათვალიერება შედგა. ეს ძალიან კარგია. უფრო მეტიც, სანამ საჭიროა, ასეთი რამ უნდა განმეორდეს. ოღონდ არა იმ სიხშირით, ყველა მეტ-ნაკლებად გამორჩეულმა ფეხბურთელმა რომ გამოსცადოს ნაკრებში თავი. ამით გუშინდელი ღონისძიების მნიშვნელობა გაუფასურდება და მეტს ცუდ სამსახურს გაუწევს, ვიდრე სტიმულად გამოადგება.

ახლა სიტყვა რეჟისორზეა. იოჰან ბოსკამპმა ნანახთაგან საუკეთესონი უშეცდომოდ უნდა აარჩიოს. მერე კი ახალი პრობლემა ექნება გადასაჭრელი — მათი ნაღდ, ეროვნულ ნაკრებთან შერწყმა-შეთამაშება.

დაცვას მიხედეთ, დაცვას!

თბილისი
12 მაისი
15.30 საათი
ეროვნული
2 500 (ტევადობა 75 000)

საქართველო 2 3:3 დინამო 2

1:0 გ. შენგელია (22), 1:1 ტუღუში (68), 2:1 დ. მუჯირი (69), 3:1 გლუნჩაძე (74), 3:2 წიტაიშვილი (86ჯ), 3:3 ტუღუში (90)

საქართველო: მ. ქორიძე (ლომაია 57), ჭანკოტაძე, სიდამონიძე, შაკიაშვილი (ქემოკლიძე 46), დ. მუჯირი, ვ. გიგიაძე, თ. კობიაშვილი, შაშიაშვილი, ისიანი (ქებაძე 72), გლუნჩაძე, გ. შენგელია

დინამო 2: მამალაძე, რუხაძე, ა. მუჯირი, გ. კვარაცხელია, კანდელაკი (ტყებუჩავა 46), გოგიჩაიშვილი, ტუღუში, ჩომახიძე, წიტაიშვილი, ანჩაბაძე, ქებაძე (ი. შენგელია 59)

სათადარიგონი: სულაქველიძე, ლოლაძე

გაფრთხილება: წიტაიშვილი (40), ლომაია (86)

მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ე. ნარმანია (ტყვარჩელი)

სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ცანავა

გიორგი ვაშაკიძე

საქართველოს ნაკრების ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ამაყად განაცხადა, შემტევი ფეხბურთის მიმდევარი ვარ, დაცვაში კი ხაზზე თამაშს ვამჯობინებო. თუ მატჩის საბოლოო შედეგიდან გამომდინარე ვიმსჯელებთ, წინა ხაზზე ქართველებს ალბათ პრობლემა ნაკლებად უნდა გვქონდეს, თუმცა ერთი თამაშით ძნელია დასკვნების გამოტანა. აი, დაცვაში კი მოვიკოჭლებთ. როგორც ჩანს, ქართველებს ჯერ ვერ გაუთავისებიათ, რას ნიშნავს დაცვაში ხაზზე თამაში. როგორც საქართველოს კლუბების მეორე ნაკრები, ისე „დინამო 2“ ერთი და იგივე ტაქტიკური სქემით თამაშობდნენ. „დინამო 2“ კი ერქვა, მაგრამ ჩემპიონის ფარმ-კლუბში „დინამოს“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ — ამირან მუჯირი, კახა გოგიჩაიშვილი, თემურ ტუღუში, შოთა ჩომახიძე, კობა წიტაიშვილი, ლევან ქებაძე, რომელთაც ჯერ კიდევ ბელგიური „რასინგ მეხელენის“ საკუთრება გიორგი ანჩაბაძეც დაემატა.

ზემოთ ორივე გუნდის გუშინდელი ტაქტიკური სქემა ვახსენე. ორივემ კლასიკური 4-4-2 ითამაშა. ნაკრებში დაცვის ხაზს ვიტელი ჭანკოტაძე (მარჯვნივ), გორდელი სიდამონიძე და თსუელი კობიაშვილი (ცენტრში), აგრეთვე ბოლნისელი შაკიაშვილი (მარცხნივ) შეადგენდნენ. ნახევარდაცვაში ფლანგებზე იბერიელი გიგიაძე (მარცხნივ) და სიონელი ისიანი (მარჯვნივ) იყვნენ გამწესებულნი. საყრდენი ნახევარმცველობა თსუელ გიორგი შაშიაშვილს დაევალა, ხოლო გამთამაშებლობა კი ლოკომოტიველ დავით მუჯირს. ორი სამგურალელი — გიორგი შენგელია და რეზო გლუნჩაძე თავდასხმაში ერომანეთს ენაცვლებოდნენ. როგორც ზემოთ ვთქვი, „დინამო 2“-მაც იგივე ტაქტიკით ითამაშა.

ერთი შეხედვით, ექსპერიმენტულ ნაკრებს ცუდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია, მაგრამ ხარვეზები რომ იყო, განსაკუთრებით დაცვაში, ამას იოჰან ბოსკამპი ალბათ უჩვენოდაც ადვილად მიხვდებოდა.

ფეხბურთელებმა შეტევაში უფრო გამოიჩინეს ფხა, რისი დასტურიც ექვსი გატანილი ბურთია.

... გუშინდელი მატჩი შესვენების შემდეგ სულ რაღაც 14 წუთის განახლებული იყო, როდესაც „დინამო 2“-ში ლევან ქებაძის ნაცვლად მინდორზე ირაკლი შენგელია შემოვიდა. გავიდა ცოტა ხანი და ქებაძეს 72-ე წუთზე თავად მოუხდა შეცვლაზე შესვლა, ახლა უკვე ნაკრების შემადგენლობაში მოუწია თამაში. როგორც ჩანს, ბოსკამპს მისი გარჯა მოეწონა.

ეროვნულზე მოსულმა მაყურებელმა უცნაური ფაქტიც იხილა. პირველი ტაიმის მე-40 წუთი მიმდინარეობდა, როდესაც არბიტრმა, სოხუმელმა დავით სანაიამ სასტვენს ჩაპბერა, მორჩა პირველი ტაიმიო, მაგრამ...

მერე წამზომს დახედა, გაახსენდა, რომ თამაშის დამთავრებას ხუთი წუთი აკლდა, ჩაფიქრდა და მაპატიეთ დრო ამერიაო. ლამის იყო უკვე გასახდელში მიმავალი ფეხბურთელებიც უკან გამობრუნდნენ და მატჩიც გააგრძელეს.

... შეხვედრის დასრულებამდე სულ რაღაც 4 წუთით ადრე ყველას ეგონა, მორჩა, ნაკრები მოიგებსო, მაგრამ ჩემპიონის ფარმ-კლუბში გამწესებული წიტაიშვილი და ტუღუში თურმე ასე არ ფიქრობდნენ. გამოსარჩევი კი მაინც თემურ ტუღუშის მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში გატანილი გუნდისთვის მესამე, ხოლო თავისთვის კი მეორე გოლია. საჯარიმოს მისადგომებთან წიტაიშვილმა ქუსლით დაუგდო ბურთი ტუღუშს, თემურმაც დარტყმა არ დაახანა და ლამაზი გოლიც გამოუვიდა. ლომაია არც განძრეულა, ცხრიანში მიმავალ ბურთს მხოლოდ თვალი გააყოლა.

გიორგი შენგელიას (№11) გვერდით კვარაცხელია მეურვეობს

მინუს სამის წესის გაუქმებამ ფეხბურთელებს თავზე ხელი ააღებინა, მსაჯების ჯანმრთელობას კი საფრთხე შეუქმნა

ჰიუგო თუ ბალზაკი?

ქართველმა ფეხბურთელმა მსაჯების ცემას მოუხშირეს

სადისციპლინო კომისიის სხდომის ჩატარების ადგილი ყოველთვის უცვლელია. დისციპლინართა ერთფერროვანი შეკრების ადგილი ამჯერადაც ფიზკულტურის აკადემიის რექტორის, ომარ გოგიაშვილის კაბინეტი იყო. ეგ არის, თავად მასპინძელმა, ამავე დროს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ, საქმისთვის ბოლოს მოიცალა და სხდომის მიმდინარეობასაც დასკვნით ფაზაში შეუერთდა.

დასაწყისში კი სოსო ჩავლეიშვილის გამოჩენამ კომისიის წევრებს დღის წესრიგი შეაცვლევინა. ამ ეპიზოდზე დაწვრილებით ბოლოს მოგახსენებთ. დავიწყოთ მეორე ჯგუფით.

„ვანიადი“ — „ცხუმის“ შეხვედრაში მომხდარი ეპიზოდი კასპელ ჯემალ შერმადინს ძვირად დაუჯდა. რეზვიაშვილის გადაწყვეტილებით აღშფოთებულმა ფეხბურთელმა (მსაჯმა შერმადინს წითელი ბარათი აჩვენა) საქმეში ხელ-ფეხი ჩართო, ცოტა მსაჯიც „შეალამაზა“ და შედეგად 1000 ლარ ჯარიმას და ერთწლიან დისკვალიფიკაციას გამოჰკრა ხელი. კასპის სტადიონის დირექცია დისციპლინართა კატეგორიული მოთხოვნით, ალბათ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება — ადვილი ხომ არ არის, მოკლე დროში დამცავი ღობეები შემოავლო სტადიონს.

30 აპრილს ვანში „სულორი“ სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეერკინა „მარგვეთს“. ეს ორი გუნდი რჩეულთა შორის აღზევებას ლამობს და პრინციპული შეხვედრაც უაღრესად დაძაბულ ვითარებაში ჩატარდა. შეხვედრის არბიტრმა ორი ფეხბურთელი გააძევა. ვანელი თემურ ფაიქიძე ორ მატჩს და 100 ლარს შეელევა, ზესტაფონელი თამაზ გაბრიჩიძე კი 150 ლარით დაჯარიმდა და შესაბამისად 3 თამაშს გამოტოვებს. ამ მატჩში ტრიბუნიდან ნასროლი ქვა გვერდით მსაჯს, კახა მესხს მოხვდა ფეხში. დისციპლინარებმა რეაგირების გარეშე არც ეს ფაქტი დატოვეს — მაყურებელთა უდისციპლინობის გამო „სულორის“ ხელმძღვანელობა მკაცრად გააფრთხილეს. ბორჯომის „თორის“ ფეხბურთელ დენისკინს საუ-სთან შეხვედრისას წითელი ბარათი კი მიეღია, მაგრამ ფეხბურთელს თამაშის მიტოვება აზრადაც არ მოსვლია (საინტერესოა, როგორ მოახერხეს დენისკინის მოედნიდან გაყვანა). ამის გამო იგი 200 ლარსა და ოთხ თამაშს გამოეთხოვა. ამავე შეხვედრაში გაძევებული სტუდენტი ბოჭორიშვილი 100 ლარით დაჯარიმდა და ორ მატჩზე დასვენებაც მოუწევს.

ორ-ორ შეხვედრას გამოტოვებენ აგრეთვე მეტრეველი (არსენალი 2), აიანიდი (კოლხეთი, ხობი), ზუმბაძე (მესხეთი), სოხაძე (ხალიბი) და კირვალიძე (აკადემია). შესაბამისად თითოეულ ფეხბურთელს 200-200 ლარიანი ჯარიმაც დაეკისრა. შედარებით ადვილად გაძარცა მარტვილის „სალხინოს“ ფეხბურთელი კანკია — ერთი თამაშის გამოტოვება და ჯარიმა 50 ლარი.

გარდაბანში თბილისის „ზოოვეტმა“ ადგილობრივი „სამგორი“ კი დაამარცხა, მაგრამ მატჩში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი, ბოსტოლანაშვილი ათამაშა. დისციპლინართა ვერდიქტი მკაცრი იყო — „ზოოვეტს“ 0:3 წაგება ჩაეთვალა და კლუბის ხელმძღვანელობასაც სასტიკი საყვედური გამოეცხადა. 0:3 წაგება ჩაეთვალა რუსთავის „ხალიბს“ „ყვარელთან“. ეს მატჩი საერთოდ არ ჩატარებულა. რუსთაველებს სტადიონი ვერ მოუმზადებიათ სათანადოდ, მატჩის გამართვა „ფოლადზე“ ვერ მოხერხებულა, გარდაბანის სტადიონის დირექციას კი მთხოვნელთათვის უარი შეუთვლია.

პირველი ჯგუფის გუნდებიდან დისციპლინართა რისხვა ზუგდიდის „ოდიშს“ დაატყდა თავს.

„ოდიში“ — „სიონის“ შეხვედრა მატჩის მთავარ არბიტრს, კრიჭაშვილს და გვერდით მსაჯ დოგრაშვილს ჯოხეთურ მოგონებად დიდხანს გაჰყვებათ. ზუგდიდელებს ბოლნისელთა წესების დაცვით გატანილი გოლი (ყოველ შემთხვევაში, მატჩის ინსპექტორი მალხაზ ლაცაბიძე მოხსენებით ბარათში ასე ირწმუნება) გაუპროტესტებიათ. აფაქიძე დოგრაშვილს მივარდნია, მუხლით ერთობ მტკივნეულ ადგილზე რამდენჯერმე ჩაურტყამს და საწყალი მსაჯისთვის კინაღამ სული ამოუხდია ცემით, მთავარი მსაჯიც გალახულა, ჩხუბში აფაქიძესთან ერთად ნაყოფიასაც უაქტიურია. კრიჭაშვილს მეორე ნახევარში მატჩის გაგრძელება ვერ მოუხერხებია. შედარებით ადვილად გადარჩენილა მატჩის სათადარიგო მსაჯი გიორგაძე. მას ტრიბუნიდან ნასროლი ქვა თავში მოხვდა.

შემდეგ სხდომის მიმდინარეობა საგრძნობლად გამოცოცხლდა და მკაცრი ვერდიქტებიც მალევე გამოცხვა.

მამუკა ნაყოფიას ერთი წლით სხვა საქმით მოუწევს დაკავება, ამავე დროს 1000 ლარ ჯარიმასაც გადაიხდის. სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს ზაზა აფაქიძეს, ოღნდ ერთი პირობით. 12 თვის განვლის შემდეგ „ოდიშის“ ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შუამდგომლობა აღძრას მის მიმართ და აფაქიძის ფეხბურთში დაბრუნება-არდაბრუნების საკითხსაც სადისციპლინო კომისია გაისად გადაწყვეტს.

ზუგდიდელთა კიდევ ერთ ფეხბურთელს კობა კვეკვესკირს თსუ-სთან მატჩის შემდეგ გვერდითი არბიტრის, ელიკაშვილის გულთბილად მოკითხვა არ შეარჩინეს, სამი შეხვედრით დისკვალიფიკაცია მისცეს და ჯიბე 150 ლარითაც შეუთხელეს. დაუსჯელი არც ზუგდიდელი გულგშემატკივარი დარჩენილა — გასავარდნად განწირული „ოდიში“ საშინაო მატჩებს ნეიტრალურ მინდორზე გამართავს. სამ თამაშს გამოტოვებს აგრეთვე „მერანის“ ფეხბურთელი მიხეილ ზუციშვილი. ამ შემთხვევაშიც საჯარიმო თანხა 150 ლარია.

დისციპლინართა ბოლო გადაწყვეტილება ერთობ მოკრძალებული და მშვიდობიანი იყო. დინამოელ ირაკლი ვაშაკიძეს „ტორპედოსთან“ მატჩში გაძევება ერთი მატჩის გამოტოვებად დაუჯდება და 50 ლარი ჯარიმის გადახდაც მოუწევს.

ახლა სხდომის დასაწყისს დავუბრუნდეთ. დისციპლინართა წინაშე სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ წარმომადგენელი სოსო ჩაგელიშვილი იდგა. იგი მშობლიური ოზურგეთის „მერცხალის“ გულშემატკივარი გახლავთ და სადისციპლინო კომისიის სხდომას შუამდგომლობით ეწვია...

„ჩადენილ დანაშაულს გულწრფელად ვინანიებ. შეხვედრის არბიტრს ავთანდილ სამხარაძეს მეც და ჩემი თანაგუნდელებიც საშინლად მოვექეცით. ყველას წინაშე ბოდიშს ვიხდი გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი მონანიება და საშუალება მომცეთ, დარჩენილი ახალგაზრდული წლები მოედანზე გავატარო“ — სხდომის წამყვანი ზვიად დრასელი ოზურგეთის „მერცხალის“ ფეხბურთელის, კახა ტულუშის გამოგზავნილ წერილს კითხულობდა. ტულუშს და მის 7 თანაგუნდელს 29 მარტს „მერცხალი“ — „კოლხეთის“ მატჩის დროს ჩადენილი დანაშაულისთვის სადისციპლინო კომისიის წინა სხდომაზე გამოუტანეს განაჩენი. ყველაზე მკაცრად დისციპლინარებმა ტულუში დასაჯეს. მას სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. გუშინ კი ფეხბურთელის წერილით გულაჩვილებულ კომისიის წევრებს სოსო ჩავლეიშვილმა შეურჩია დრო, მოკლედ გაიხსენა ტულუშის დამსახურება ოზურგეთული ფეხბურთის წინაშე, ისიც, რომ იგი უაღრესად ზრდილი და პატიოსანი ახალგაზრდაა (აბა სამხარაძეს ჰკითხეთ!), გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობს ოზურგეთში და თანაც ფეხბურთისთვის სასიკეთო საქმეს ემსახურება — წვრთნის ბავშვთა გუნდს. ერთი სიტყვით, ჩავლეიშვილმა გადაწყვეტილების გადასინჯვა სთხოვა კომისიის წევრებს, მაგრამ ამაოდ დაიხარჯა. სადისციპლინო კომისიამ პირვანდელი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ორი მოსაზრებით: პირველი დაახლოებით ასე ჟღერდა — თუ ტულუშს მწვანე შუქს ავუნთებთ, გამოდის, რომ მასთან ერთად დასჯილ შვიდ ფეხბურთელსაც უნდა შევუნდოთ. აი, მეორე მოსაზრება კი ერთობ ორიგინალური გახლდათ — ან უნდა ვიყოთ ჰიუგოსავით რომანტიკოსები, ან ბალზაკივით რეალისტები, რომანტიკოსი რომ ვიყო, ტულუშს შევუნდობდი, მაგრამ დღევანდელ ჩვენს ფეხბურთში გამეფებული სიტუაცია რომანტიკოსობის საშუალებას არ მაძლევს, მირჩევნია, დაზარალდეს ფეხბურთელი ტულუში, ვიდრე მთლიანად ქართული ფეხბურთი. ამიტომ ჯობს რეალისტები ვიყოთ.

ვერაფერს იტყვი, ოჭროს სიტყვებია. არა?

პაატა კვანტალიანი

სპახომ, თქვე ჩვენნაირებმო

ვერავინ იტყვის, რა ეშველებოდა „გივი კილაძეს“, შარშან „ტორპედო“ ინტერტოტოზე რომ არ გასულიყო. „გივი კილაძე“ ქუთაისში მთავარი სპორტული არენა კია, მაგრამ მთელი ცხრა წლის განმავლობაში კაპიტალურ რემონტზე რომ აღარ ვთქვათ, „კოსმეტიკური“ სამუშაოებიც არ ღირსებია. ლაპარაკი ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო შენობაზეა, რომელიც მოუვლელობით ლამის დანგრეულიყო. ჰოდა, გაუმარჯოს ინტერტოტოს! ქუთაისური კლუბის მაშინდელმა პრეზიდენტმა ბესიკ ჯიქიამ მშენებლები დაიქირავა და ამათაც მოკლე დროში, ავად თუ კარგად, შენობასაც უცვალეს სახე და სტადიონის დასავლეთ ტრიბუნაზე 2 000-ზე მეტი ინდივიდუალური სკამიც დაამონტაჟეს. სხვა საქმეა ის რომ, მუშების ერთ ნაწილს დახარჯული შრომის საფასური ჯერაც ვერ მიუღია და, ალბათ, კიდევ დიდხანს მოუწევს ლოდინი...

უეფას მკაცრი წესები აქვს, სტადიონი თუ არ გივარგა, სუპერგუნდიც რომ გყავდეს, ზედ თამაშის ნებას არ დაგრთავს. სტადიონის მზადყოფნას უეფას წარმომადგენლები ამოწმებენ. ამ ხალხს ევროტურნირების დაწყებამდე, მაისივნისში მოეძალებათ სამუშაო. ჯერ დაგზვერავენ, რჩევა-დარიგებას მოგცემენ, ნაკლის გამოსწორების ვადასაც დაგითქვამენ. მერე ერთხელაც გეწვევიან და, თუ სტადიონი წესრიგში დაახვედრე ხომ კარგი, არა და, მკაცრ განაჩენს ელოდე.

მოგეხსენებათ, ქუთაისის „ტორპედოს“ პრაქტიკულად განაღდებული აქვს უეფა-ს თასზე თამაში. არა გვგონია, ტორპედოელებმა ჩემპიონატის დამთავრებამდე დარჩენილ სამ ტურში „ლოკომოტივი“ გაუშვან წინ. ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ქუთაისელებს უეფა-ზე თამაშის უფლება „სამგურალთან“ თასის ფინალში გამარჯვების შემთხვევაშიც ეძლევათ. მოკლედ, ან ერთი იქნება, ან მეორე და „ტორპედოს“ უეფაზე აუცილებლად ვიხილავთ. დასაზუსტებელი ერთიღა რჩება — სად გამართავს „ტორპედო“ საშინაო მატჩებს (იმედი ვიქონიოთ, რომ მატჩებს), მშობლიურ სტადიონზე თუ...

სწორედ ამის გასარკვევად ესტუმრა გუშინ „გივი კილაძეს“ უეფა-ს ბოსნიელი წარმომადგენელი მეჰმედ სპახო (წინდღით იგი ბათუმში გამართული საქართველო — ჩეხეთის 18-წლამდელთა მატჩის დელეგატი გახლდათ და ჩვენებურთ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე გასვლაც გულითადად მიულოცა).

ბოსნიელმა თავიდან მინდვრის საფარს დახედა. უკმაყოფილება არ შეგვიტყვია. მერე დასავლეთის ტრიბუნისკენ შებრუნდა და... ფოტოაპარატი მოიმარჯვა. კარგს რას გადაიღებდა. იმ, შარშან დამონტაჟებული 2 000-ზე მეტი ინდივიდუალური სკამიდან დაულეწავი სამი ათეულიღა დარჩენილა. მიზეზი რომ იკითხა, არასწორი მონტაჟის გამოო, შეცდომასაც გამოვასწორებთო. ევროტურნირის დაწყებამდე სულ მცირე 10 000 ახალ სკამს დავამზადებინებთ ადგილობრივ ქარხანას და ივნისის ბოლომდე ახლებურად, საიმედოდ დავამონტაჟებთო.

მეჰმედ სპახომ გასახდელები, საშხაპეები, მსაჯთა ოთახი და სხვა სათავსოები დაათვალიერა, ტაბლოს ამბავი იკითხა. შენიშშვნები, რა თქმა უნდა, აქაც ჰქონდა, მაგრამ უმნიშვნელო.

— სტადიონზე განათება არ გქონიათ, ცუდია, თუმცა ამას ბევრს პატიობენ — განუმარტა სტადიონის დირექტორის კაბინეტში შეკრებილ „ტორპედოს“ მესვეურთ ბოსნიელმა — მპირდებით, რომ ყველა ჩემს რეკომენდაციას გაითვალისწინებთ. გენდობით, მჯერა თქვენი. უნდა იცოდეთ, რომ უეფა მარტო თავის კეთილდღეობაზე არ ზრუნავს. 100 ათასი გერმანული მარკა პატარა ფული არ არის. ერთი რაუნდის დაძლევაში კლუბს ეს თანხა გადმოერიცხება უეფადან. ამ წუთში თქვენი სტადიონი მისაღები არ არის, მაგრამ დრო გაქვთ... ისე, თქვენს ქვეყანას რომ ვუყურებ, ჩემს ბოსნიასავით დაქცეულები ყოფილხართ. ჩვენშიც ძალიან გვიჭირს, ოღონდ საქმე საქმეზე რომ მიდგება, ყველა ღონეს ვიკრებთ. შერცხვენას ასე სჯობსო.

საუბარს რომ მორჩა, მასპინძლებმა მეჰმედ სპახო სადილზე მიიპატიჟეს. ბოსნიელმაც არ იუარა, თქვენთან პურს სიამოვნებით გავტეხო.

იუზა კაციტაძე ქუთაისიდან



„ტორპედოს“ პრეზიდენტ მიხეილ ქორქიას „გივი კილაძის“ სტადიონის განსაახლებლად გვარიანად დახარჯვა მოუწევს

ჰეფე ოლირი

სამშაბათს „ელან როუდზე“ სტუმარ-მასპინძელმა რამდენჯერმე გაარჩია საქმე

ინგლისი

ლიდსი 1:0 არსენალი

1:0 ჰასელბაინკი (86)

ლიდსი: მარტინი, ჰაალანდი, რადებე, ვუდგეიტი, ჰარტი, ჰოპკინი, ბოუიერი, ბეტი, კიუელი, ჰასელბაინკი, სმიტი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ადამსი, კიოუნი, ვინტერბერნი (ვივასი 81), პარლოუ (დიავარა 71), ვიეირა, პეტი, ოვერმარსი (კანუ 65), ბერხკამპი, ანელკა

გაფრთხილება: ჰასელბაინკი, ბეტი, სმიტი, ჰარტი, პარლოუ, პეტი, ვიეირა, დიქსონი, ადამსი

მსაჯი: უილარდი

„არსენალს“ არ უნდა წაეგო, ლიდსის „ელან როუდზე“ ჩასულ ლონდონელ ბერიკაცს არ უნდა ეტირა, ინტრიგა ასე ადრე არ უნდა გამქრალიყო, მაგრამ ახლა უკვე გვიანია — მოსახდენი მოხდა.

ძალიან ლამაზი, სწრაფი, ხისტი, დაძაბული თამაში გამოვიდა. ერთ მხარეს ბავშვებით სავსე მომავლის გუნდი (რატომ აწმყოსი არა?) „ლიდს იუნაიტედი“, წლევანდელი პრემიერლიგური აღმოჩენა, მეორე მხარეს ჩემპიონი, გამოცდილება, ვარსკვლავები ანუ „არსენალი“.

ეს ყველაფერი სამშაბათს ერთმანეთში გადაიზილა, აითქვიფა და მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩიც გამოცხვა, მატჩი, რომელსაც მასპინძლებისთვის სპორტული თვალსაზრისის გარდა არავითარი, „არსენალისთვის“ კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

„ლიდსმა“, რომლის ფეხბურთელთა უმეტესობას ჯერ წვერის პარსვაც კი არ დაუწყია, თავიდანვე პრესინგს მიმართა და მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეს მისსავე ნახევარზე ავიწროებდა, რასაც ვენგერი, ეტყობა, არ ელოდა. უცაბედი წვიმით დასველებულ „ელან როუდის“ ბრწყინვალე გაზონზე „არსენალმა“ უხერხულად იგრძნო თავი.

თამაში პირველი ტაიმის მიწურულს არნახულად გამწვავდა, სწორედ მაშინ აინთო ცეცხლი, რომელიც 86-ე წუთზე ჰოლანდიელმა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ჩააქრო. ტაიმი სრულდებოდა, როცა მოწინააღმდეგეებმა თითო მწვავე დარტყმა მიაყენეს ერთმანეთს. ხიფათი ჯერ ნაიჯელ მარტინის კართან შეიქმნა — „ლიდსის“ საჯარიმოში ბურთი სტუმართა კაპიტანს ტონი ადამსს მიუვიდა, მან დაახლოებით სამი მეტრიდან ღონივრად დაარტყა, მაგრამ მარტინმა დაამტკიცა, რომ საპირისპირო კარში მდგომ სიმენს არაფრით ჩამოუვარდება — სასწაულ ნახტომში მოიგერია ბურთი.

რამდენიმე წამში უკვე „არსენალის“ მეკარემ გაიბრწყინა. ავსტრალიელმა ჭაბუკმა, ჰარი კიუელმა, ტურინის „იუვენტუსს“ მილანის „ინტერში“ მიმავალ ალესანდრო დელ პიეროს შემცვლელად რომ შეუგულებია, შორიდან დააქუხა, სიმენმა კი ბურთი კუთხურზე მოიგერია.

44-ე წუთზე მატჩის არბიტრმა გარი უილარდმა, რომელმაც ჯამში 9 მოთამაშე გააფრთხილა, ლონდონელთა კარში სამართლიანი პენალტი დანიშნა — მარტინ კიოუნმა, სრულიად უწყინარ სიტუაციაში საკუთარ საჯარიმოში ყმაწვილ ალან სმიტს კინაღამ ფეხი მოტეხა. თერთმეტმეტრიანიდან იან ჰარტის დარტყმული ბურთი ხარიხამ, ჰასელბაინკის დამატებული კი სიმენმა მოიგერია და 0:0 დატოვა.

— ყველაფერში დამნაშავე თავად ვართ, იმიტომ, რომ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში გოლის გატანის ამდენი შანსი გავუშვით ხელიდან — იტყვის მატჩის შემდეგ არსენ ვენგერი.

მართალია ჩემპიონთა ფრანგი თავკაცი, მარტო მეორე ნახევარში „არსენალს“ სულ ცოტა 5 ბურთი უნდა შეეგდო. თავის გამოჩენა კიდევ ერთხელ შეეძლო ადამსს, ორჯერ ბერხკამპს, ამდენჯერვე შეცვლაზე შესულ ფრანგ კაბა დიავარას. სახიფათოდ უტევდნენ ოვერმარსი, ანელკა, კანუ, ერთი სიტყვით სტუმრები უკანმოუხედავად უტევდნენ, მაგრამ ხან მარტინი იყო შესანიშნავი, ხან მცველი ვუდგეიტი სჩადიოდა სასწაულებს (იგი ერთ-ერთი საუკეთესო იყო მატჩში), ხანაც დედაქალაქელი ფორვარდები სცოდავდნენ.

არავის ეგონოს, რომ მასპინძლები ამ დროს დამფრთხალნი თავდაცვაზე ფიქრობდნენ, არა, „ლიდსიც“ უტევდა, შედარებით ცოტას, მაგრამ მწვავედ. განსაკუთრებით სმიტ-ადამსის დუელი იყო თვალშისაცემი, რომლებმაც ერთმანეთს ნერვები დააწყვიტეს. შედეგად ჯერ კიდევ ბავშვ სმიტს სისხლმა უყივლა და მამისხელა „არსენალის“ კაპიტანს შეურაცხყოფა მიაყენა. ის კი დაავიწყდა, ადამსს მისი წონა მარტო ვისკი რომ აქვს დალეული და მალე კოჭებში მაგრად მოხვდა.

მერე გოლი იყო, თბილისში ნამყოფი („ბოავიშტას“ შემადგენლობაში) ჰასელბაინკის სეზონში მე-18, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი. მას ბურთი თავზე კიუელმა დაასვა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ისე, რამდენიმე წუთით ადრე ასევე თბილისქალაქში ნამყოფ (ნორვეგიის ნაკრების შემადგენლობაში) ალფ ინგე ჰაალანდს მისდა უნებურად ნაიჯელ ვინტერბერნისთვის ცხვირი რომ არ გაეტეხა, არავინ იცის, რა მოხდებოდა. სწორედ ვინტერბერნის შემცვლელმა არგენტინელმა ნელსონ ვივასმა დაუშვა უხეში პოზიციური შეცდომა და ჯიმიმაც „ელან როუდი“ გაახარა. დარჩენილ დროში...

— მორჩა, ჩვენი ოცნებები დაიმსხვრა. ახლა ყველაფერი „მანჩესტერ იუნაიტედზეა“ დამოკიდებული. სიმართლე გითხრათ, არა მგონია, ფერგიუსონის გუნდმა „ბლექბერნთან“ წააგოს, ბოლო ტურში კი შინ „ტოტენჰემის“ ძლევა გაუჭირდეს. რაც შეეხება გაშვებულ გოლს, ისევე როგორც მთლიანობაში წაგება, ესეც ჩვენი ბრალი იყო. მცველებმა ყველაზე სახიფათო ფორვარდი დატოვეს უყურადღებოდ — ვენგერის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა, იგი ხომ ასე ახლოს იყო შარშანდელის მსგავს სიხარულთან.

და დევიდ ოლირი. ახალგაზრდა თავის გუნდის მსგავსად, ისეთივე მოულოდნელი და ორიგინალური. მიმდინარე სეზონში მან ყმაწვილებისგან შესანიშნავი გუნდი შექმნა, ისეთი, კომუნისტების ეპოქაში „ავტორიტეტთა რისხვის“ წოდება რომ არ ასცდებოდა. ახლა მთავარია „ლიდსი“ არ გაიფანტოს (ამის რეალური საშიშროება უკვე არსებობს) და მაშინ ნახეთ „რისხვა“.

ოლირმა, რომელიც ადრე სწორედ „არსენალში“ თამაშობდა, ნამატჩევს ძირითადი დრო თავისი ყოფილი გუნდის კრიტიკას დაუთმო.

— „არსენალმა“ ჩემი სიმპათიები ვერ დაიმახურა, ეს გუნდი შარშან გაცილებით ძლიერად თამაშობდა, ახლა კი ძირითადად იღბლის ბრალი იყო ამდენ ხანს რომ ებრძოდა „მანჩესტერს“. ვფიქრობ, ჩემპიონის ვინაობა ეჭვს აღარ იწვევს.

დავეთანხმოთ „ლიდსის“ მენეჯერს. ოღონდ ცოტაც მოვიცადოთ...

დავით კოვზირიძე

ბომბარდირები

იორკი (მანჩესტერი)	18
ჰასელბაინკი (ლიდსი)	18

მანჩესტერი	36	21	12	3	78:36	75
არსენალი	37	21	12	4	58:17	75
ჩელსი	37	19	15	3	55:29	72
ლიდსი	37	18	12	7	60:32	66
ასტონ ვილა	37	15	10	12	51:45	55
ვესტ ჰემი	37	15	9	13	42:53	54
დერბი	37	13	13	11	39:43	52
ლივერპული	37	14	9	14	65:49	51
მიდლსბრო	37	12	15	10	48:50	51
ლესტერი	37	12	13	12	40:45	49
ტოტენჰემი	37	11	14	12	46:48	47
ნიუკასლი	37	11	12	14	47:53	45
შეფილდი	37	12	7	18	40:42	43
ევერტონი	37	11	10	16	42:45	43
უიმბლდონი	37	10	12	15	40:60	42
ქოვენთრი	37	11	8	18	37:49	41
საუთჰემპტონი	37	10	8	19	35:64	38
ჩარლტონი	37	8	12	17	41:55	36
ბლექბერნი	36	7	12	17	37:51	33
ნოტინგემი	37	6	9	22	34:69	27

არსენ ვენგერს პრეზიდენტობა მოუნდა

ძალიან ლამაზ მატჩში „ლიდსთან“ მარცხის შემდეგ „არსენალის“ ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი ცნობილი ესპანური ჟურნალის „დონ ბალონის“ ჟურნალისტმა მოიხელთა. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, მოსაუბრეები ლონდონელთა მარცხს საერთოდ არ შეხებიან. ალბათ, ვენგერმა ინება ასე. თუმცა, ინტერვიუ მაინც საინტერესო გამოდგა. ფრანგმა სპეციალისტმა ბევრს საჭირბოროტო საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

თავიდან საუბარი FAIR PLAY-ს (სამართლიან თამაშს) შეეხო. ვენგერის აზრით, ის, რომ ამგვარი საქციელი სულ უფრო იშვიათი ხდება, საფეხბურთო სამყაროს კარგს არაფერს უქადის. ვენგერმა ცოტა ხნის წინანდელი ამბავი გაიხსენა, როცა ასოციაციის თასის მატჩში მისმა გუნდმა „შეფილდ იუნაიტედს“ უსამართლო გოლი გაუტანა და 2:1 მოიგო, შემდეგ კი გადათამაშება მოითხოვა.

— ვიმედოვნებ, FAIR PLAY არ მომკვდარა, ყოველ შემთხვევაში, ინგლისში მაინც. „შეფილდთან“ მომხდარი აქ ყველამ ცივილიზებულად აღიქვა, ჯენტლმენურ საქციელად ჩაგვითვალეს. მე უფრო დანარჩენი მსოფლიოს რეაქციამ გამაკვირვა, „არსენალის“ მოქმედება საზღვარგარეთ არანორმალურად აღიქვეს. მაშინ ჟურნალისტებისგან მხარდაჭერა ვიგრძენი. ისე კი თქვენს ქვეყანაში (ესპანეთში) და საერთოდ, რატომღაც ყველა გაოგნებული დარჩა. მაშინ მივხვდი, რომ ფეხბურთი სამართლიანობის ელემენტებს კარგავს, ძირითადი აქცენტი შედეგებზე, ტიტულებზე და ფულზე კეთდება, რაც ძალიან სამწუხაროა — ამბობს „მონაკოს“ ყოფილი თავკაცი.



სარგბიელის არქივიდან

არსენ ვენგერი

შემდეგი თემა ვენგერის მომავალი გახლდათ. მისი წარმატებები უყურადღებოდ არ დარჩენილა და დღეს მას ბევრი ძლიერი კლუბი ეპატიჟება, თუმცა:

— საქმის სანახევროდ გაკეთება არ მჩვევია, „არსენალთან“ კონტრაქტი კიდევ კარგა ხნით მაკავშირებს და წასვლას არსადაც არ ვაპირებ. ანაზღაურება და სამუშაო პირობები მშვენიერი მაქვს, არც ამბიციები მაკლია — გეგმაში „არსენალის“ პრეზიდენტობა ან გენერალური დირექტორობა მაქვს, ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ ლონდონური კლუბიდან ნიკოლა ანელკას წასვლის შესახებ. ესპანურ პრესაში დაიწერა, რომ ახალგაზრდა ფრანგი ვარსკვლავი ინგლისის დედაქალაქში თავს ცუდად გრძნობს და მადრიდის „რეალში“ აპირებს კარიერის გაგრძელებას, ფრანგულმა მასმედიამ ფორვარდი „მარსელში“ „გაუშვა“, ვენგერი კი ამბობს:

— ანელკასი უბრალოდ არ ესმით. ნიკოლა არ არის გაზულუქებული ვარსკვლავი — იგი მორცხვი, თავმდაბალი ბიჭია. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჯერ 20 წლისაა. თანაც მთლად კარგად ვერ ფლობს ინგლისურს და ყოველივე ამის გამო ინგლისურ პრესასთან ურთიერთობა და მისგან თავდაცვა უჭირს, თავის აზრს კარგად ვერ გადმოსცემს. საერთოდ, მირჩევნია ფეხბურთელმა მინდორზე აკეთოს საქმე და პრესასთან ლაყბობაში არ დაკარგოს დრო. დიდ პატივს ვცემ ენდი კოულს, რომელიც ინტერვიუებისგან თავს იკავებს. ჩემი მიზანია, ანელკას გარშემომყოფთაგან დაცვა, რათა მას არ დაემართოს იგივე, რაც რონალდოს.

ვენგერმა შემდეგ ინგლისური პრესაც გააკრიტიკა.

— რატომღაც აქაური მასმედია პრემიერლიგას ორ ნაწილად ჰყოფს: „მანჩესტერ იუნაიტედად“ და დანარჩენებად. ეს არ არის სწორი მიდგომა — თქვა ფრანგმა და დაამატა — ხშირად მაკრიტიკებენ თანამემამულე ფეხბურთელთა შეძენისთვის და როდესაც პატარა ჩავარდნა გვაქვს, ჟურნალისტები ორაზროვნად მადანაშაულებენ მეც და დანარჩენ ფრანგებსაც. მათ კლანების შექმნასაც აბრალებენ, რაც საერთოდ გაუგებარია. რა გასაკვირია, რომ პატრიკ ვიეირა უფრო ხშირად ემანუელ პეტის ესაუბრება, ვიდრე, ვთქვათ, ტონი ადამსს, მათ ხომ უფრო უადვილდებათ ურთიერთობა. სამაგიეროდ, როდესაც „არსენალი“ მოედანზე გადის, ვიეირა თავს არ ზოგავს, რათა ადამსს საქმე გაუადვილოს — აი, ეს არის მთავარი.

ნოდარ კასრაძე

თუ მწვრთნელი ვარ, მწვრთნელი უნდა ვიყო

„ჩელსის“ იტალიელმა მოთამაშე-მწვრთნელმა, ჯანლუკა ვიალიმ აღიარა, რომ მისი გუნდი არ არის ინგლისური ტიტულის მთავარ მოცილეთა, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ტოლ-სწორი, მაგრამ დანამდვილებით აცხადებს, რომ მალე მათ შორის სხვაობა აღარ იქნება. და კიდევ, ვიალი ამბობს, რომ ლონდონელებს ამიერიდან მის გარეშე მოუწევთ თამაში. ის მოამზადებს, უხ;ლმძღვანელებს, მაგრამ ფეხბურთელობის წლები თანდათან ისტორიას ჩაბარდება.

„გინდ ასე თქვი, გინდ ისე, გასული სეზონით კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა იტალიელმა, რომელმაც „ჩელსი“ ვერც ინგლისის ჩემპიონი გახადა და თასების თასის ნახევარფინალშიც დამარცხდა — „გასულ სეზონთან შედარებით უკეთესად ვთამაშობდით, მართალია „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „არსენალს“ რაღაც მეტი აქვთ ვიდრე ჩვენ, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ეს რაღაც მალე აღმოიფხვრება.“

მერე ვიალის ჰკითხეს, რა უნდა იღონოს, რომ ორ უდიდესს წამოეწიოს. მან უპასუხა:

„მაქვს რამდენიმე მოსაზრება. ფაქტია, რომ იმაზე უკეთეს ფეხბურთელებს, „ჩელსიში“ რომ თამაშობენ, ვერსად ვიშოვნი. ისიც უეჭველია, რომ ეს ფეხბურთელები ძალსა და ღონეს არ იშურებენ მაქსიმუმის მისაღწევად, ამიტომ დაჯდომა და მოფიქრება უნდა ყველაფერს.“

შემდეგ საუბარი ლონდონელთა სუსტ მხარეებზე ჩამოვარდა.

„იყო მომენტები, როდესაც მეტი სიფხიზლე გვმართებდა. შემტევი ფეხბურთი კარგი საქმეა, მაგრამ გუნდს ანგარიშის შენარჩუნებაც უნდა შეეძლოს“ — უპასუხა მწვრთნელმა.

ნუ იფიქრებთ, რომ ვიალის თვითკრიტიკა აკლია:

„უმარავი სამწვრთნელო შეცდომა დავუშვი, მაგრამ კაცს თუ გწადია, მუდმივად ისწავლი, ყველაფრისგან გააკეთებ დასკვნას. მსურს უკეთესი მწვრთნელი გავხდე და „ჩელსს“ დიდი წარმატებები მოვუტანო.“

რაც შეეხება მწვრთნელობისა და ფეხბურთელობის შეთავსებას:

„დღეს ჩვენ კარგი მწვრთნელი უფრო გვჭირდება, ვიდრე



სარბიელის არქივიდან

ჯანლუკა ვიალი

35 წლის თავდამსხმელი“ — თქვა კაცმა, რომელსაც ყველა საკლუბო ჯილდო მოუგია, რისი მოგებაც იტალიელ ფეხბურთელს შეეძლო — „ცხადია ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ფორმაში ვიყო, მაგრამ მოედანზე უკიდურეს შემთხვევებშიღა გავალ ხოლმე.“

ყველას უნარის მიხედვით



სარბიელის არქივიდან

დავიდ ჟინოლა

ჯერ კიდევ მარტში, მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ და ჭეშმარიტად დიდმა მოაზროვნემ, ჰოლანდიელმა იოჰან კრუიფმა განაცხადა, ლონდონური „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ ფრანგი თავდამსხმელი დავიდ ჟინოლა დღევანდელი მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელიაო.

ახლა მაისია, ჟინოლა კვლავ საუცხოოდ თამაშობს, ხოლო „ტოტენჰემი“ ინგლისის ლიგის თასის მფლობელის რანგში მომავალ სეზონში უეფას თასზე გასვლას ელის. როგორც ლონდონელთა მწვრთნელი, ჯორჯ გრემი ამბობს გასული სეზონი ფანტასტიკური იყო, მომდევნო კი ურთულესი იქნება და ამისათვის უფრო მეტი და უფრო ნიჭიერი ფეხბურთელების მიზიდვაა საჭირო.

„ჩვენგან ბევრს ელიან და უნდა ელოდნენ კიდეც. განა „ტოტენჰემ ჰოთსპური“ არა ვართ? მართალია, არა მგონია გაისად პრემიერლიგის სამ უდიდეს კლუბს გავუწიოთ კონკურენცია, მაგრამ ექვსეულში უეჭველად უნდა დავიმკვიდროთ ადგილი“ — თქვა გრემმა.

და ჟინოლა? ჟინოლა „უაით ჰართ ლეინის“ კერპია, მის გარეშე თამაში არ იქნება. თავადაც ამბობს:

„მინდა „ტოტენჰემში“ დარჩენა. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და ვგონებ კლუბსაც კარგად ვემსახურები.“

მაგრამ ... იგრძნობა, რომ არსებობს მაგრამ.

„ფეხბურთი უცნაური რამ არის და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის თანახმად ლონდონში კიდევ ორ წელიწადს უნდა დავრჩე, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალი სეზონიდან სხვა გუნდში მიხილოთ“ — ამბობს ფრანგი.

მას პრეტენზია აქვს და, როგორც ჩანს სრულებით მართალია. აი, როგორ აფასებს მდგომარეობას ჯორჯ გრემი.

„განა „ტოტენჰემი“ იმავე ლიგაში არ თამაშობს, რომელშიც „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“? განა სტრუქტურა იგივე არ არის? „მანჩესტერს“ და „არსენალს“ თუ მეტად ფაქიზი საჯამაგირო სისტემა აქვთ, ჩვენთან რად არ უნდა იყოს ისევე? მე თუ მკითხავთ, მოთამაშეებს ხელფასი კვალიფიკაციის შესაბამისად უნდა გადავუხადოთ. მოკლედ, დავიდს მოლაპარაკებები უნდა გავუმართოთ და ისეთივე გასამრჯელო დავუნიშნოთ, დიდი კლუბები დიდ ფეხბურთელებს რომ უხდიან.“

მაშ ასე, ჟინოლა ხელფასის გაზრდას ითხოვს:

„ვგონებ მისტერ ალან შუგართან (კლუბის თავმჯდომარეა, იგივე პრეზიდენტი) და იმავე მისტერ გრემთან იოლი საუბარი არ მელის, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ მათ კლუბისთვის კარგი უნდათ, მე კი ერთ-ერთი იმ პიროვნებათაგანი ვარ, ვისი შენარჩუნებაც სჭირდებათ, ასე რომ, წესით, ხელფასის გაზრდაზე უნდა დამთანხმდნენ. მესმის, რომ მათ შეუძლიათ მითხრან, კონტრაქტის მიხედვით ჩვენთან ძველებურ ჯამაგირზე კიდევ ორი წელიწადი გმართებს თამაში და ამიტომ შემოსავლის გაზრდაზე ნუღარ გველაპარაკებიო, მაგრამ თუ ასე მოხდა, ვუპასუხებ, რომ კლუბიდან მივდივარ. მსურს იმდენი გადამიხადონ, რამდენიც მეკუთვნის“ — ასეთია ჟინოლას პოზიცია.

გერმანია

XXIX ტურის
გადადებული მატჩი

ვერდერი 1:0 შალკე

1:0 დაბროვსკი (54)

ვერდერი: როსტი, ტრარესი, ტოდტი, ვოიტალა, ვიკი (ბარტენი 69), ფრინგსი, აილტსი (დაბროვსკი 46), ჰერცოგი, ვიდნერი, ბოგდანოვიჩი (აილტონი 50), ბოდე

შალკე: რეკი, ტონი (ა. მიულერი 26), დე კოკი, ვან ჰოგდალემი, ჰელდი (ჰამი 73), ალპუგანი, ნემეცი, ტაპალოვიჩი, ბიუსკენსი, ვოლფი (ვილმოტსი 65), მულდერი

გაფრთხილება: მულდერი, ტაპალოვიჩი

მსაჯი: ალბრეხტი

ავსტრია

33-ე ტური. შტაირი — შტურმი 1:4; გრაცი — ლუშტენაუ 2:0; ზალცბურგი — რიედი 0:0; ტიროლი — ლასკი 4:0; რაპიდი — აუსტრია 0:0.

შტურმი	33	21	3	9	66:30	66
რაპიდი	33	18	11	4	48:44	65
გრაცი	33	18	5	10	40:27	59
ზალცბურგი	33	14	11	8	50:36	53
ტიროლი	33	13	10	10	42:37	49
ლასკი	33	14	6	13	47:42	48
აუსტრია	33	12	11	10	38:46	47
რიედი	33	7	8	18	24:44	29
ლუშტენაუ	33	4	11	18	23:55	23
შტაირი	33	3	6	24	28:75	12

შტაირს დაკლებული აქვს 3 ქულა

ორშაბათს უეფას აღმასრულებელი კომიტეტი საგანგებოდ შეიკრიბა და ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელა. სხდომაზე — გადაწყდა, რომ იუგოსლავია, კონტინენტის პირველობისთვის ბრძოლას გააგრძელებს. შესარჩევ საშინაო მატჩებს ნეიტრალურ ტერიტორიაზე გამართავს. უეფამ გადაწყვიტა, იუგოსლავია შესარჩევ ტურნირს უახლოესი ტურიდან, ანუ ივნისიდან დაბრუნებოდა. ივნისში იუგოსლავია ირლანდიას ხვდება.

იუგოსლავიას ნუ გვიხსენებთ!

გადაწყვეტილებამ იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაცია გაახარა, თუმცა განვლო ორიოდ დღემ და ევროპის ფეხბურთის განმგებელთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება იუგოსლავიელთა ერთ-ერთმა მეტოქემ შესარჩევ ტურნირში, ირლანდიამ, დაგმო. ირლანდიის ხელისუფლებაც და ფეხბურთის ასოციაციაც იუგოსლავიელებთან თამაშის წინააღმდეგნი ყოფილან.

— თუ 5 ივნისს დუბლინში ირლანდია — იუგოსლავიის დაგეგმილი მატჩი შედგება, ირლანდიის მთავრობიდან შეხვედრას არავინ დაესწრება — განაცხადა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ.

— ევროკავშირის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ისინი პროტესტს უცხადებენ ყველა ღონისძიებას, რომლებშიც იუგოსლავია მონაწილეობს. ეს გამოწვეულია იუგოსლავიის ხელისუფლების არაჰუმანური და არასწორი მოპყრობით კოსოვოს მოსახლეობისადმი. ჩვენ არ გვსურს, ევროკავშირის წინააღმდეგ წავიდეთ — ეს უკვე ირლანდიის მთავრობის პოზიციაა.

ერთი სიტყვით, უეფას გადაწყვეტილება, ირლანდია — იუგოსლავიის შესარჩევი შეხვედრა 5 ივნისს, დანიშნულ დღეს გამართულიყო, კუნძულელთა მხრიდან გვარიან წინააღმდეგობას წააწყდა. ირლანდიამ იუგოსლავიელებს დუბლინში „ლენსდაუნ როუდზე“ უნდა უმასპინძლოს.

ირლანდიის ფეხბურთის ფედერაცია უეფას გადაწყვეტილების პროტესტით არ დაკმაყოფილებულა, იგი შეტევაზეც გადავიდა. ირლანდიის ფეხბურთის მამებმა იუგოსლავია — ირლანდიის ნოემბერში გამართული შესარჩევი მატჩის შედეგის (1:0 მასპინძელთა სასარგებლოდ) გაუქმება და გადათამაშება მოითხოვს. ირლანდიელები ამ წინადადებას ასე ასაბუთებენ: თუ იუგოსლავიაში შექმნილი საომარი ვითარების გამო იუგოსლავიის ფეხბურთელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში დარჩენილი საშინაო თამაშების ნეიტრალურ ქვეყანაში გამართვა მოუწევს, ირლანდია მეტოქეებთან შედარებით წამგებიან პოზიციაში რომ არ აღმოჩნდეს, ნოემბრის შეხვედრა უნდა გაუქმდეს და ნეიტრალურ ქვეყანაში გადათამაშდეს.

— მეტოქეები ერთნაირ მდგომარეობაში უნდა იყვნენ. არ შეიძლება, ჩვენ ბელგრადში მარცხი ჩაგვეთვალოს, კონკურენტებმა კი სხვაგან ითამაშონ. ეს ყოველგვარ სპორტულ პრინციპებს ეწინააღმდეგება — განაცხადა ირლანდიის ფეხბურთის ასოციაციამ.

იუგოსლავიას ძალიანაც რომ უნდოდეს, ბელგრადში მეტოქეებს ვერ უმასპინძლებს. მეტოქეების პირობითი მასპინძლობა იუგოსლავიამ საბერძნეთში გადაწყვიტა.

სამშაბათს იუგოსლავიის ფეხბურთის ფედერაციას წარმომადგენლები საბერძნეთში კოლეგებს ესტუმრნენ და შეთანხმდნენ, რომ იუგოსლავიის ნაკრებს სალონიკის კლუბ პაოკ-ის სტადიონი „ცუმბასი“ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის დაეთმობათ. გადაწყდა, რომ 9 ივნისს იუგოსლავია მალტას სწორედ სალონიკში უმასპინძლებს. ცნობისთვის: სტადიონი 41 ათას გულშემატკივარს იტევს.

ჯერჯერობით უცნობია, რას იზამს უეფა. 5 ივნისამდე დიდი დროა და არაა გამორიცხული, უეფა კიდევ ერთხელ შეიკრიბოს და გადაწყვეტილება შეცვალოს.

ირაკლი ილაზვილი

აფრიკული მადლობა

სამხრეთ აფრიკის საფეხბურთო ჩინოსნებმა ნიგერიელ კოლეგებს ქედი მოუხარეს: ნიგერიამ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის ბრძოლაზე უარი განაცხადა და ეს აქცია სწორედ სამხეთ აფრიკელთა სასარგებლოდ მოიმოქმედა.

ირვინ ხოზამ, სამხრეთ აფრიკელთა შესაბამისი კომიტეტის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანაკონტინენტელთა გადაწყვეტილებამ მისი ქვეყნის კანდიდატურას სიმძლავრე და მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალში ნდობა შემატა.

შეგახსენებთ: ორშაბათს ნიგერიის სპორტის მინისტრმა ემეკა ომერუამ ქვეყანას ამცნო, რომ სახელმწიფოს ხელმძღვანელობისგან მიიღო განკარგულება უარი ეთქვათ მასპინძლობისთვის ბრძოლის გაგრძელებაზე და მხარში ამოდგომოდნენ სამხრეთ აფრიკას, რათა „შავმა კონტინენტმა“ ისტორიაში პირველად უფრო იოლად მოინადიროს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი.

„ისეთი დიდი საფეხბურთო სახელმწიფო, როგორიცაა ნიგერია, საოცარ მხარდაჭერას რომ გაგრძნობინებს, სხვა თუ არაფერი ვალდებული ხდები გათმაგებული ენერგიით იბრძოლო მიზნის მისაღწევად“ — განაცხადა ხოზამ და დასძინა, რომ ძალთა გაერთიანება აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციასაც უიოლებს საქმეს.

თუმცა კონფედერაცია ჯერ მაინც დილემის წინაშეა. მისი ოცნებაა მთელმა კონტინენტმა ერთობლივი ძალისხმევით სცადოს ერთადერთი კანდიდატის სასარგებლოდ ბრძოლა, მაგრამ აფრიკაში კიდევ არის 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მსურველი, რაც თავისთავად მასა და სამხრეთ აფრიკას შორის კონკურენციას ნიშნავს. ეს ქვეყანა გახლავთ მაროკო, არანაკლებ ამბიციური და დაჟინებული.

ხოზა ბრძანებს: „ჩვენ კონფედერაციას ვთხოვეთ ივნისში პრეზენტაცია მოგვიწყოს. არგუმენტები შეაჯეროს და ორიდან რომელიმე ერთ კანდიდატს დაუჭიროს მხარი.“

ამრიგად, ნიგერიელთა გადაწყვეტილების შემდეგი 2006 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის მებრძოლთა შორის რჩებიან: ბრაზილია, ინგლისი, გერმანია, მაროკო და სამხრეთ აფრიკა.

საგულისხმოა, რომ ნიგერიის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მოჰყვა იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში გამართულ ამხანაგურ შეხვედრას ადგილობრივ და სამხრეთ აფრიკის ნაკრებს შორის, რომელისაც ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი დაესწრო. მატჩის შემდეგ ბლატერსა და სამხრეთ აფრიკელებს შორის დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებანი გაიმართა.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

დიეგო ციხეში

REUTERS ბუენოს აირესიდან

მარადონა ორი წლით და ათი თვით ციხეში ჩასვეს. მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, არგენტინის ხელისუფლებამ ჟურნალისტის ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა არ აპატია.

1994 წელს, აკრძალული ნივთიერებების გამოყენების ბრალდებით მსოფლიოს ჩემპიონატიდან მოკვეთილმა დიეგო არმანდო მარადონამ თავისი სახლის გარშემო შეკრებილ ჟურნალისტებს ზღურბლიდან „ცეცხლი გაუხსნა". შედეგად ერთი მათგანი დაიჭრა.

იმ შემთხვევიდან თითქმის ხუთი წელი გავიდა. ფეხბურთელი სხვადასხვა ხერხით აჭიანურებდა გამოძიებას, სასჯელის აცდენას ცდილობდა, მაგრამ საბოლოოდ სამართალმა თავისი გაიტანა — იგი დააპატიმრეს.

არგენტინის სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით, მარადონას ორი წლით და ათი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

— ჩვენ გვინდოდა დაგვემტკიცებინა, რომ კანონის წინაშე ყველანი თანასწორნი ვართ — განაცხადა მარსელო ბერმოლენმა, დაჭრილი ჟურნალისტის ადვოკატმა.

მას არ უყვარს რისკი

ზინედინ ზიდანი აგვისტოს ბოლომდე აღარ ითამაშებს.

მსოფლიოს ჩემპიონი სტრასბურგშია და ამ დღეებში მუხლზე ოპერაციას გაიკეთებს.

ზიდანმა სეზონი უკვე დაასრულა. იტალიის ჩემპიონატის დარჩენილ ორ შეხვედრას და ნაკრების ორ ოფიციალურ მატჩს გამოაკლდება.



REUTERS სტრასბურგიდან

— ეს სეზონი ჩემთვის დასრულდა. არ მინდა, გავრისკო. ოპერაციის შემდეგ რამდენიმე დღე საავადმყოფოში დავყოფ, შემდეგ სამი კვირა ექიმები გამიწევენ მეთვალყურეობას. მერე კი ჩემთვის არდადეგებიც დაიწყება. ასეთ დროს დასვენება სწორედ რომ მისწრებაა — განაცხადა ზინედინ ზიდანმა.

ევროპის და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა მუხლი ათენში, „ოლიმპიაკოსთან" ჩემპიონთა ლიგის საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში დაიშავა. იგი მას შემდეგ სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა „იუვენტუსის" შემადგენლობაში. ახლა კი, როგორც ხედავთ, რამდენიმე თვით გამოეთხოვა კლუბს.

სტრასბურში ზიდანს ძველი ნაცნობი, სახელგანთქმული სპეციალისტი ჟან ანრი ჟაეგერი უმკურნალებს. როცა ზიდანი 90-იანი წლების დასაწყისში „კანში" თამაშობდა, ფეხბურთელს უმძიმესი ტრავმა სწორედ ჟაეგერმა მოურჩინა.

ლიბერტადორესის თასი. მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

პალმეირასი (ბრაზილია) 2:0 კორინთიანსი (ბრაზილია)

1:0 ოსეასი (19), 2:0 როჟერიო (67)

პალმეირასი: მარკოსი, არსე, ჟუნიორ ბაიანო, კლებერი, რუბენსი, სეზარ სამპაიო, გალეანო, ალექსი (როჟერიო 64), ზინიო, პაულო ნუნეში (ჯექსონი 85), ოსეასი (ევაირი 66)

კორინთიანსი: ნეი, ინდიო (როდრიგო 82), ნენე, გამარა, სილვინიო, ამარალი, ვამპეტა, რიკარდინიო (დინეი 60), მარსელინიო, ედილსონი, ფერნანდო ბაიანო

გაფრთხილება: ედისონი (12), სილვინიო (13), ვამპეტა (44), ზინიო (56), ალექსი (59), კლებერი (88)

მსაჯი: პაულო სეზარ ოლივეირა (ბრაზილია)

რივერ პლეიტი (არგენტინა) 2:0 ველეს სარსფილდი (არგენტინა)

1:0 სორინი (32), 2:0 სავიოლა (71)

რივერ პლეიტი: ბონანო, რამოსი, სორინი, ლომბარდი, ასტრადა, სარაბია, სავიოლა (კასტილიო 82), ნეტო, ანხელი, გალიარდო (პლასენტე 61), ბერტი (განჩეადო 86)

ველეს სარსფილდი: ჩილავერტი, სოტომაიორი, კარდოსო, სანდონა, მენდესი, კუბერო, ბასედასი, კ. უსაინი, პანდოლფი, კამპსი (დ. უსაინი 46), მორიჯი (ფალკონი 61)

გაფრთხილება: ლომბარდი (11), კ. უსაინი (20), ასტრადა (25), ჩილავერტი (33), კარდოსო (35), ანხელი (53), რამოსი (68), მენდესი (71)

გაძევება: კუბერო (74)

მსაჯი: ორასიო ელიზონდო (არგენტინა)

ესტუდიანტეს დე მერიდა (ვენესუელა) 3:0 სერო პორტენო (პარაგვაი)

1:0 ეშენაუსი (24), 2:0 რაისესი (41), 3:0 მორანი (81)

ესტუდიანტეს დე მერიდა: გოლინდანო, კარდარელი, აგირე (კარნეირო 84), მორანი, ეშენაუსი, ვერგარა, ვერა, რაისესი (მოსკოტი 68), როხასი (კასტრო 68), ვალენილა, პაესი

სერო პორტენო: ასევალი, რეკალდე, ბლანკო, ლოპესი, ტოლედო, გავილანი, ესკობარი, ალვარენგა, მ. კაბალიერო (ფერნანდესი 67), კამპოსი (დ. კაბალიერო 46), იუნხესი (ესპინოზა 68)

გაფრთხილება: მორანი (2), იუნხესი (15), ლოპესი (24), ვალენილა (26), აგირე (44), მ. კაბალიერო (65), გავილანი (71), კარტრო (86)

გაძევება: ლოპესი (37)

მსაჯი: ჟილბერტო იდალგო (პერუ)

დეპორტივო კალი (კოლუმბია) 2:1 ბელა ვისტა (ურუგვაი)

0:1 პუმარი (10), 1:1 ზაპატა (40), 2:1 ბონილა (67)

დეპორტივო კალი: დუდამელი, მოსკუერა, იერესი, ბედოია, მარერო, ზაპატა, ვიველოსი, ბეტანკორტი, კანდელო (კორდობა 58), კასტილიო, ბონილა

ბელა ვისტა: ბერბია, პუმარი, მორანი (რომერო 83), ფილიპაუსკასი (ხაუმე 58), კაზანოვა, რუსომანდო, ლემბო, ჯაკომაზი, ლიემოსი, ალონსო, სარსია (ლოპეს ბაესი 52)

გაფრთხილება: მორანი (5), სარსია (25), მოსკუერა (32), ბერბია (40), ალონსო (43), ბონილა (67), ლოპეს ბაესი (73)

გაძევება: ზაპატა (84), რომერო (84), რუსომანდო (88)

მსაჯი: ლუის სოლორსანო (ვენესუელა)

REUTERS ბუენოს აირესიდან

რივერ პლეიტი — ველეს სარსფილდი 2:0. მასპინძელთა მეორე გოლის გამტანმა სავიოლამ ამჯერად ვერ იყოჩაღა

რუმინეთში დასრულდა ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე განმაურებული საქმის გამოძიება, რომელიც ქვეყნის უძლიერეს და უაღრესად ტიტულიან კლუბ ბუქარესტის „დინამოს" ეხებოდა. რუმინეთის საერთო სასამართლომ კლუბის ყოფილ პრეზიდენტს ვასილე იანულს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა და ამასთანავე ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს სასარგებლოდ 1,2 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. შეგახსენებთ, რომ ბუქარესტის „დინამოს" დღესდღეობით, ისევე როგორც რამდენიმე ათეულ წელიწადს, რუმინეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო კურირებს. გამოძიება იმიტომ დაიწყო, რომ ხელისუფლება იანულის კეთილსინდისიერებაში დაეჭვდა. გამოძიებამ დაადგინა: 51 წლის ვასილე იანულმა, რომელიც 1991-94 წლებში ბუქარესტის „დინამოს" პრეზიდენტი გახლდათ, სხვადასხვა ხერხებით 2,3 მილიონი დოლარი მიისაკუთრა, ამასთანავე მილიონ დოლარამდე გაფლანგა. თავად დამნაშავეს კომენტარი არ გაუკეთებია, მხოლოდ განაცხადა, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამარჯვებისთვის ნაკრების ფეხბურთელებს გვარიან თანხას ვუხდიდითო.

მარროკელი ფეხბურთელი მუსტაფა ჰაჯი შესაძლოა ესპანურ კლუბ ლა კორუნიას „დეპორტივოდან" ფრანგული, კერძოდ კი პარიზის „პარი სენ ჟერმენში" გადავიდეს. „ფრანგებმა მათთან გადასვლა შემომთავაზეს. ჯერჯერობით მირჩევნია, საფრანგეთში გადავბარგდე, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებამდე „დეპორტივოს" ხელმძღვანელებს შევხვდები და მომავალზე გავესაუბრები" — განაცხადა ჰაჯიმ. ლა კორუნიის კლუბში ჰაჯი აგერ უკვე მეორე სეზონია, თამაშობს, თუმცა, მას შემდეგ, რაც „დეპორტივომ" საფრანგეთის ჩემპიონ „ლანსიდან" სტეფან ზიანი შეიძინა, აფრიკული კლუბის ძირითად შემადგენლობაში სულ უფრო იშვიათად ხვდება. „ვერ დავუშვებ, რომ მუდამ ზიანის შემცვლელი ვიყო. ვფიქრობ, მე სტეფანთან ერთად კარგი წყვილის შექმნა შეიძლია, მაგრამ, სამწუხაროდ, მწვრთნელს ამისა არ სჯერა" — ისევ ჰაჯი. შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატზე ძლიერი თამაშის შემდეგ მარროკელი გასული წლის აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს. მუსტაფა ჰაჯის თავის დროზე ლისაბონის „სპორტინგშიც" უთამაშია.

ფეხბურთის რუკასთან

ოტლანდიურმა „აბერდინმა," ბოლო წელიწადნახევრის მანძილზე მესამე მწვრთნელი გაათავისუფლა. კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პოლ ჰეგარტთან კონტრაქტი აღარ გახანგრძლივდება. დეკემბერში ჰეგარტი დათხოვნილი ალექს მილერის დროებით შემცვლელად დაინიშნა, მერე ოფიციალური კონტრაქტიც გაფორმდა, ახლა კი თავად იგი გაუშვეს. „პოლ ჰეგარტი შესანიშნავი პიროვნებაა და მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენი გზები იყრება. ის საქმე, რომელზეც შევთანხმდით, არ შესრულდა, ასეთ დროს კი საჭიროა ცვლილებები" — განაცხადა „აბერდინის" თავმჯდომარე სტიუარტ მილნიმ. მას შემდეგ, რაც 1986 წელს კლუბი ალექს ფერგიუსონმა დატოვა და „მანჩესტერ იუნაიტედში" გადაბარგდა, „აბერდინმა" ექვსი მწვრთნელი გამოიცვალა. ფერგიუსონის ხელმძღვანელობით „აბერდინი" საჭერ შოტლანდიის ჩემპიონი, ხოლო ოთხჯერ ქვეყნის თასის მფლობელი გახდა. გარდა ამისა, კლუბმა თასების მფლობელთა თასი და ევროპის სუპერთასიც მოიგო.

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ჩემპიონატის აუტსაიდერ „სალამანკას" მწვრთნელი კარლოს დიარტე სამი მატჩითაა დისკვალიფიცირებული. პრემიერა დივიზიონის ბოლო ტურში, „ვალენსიასთან" 0:1 წაგებულ თამაშში კარლოს დიარტემ მსაჯს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც არბიტრმა მას წითელი ბარათი უჩვენა. ახლა, როგორც ხედავთ, დიარტე უფრო მკაცრად დაისაჯა. პარაგვაელი კარლოს დიარტეს ხელმძღვანელობით, რომელიც კლუბის მწვრთნელად აპრილის შუა რიცხვებში დაინიშნა, „სალამანკამ" ოთხი მატჩიდან მხოლოდ ორი ქულის მოპოვება შეძლო.

ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის განცხადებით, ქვეყნის ნაკრებს ოთხშაბათს, სლოვაკეთთან ამხანაგურ მატჩში ცნობილი თავდამსხმელი ხრისტო სტოიჩკოვი დააკლდება. როგორც ფედერაცია ამბობს, ფეხბურთელს ტრავმა არ მიუღია, უბრალოდ, მის კლუბს, იაპონიის „კაშივა რეისოლს" იგი ახლა ძალიან სჭირდება. სტოიჩკოვი ბულგარეთის ნაკრების მწვრთნელმა დიმიტარ დიმიტროვმა თავდაპირველად კი გამოიძახა, მაგრამ ახლა იგი სოფიის „ლევსკის" თავდამსხმელ გეორგი ბაჩევით შეცვალა. შეგახსენებთ, რომ 1994 წელს, როცა ბულგარეთმა ქვეყნის ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს წარმატებას — მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ადგილს მიაღწია, ხრისტო სტოიჩკოვი გუნდის ლიდერი გახლდათ. იგი 6 გოლით იმ პირველობის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. ცნობისთვის: 1995 წლის ოქტომბერში, როცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველომ თბილისში 2:1 დაამარცხა ბულგარეთი, ირაკლი ზოიძის კარში ერთადერთი გოლი სწორედ სტოიჩკოვმა გაიტანა.

მოლდოვის ჩემპიონი მერვედ გახდა კიშინიოვის „ზიმბრუ". ბელცის „ოლიმპიასთან" ფრედ 1:1 ნათამაშევი მატჩი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა, რათა პირველობის დასრულებამდე სამი ტურით ადრე „ზიმბრუ" მეტოქეთათვის მიუღწეველი გამხდარიყო. განვლილ ცხრა სეზონში რვაჯერ გაჩემპიონების გარდა „ზიმბრუ" ერთხელ მეორე ადგილზეც გავიდა. 1996-97 წლებში მას კიშინიოვის „კონსტრუქტორულმა" აჯობა.

თასების მფლობელთა თასი

XXXIV გათამაშება 1993-94 წლები

არსენალი

ლონდონი, ინგლისი

ალოიზ ეყლისაძვილი

UEFA Cup Winners' Cup

სრული ისტორია

მეთოფეების მეორე გასროლა

ლონდონის „არსენალს“ 24 წელიწადი დასჭირდა იმისათვის, რომ თავის ისტორიაში მეორე ევროთასი მოეგო. 1970-ში „მეთოფეებმა“ ბაზრობათა თასის ფინალში ბელგიური „ანდერლეხტი“ დაამარცხეს, 94-ის 4 მაისს კი კოპენჰაგენის „პარკენზე“ წინა გათამაშების გამარჯვებულ იტალიურ „პარმას“ სძლიეს. ეს „არსენალის“ მეორე ფინალი იყო თასთა თასის ისტორიაში. 1980 წელს ლონდონელებმა პენალტებით წააგეს ალფრედო დი სტეფანოსა და მარიო კემპესის „ვალენსიასთან“.

„მეთოფეთა“ ბოლო წლების წარმატებები ერთი კაცის — ჯორჯ გრემის სახელთან გახლდათ დაკავშირებული. გრემი 70-იანის დასაწყისში გუნდის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი იყო, 1986-ში კი მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. პირველივე სეზონში მისი ხელმძღვანელობით „არსენალმა“ ინგლისის ლიგის თასი მოიგო, მერე ორჯერ — 1989 და 91 წლებში ქვეყნის ჩემპიონიც გახდა. 94-ში კი ყველაფერი თასთა თასის მოპოვებით დაგვირგვინდა.

ამ დროისთვის „მეთოფეებს“ გამოცდილ და ცოტა შებერებული გუნდიც ჰყავდათ. ყოველ შემთხვევაში, შემადგენლობის ნახევარი ოცდაათს გადაცილებული იყო.

„პარმასთან“ ფინალური მატჩის გმირი ალან სმიტი გახდა (დღევანდელი „ლიდსის“ მის სეხნიაში არ აგერიოთ). მეგოლე, რომელიც ბოლო დროს იან რაიტის ჩრდილში მოქცეულიყო. შავკანიანი რაიტი მართლაც ჩინებულ ფორმაში იყო და უამრავი ბურთი გაჰქონდა, მაგრამ „პარმასთან“ ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშა და სმიტის ჯერიც დადგა. სმიტი თავის დროზე „ლესტერში“ თამაშობდა და გარი ლინეკერთან ერთად თავდასხმის მრისხანე ხაზს ქმნიდა. 1987-ში „არსენალში“ გადავიდა. წინსვლა იქაც გააგრძელა, მაგრამ 1991-ში „მეთოფეებმა“ „კრისტალ პალასიდან“ იან რაიტი გადაიყვანეს და სმიტიც დაიჩრდილა.

გადამწყვეტ მატჩამდე „არსენალმა“ რამდენიმე ჩინებული თამაში ჩაატარა. მერვედფინალში საერთო ანგარიშით 10:0 მოუგო ბელგიურ „სტანდარდს“, მერე იტალიურ „ტორინოს“ სძლია და ნახევარფინალში „პარი სენ ჟერმენს“ შეხვდა.

პარიზში, როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მასპინძლებს „ცეცხლი აკლდათ“, თუმცა კი მათ შემადგენლობაში ჟინოლა, ვეა, რაი და ვალდო თამაშობდნენ. რაიტმა 35-ე წუთზე გახსნა ანგარიში. ფრანგები ბევრს ეცადნენ, მაგრამ მხოლოდ ჟინოლას გოლს დასჯერდნენ და საპასუხო მატჩზე პრაქტიკულად განწირულები გაემგზავრნენ. ანგარიში არა, მაგრამ თამაში ამის თქმის საფუძველს იძლეოდა. ლონდონში კევინ კემპბელმა მე-6 წუთზევე გაიტანა და მერე „არსენალმა“ ანგარიშის შენარჩუნების გაკვეთილი ჩაუტარა მოწინააღმდეგეს.

რაც შეეხება „პარმას“, წინა გათამაშების გამარჯვებული კვლავ ფავორიტად ითვლებოდა და თავი არ შეურცხვენია. „პარმა“ — „იაქსის“ მეოთხედფინალური დუელი ჟურნალისტებმა ერთხმად დაასახელეს ტურნირის ყველაზე წარმტაც სანახაობად.

ამსტერდამში უგოლო ფრის მიუხედავად, მაყურებელს ერთი წუთიც არ მოუსვენია. აიაქსელებმა ლიტმანენმა, რაიკარდმა და პეტერსენმა, პარმელებმა ასპრილიამ, ძოლამ, ბროლინმა და კრიპამ აუარბელი საგოლე მომენტები შექმნეს და თუ ბურთი არ გავიდა, ეს მხოლოდ მეკარეებისა და იღბლის ბრალი იყო.

პარმაშიც თამაშის სურათი არ შეცვლილა. ოვერმარსი და ზეედორფი მასპინძლებს ხშირად ანერვიულებდნენ, მაგრამ ისინი ფრთებიდან უტევდნენ, ცენტრში კი ამსტერდამელებს ტრავმირებული ლიტმანენი აკლდათ და მათი შეტევებიც სიმწვავეს კარგავდა. მე-15 წუთზე ძოლას ჩაწოდებული ფრანკ დე ბურს მოხვდა ხელზე. მსაჯმა პენალტი დანიშნა. ნიშნულთან ბურთი ძოლამ გაასწორა, მაგრამ, ყველასათვის მოულოდნელად, მინოტიმ დაარტყა და გაიტანა კიდეც. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ბროლინი-ძოლას კომბინაცია შვედის გოლით დამთავრდა და ეს „ულამაზესი დაპირისპირება“ იტალიელების გამარჯვებით აღინიშნა.

ფინალში „პარმას“ მთავარი იმედი ჯანფრანკო ძოლა იყო და ამას არც მწვრთნელი ნევიო სკალა უარყოფდა. მაგრამ „იტალიელმა მარადონამ“ ვერ ივარგა. ორი გაცუდებული მომენტი — ასეთი იყო ძოლას კოპენჰაგენური მონაგარი. თუმცა ძოლამ თასების თასის ისტორიაში მაინც დატოვა კვალი: ოთხი წლის შემდეგ, 1998-ში მისმა გოლმა „ჩელსის“ „შტუტგარტთან“ გაამარჯვებინა.

ჯორჯ გრემის ნათქვამი კი ახდა: „დღეს „პარმა“ ობიექტურად ჩვენზე ძლიერი გუნდია, მაგრამ თუ მოვახერხეთ და ანგარიში გავხსენით, გარწმუნებთ, „არსენალი“ თასს შინ წაიღებს“ — ასეთი იყო გრემის მატჩისწინა პროგნოზი. მე-19 წუთზე ალან სმიტმა შესანიშნავად ითამაშა, პარმელ მცველებს დაასწრო და გაიტანა. ეს გოლი მართლაც ერთადერთი აღმოჩნდა შეხვედრაში.

ჯორჯ გრემი ძვირფასი ნადავლით

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელის არქივიდან

თუმცა, თავიდან თამაში ნევიო სკალას სცენარით მიმდინარეობდა. იტალიელებმა მოწინააღმდეგეს სწრაფი ტემპი შესთავაზეს და პირველ თხუთმეტ წუთში რამდენჯერმე გატანაც შეეძლოთ. თავის მხრივ, გამოწვევა ინგლისელებმაც მიიღეს და თასის მფლობელებს ვალში არ დარჩნენ. ტომას ბროლინის დარტყმული ბურთი ლონდონელთა კარის ძელს მოხვდა. იქვე კემპბელს შეექმნა ჩინებული სიტუაცია, მაგრამ სასწაულებრივად ვერ შეაგდო.

მერე სმიტის ჯერიც დადგა. „პარმას“ კაპიტანმა ლორენცო მინოტიმ საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს „მაკრატელათი“ სცადა სიტუაციის განმუხტვა, მაგრამ მთლად ხეირიანად ვერ გამოუვიდა და ბურთი იქვე მდგომ სმიტს მიუვიდა. ესეც არ დაიბნა, ჯერ მკერდზე გააჩერა, მერე ზუსტად დაარტყა. ვერც ძელმა, რომლისგანაც ბურთი კარში შეგორდა, ვერც მეკარე ბუჩიმ და ვერც ახლოს მყოფმა მცველებმა სმიტს ვერაფერი მოუხერხეს.

„ძალიან ძნელი იყო, მაგრამ ნამდვილი მებრძოლი ხასიათი გამოვავლინეთ და მთელს საფეხბურთო ევროპას დავუმტკიცეთ ჩვენი ძალა. ვფიქრობ, პარმელები მიხვდნენ, რომ რაღაც-რაღაცეების სწავლა ჩვენგანაც შეიძლება — თქვა ნამატჩევს გრემმა — ჩემი ბიჭები ამ საღამოს გმირები არიან და უკლებლივ ყველა კარგ საჩუქარს იმსახურებს“.

ნევიო სკალამ კოლეგას გამარჯვება მიულოცა და ესღა თქვა: „დღეს მოწინააღმდეგემ გვაჯობა. მათ კარგად გვაჩვენეს, როგორ უნდა გოლის შემდეგ ბურთის კონტროლი და ანგარიშის შენარჩუნება“.

სმიტი, ცხადია, განსაკუთრებულად ხარობდა: „ეს იყო შესანიშნავი გამარჯვება დამღლელი სეზონის ბოლოს. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ. განგებამ ინება და გამარჯვების ბურთი გამატანინა. მადლობა ჩემს პარტნიორებს, მათ ნამდვილი ვაჟკაცური თვისებები გამოავლინეს“ — ასეთი იყო ფინალის გმირის სიტყვები.

ბედნიერი მეთოფეები

მე-19 წუთი. ალან სმიტის ამ დარტყმას ფინალის ერთადერთი გოლი მოჰყვა

სარბიელის არქივიდან

ნინასწარი წრე კარპატი (უკრაინა) — შელბურნი (ირლანდია) 1:0, 1:3; რაფი (ლატვია) — ჰაფნარი (ტორსჰავნი, ფაროერები) 1:0, 0:3 (*რაფი არ გამოცხადდა*); სლიმა უონდერერსი (მალტა) — დევერფორსი (შვედეთი) 1:3, 0:3; ბანგორ სიტი (ჩრდ. ირლანდია) — აპოელი (კვიპროსი) 1:1, 1:2; დუდელანჟი (ლუქსემბურგი) — მაპაპი (ჰაიფა, ისრაელი) 1:1, 1:5; ვალიერი (ისლანდია) — მიულუკორსკი (ფინეთი) 3:1, 1:0; ბალცერსი (ლიხტენშტაინი) — ალბეტრიულ პაპოსი (ალბანეთი) 3:1, 0:0; ნიკოლი (ესტონეთი) — ლილესტრიომი (ნორვეგია) 0:4, 1:4; ჟოშიცე (სლოვაკეთი) — ფალგერისი (ლიტვა) 2:1, 1:0; ლუგანო (შვეიცარია) — ნემანი (ბელარუსი) 5:0, 1:2; პუბლიკუმი (სლოვენია) — ოდინსი (დანია) 0:1, 0:0

პირველი წრე

ტორპედო (მოსკოვი, რუსეთი) — მაპაპი 1:0, 1:3; დეგერფორსი — პარმა (იტალია) 1:2, 0:2; აბოელი — პარი სენ-ჟერმენი (საფრანგეთი) 0:1, 0:2; ლევ�რკუზენი (გერმანია) — ბობი (ჩეხეთი) 2:0, 3:0; ვალიერი — აპოელი (მოტლანდია) 0:3, 0:4; უნივერსიტატია (რუმინეთი) — ჰაფნარი 4:0, 3:0; ცსკა (სოფია, ბულგარეთი) — ბალცერსი 8:0, 3:1; კოშიცე — ბეშიქთაში (თურქეთი) 2:1, 0:2; პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — შელბურნი 3:0, 2:1; ბენფიკა (პორტუგალია) — გჯს (ბოლონეთი) 1:0, 1:1; ლილესტრიომი — ტორინო (იტალია) 0:2, 2:1; ოდენსე — არსენალი (ინგლისი) 1:2, 1:1; სტანდარდი (ბელგია) — კარდიფ სიტი (უელსი) 5:2, 3:1; პაპირი (ავსტრია) — ფერენცვაროში (უნგრეთი) 3:0, 2:1; რეალი (მადრიდი, ესპანეთი) — ლუგანო 3:0, 3:1; ჰაიდუკი (ხორვატია) — აიაქსი (ჰოლანდია) 1:0, 0:6 (*ლიუბლიანა*)

მეორე ფინალი

მაკაბი — პარმა 0:2, 1:0; ტორინო — ატლეტიკო 3:2, 2:1; ვალერენგა — რეალი 1:1, 0:3; ბენფიკა — ცსკა 3:1, 3:1; აიაქსი — ბეშიქთაში 2:1, 4:0; არსენალი — სტანდარდი 3:0, 7:0; ჰაფნარ — უნივერსიტატია 4:0, 2:0; პანათინაიკოსი — ლევerკუზენი 1:1, 2:1

მეოთხედფინალი

ბენფიკა — ლევერკუზენი 1:1 (*ისაიაში; ჰაპე*), 4:4 (*ეულეოვი 2, ეოიო ვ. ბინტუ, შაფერი; კირსტენი 2, შუსტერი, ჰაპალი*)

ტორინო — არსენალი 0:0, 0:1 (*ადამსი*)

აიაქსი — პარმა 0:0, 0:2 (*ბინოტი, ბროლინი*)

რეალი — ჰაფნარ 0:1 (*ეეა*), 1:1 (*ბუტრაგენიო; რიკარდო ვიმეში*)

ნახევარფინალი

ჰაფ — არსენალი 1:1 (*ეიბოლა; რაიტი*), 0:1 (*კემპბელი*)

ბენფიკა — პარმა 2:1 (*ისაიაში, რუი კოშტა; ძოლა*), 0:1 (*ხენსინი*)

ფინალი. კოპენჰაგენი. 4 მაისი. 33 765 მაყურებელი

არსენალი 1:0 პარმა

1:0 სმიტი (19)

არსენალი: სიმენი, დიქსონი, უინტერბერნი, დევისი, ბოულდი, ადამსი, კემპბელი, მორიუ, სმიტი, მერსონი (მაკგოლდრიკი 86), სილი

პარმა: ბუჩი, ბენარივო, დი კიარა, მინოტი, აპოლონი, სენსინი, ბროლინი, პინი (მელი 70), კრიპა, ძოლა, ასპრილია

მსაჯი: კრონდლი (ჩეხეთი)

საქართველოს ჩემპიონატი

32 ტური

საუკეთესო მოთამაშე

ბუბა ბერიშვილი
-კოლხა-

ბუბა ბერიშვილის ფოტო

სოხუმის „კოლხასთან“ გამარჯვების შემთხვევაში ასკ კიდევ ინარჩუნებდა უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსს, მაგრამ კადეტთა ნაკრებისა და „კოლხას“ გამთამაშებლის, ბუბა ბერიშვილის კარგი თამაშის გამო პირველ ტაიმშივე ნათელი გახდა, რომ არმიელების ოცნებას განხორციელება არ ეწერა. გამარჯვებულთაგან საუკეთესო ბერიშვილმა პირველ ტაიმში მოპოვებულ 21 ქულას შესვენების შემდეგ 19 დაუმატა და 40 ქულით ტურის ყველაზე შედეგიან კალათბურთელობასთან ერთად საუკეთესო მოთამაშის სახელიც მოიპოვა.

— ბუბა, თუ ელოდით, რომ ტურის საუკეთესო მოთამაშედ დაგახასელებდნენ?

— რა თქმა უნდა, ტურის საუკეთესო მოთამაშედ გახდომის სურვილი მქონდა, მაგრამ იმედი — ნაკლებად.

-- რატომ, თქვენ ხომ გამთამაშებლის ფუნქცია დიდებულად შეასრულეთ და თავდასხმაშიც საუკეთესო იყავით.

— პესიმიზმი იმან განაპირობა, რომ მე ჯერ მხოლოდ კადეტთა ნაკრების წევრი გახლავართ და ჩემპიონატში ჩემზე ბევრად გამოცდილი, ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების წევრები თამაშობენ.

— გეთანხმებით, მაგრამ 40 ქულის მოსაგროვებლად მარტო გამოცდილება არ კმარა. თანაც, „კოლხასავით“ ახალგაზრდა სპორტსმენებით დაკომპლექტებული ასკ მთელი 31 ქულის სხვაობით დაამარცხეთ. რამ განაპირობა „კოლხას“ ასეთი უპირატესობით გამარჯვება?

— თითქმის ყველამ კარგად ვითამაშეთ დაცვაში. შემდეგ ზონაში ჩავდექით, რომელსაც მეტოქემ ვერაფერი მოუხერხა და ჩვენი წარმატებაც ამან განაპირობა.

— განსხვავებით თქვენი ამპლუის მოთამაშისგან, რომლებიც აქცენტს ძირითადად სამქულიანებზე აკეთებენ, თქვენ 13 ორქულიანი, 8 საჯარიმო და მხოლოდ 2 სამქულიანი ჩაიგდეთ. მიზეზს ვერ გვეტყვით?

— ალბათ, იმიტომ, რომ სამქულიანების სროლას გონივრული პასი მირჩევნია. თუ თანაგუნდელები ვერ მეხსნებიან, მაშინ ფიზიკური მონაცემების, სისწრაფის, დრიბლინგისა და გრძელი ხელების იმედად თვითონ ვუტევ მეტოქის კალათს.

— ყოველთვის წარმატებით?

— უმეტესად კი.

— მომდევნო ტურში მაჩანჩალა „შევარდენთან“ დამარცხდით?

— „შევარდენი“ ის გუნდია, რომელიც სამქულიანებზე აგებს თამაშს და თუ წაუვიდა სროლა, ნებისმიერ გუნდს უქმნის პრობლემებს.

ჩემთან ერთად, ძირითადის რამდენიმე თანაგუნდელმა დატოვა მოედანი 5 პერსონალურის გამო და ამანაც განაპირობა ჩვენი დამარცხება ოვერტაიმში. განწყობაც აღარ იყო ისეთი, როგორც ასკ-სთან შეხვედრაში, რადგან არმიელების დამარცხების შემდეგ მერვე ადგილს ველარავინ შეგვეცილება.

— უკეთესი ადგილის მოპოვების შანსი თუ გქონდათ?

— რა თქმა უნდა, გვქონდა, მაგრამ „კოლხამ“ წლეულს ერთბაშად 6 კალაიბურთელი (ნიკა ცქიტიშვილი, ვანო აბულაძე, გოგიტა ბერია, გოგიტა ბენდიანიშვილი, ბეჟან და ვახტანგ ქვილაიები) დაკარგა. ისინი ძირითადის წევრები იყვნენ.

— მეშვიდე-მერვე ადგილიც რომ არ იძლევა უმაღლეს ლიგაში დარჩენის გარანტიას? აღნიშნულ ადგილებზე გასულ გუნდებს ურთიერთობის გარკვევა მოუწევთ პირველ ლიგის ორ საუკეთესოსთან. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას?

— მეეჭვება, რომ პირველ ლიგაში მოასპარეზე გუნდებმა, რომლებსაც უფლება არ აქვთ დაიმატონ უმაღლეს ლიგაში ნათამაშები კალათბურთელები, ჩვენი დამარცხება შეძლონ.

— „კოლხას“ მწვრთნელი, ვაჟა კვარაცხელია პერსპექტიული კალათბურთელების შერჩევის ოსტატად არის მიჩნეული. თქვენც მან ხომ არ აღმოგაჩინათ?

— ზუსტად არ მახსოვს, 1989 ან 1990 წელი იქნებოდა, მე-2 კლასში სწავლის დროს. სოხუმის მე-5 საშუალო სკოლაში მოვიდა ვაჟა მასწავლებელი და რამდენიმე ბავშვთან ერთად მეც ამიყვანა თავის გუნდში.

— რამდენი წელია, რაც „კოლხაში“ თამაშობთ?

— ერთი წელიწადი ბავშვთა ლიგაში ვთამაშობდი, ხოლო ბოლო ორი წელიწადი უმაღდეს ლიგაში გამოვდივარ.

— მანამდე რატომ არ ჩანდი, სხვა გუნდში თამაშობდი?

— აფხაზეთის მოვლენების შემდეგ ჩემი მშობლები ომსკში გადავიდნენ საცხოვრებლად და 3 წელიწადი იქ ვკარჯიშობდი. ცოტა ხნით სანკტ-პეტერბურგშიც ვცხოვრობდით და „სპარტაკის“ ბავშვთა საკალათბურთო გუნდსაც მივაკითხე, მაგრამ მალე თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად. აღარ მეგონა, ვაჟა მასწავლებელს გუნდი თუ ჰყავდა და რომ გავიგე, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი მასთან თამაშს.

— სანკტ-პეტერბურგის „სპარტაკის“ ბავშვთა გუნდში დიდხანს ვარჯიობდით?

— „სპარტაკში“ თითქმის არ მივარჯიშია. მხოლოდ გამსინჯეს და გუნდშიც ჩამრიცხეს, მაგრამ მალე თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად.

— კადეტთა ნაკრებში როდის აგიყვანეს?

— ნაკრებს პირველად თურქეთის ტურნირზე ვახლდი. ბოლოს კი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ვითამაშე კვიპროსში, სადაც საქართველომ ფრანგებთან და ესპანელებთან ერთად სლოვენიაში დაგეგმილი ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვა.

— თამაში ხშირად გიწევდათ?

— ყველაზე დიდხანს, დაახლოებით 30 წუთი ვითამაშე კვიპროსის ნაკრებთან.

— მიწევდა თუ გქონდათ რომელიმე ქვეყნიდან?

— კვიპროსში არავინ დამკავშირებია, მაგრამ სანკტ-პეტერბურგში კი მეპატიჟებიან. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ოჯახის მიტოვება მიჭირს და ჯერ-ჯერობით წასვლა ვერ გადამიწყვეტია.

— ვიცი, რომ თქვენ ვარჯიშიც კი არ გაგიცდენიათ...

— ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივარი მამაჩემი იყო და ყოველთვის მეუბნებოდა: „შვილო, რაც არ უნდა მოხდეს, ვარჯიში არ გააცდინო და კალათბურთს თავი არ დაანებო“. მამის დანაბარებს პატივს ვცემ.

— ესე იგი, ბოლომდე მამის სიტყვების ერთგული რჩებით?

— რა თქმა უნდა. ძირითადად კალათბურთით ვიქნები დაკავებული და მერე კი, მამაჩემივით ბიზნესმენობას ვაპირებ.

როლანდ ლაგუჩიძე

დავით ბერძენიშვილი: შვეიცარიაში წაგება ქართულ კალათბურთს დაასამარებს

თამაშობდე უცხო ქვეყანაში და ყოველ წელს იმ ქვეყნის ჩემპიონი ხდებოდე, ურიგო შედეგი როდი გახლავთ. სლოვაკურ „სლოვაკოფარმაში“ გატარებული სამი სეზონი და ამდენივე ჩემპიონის ტიტული — აი, ამ წარმატებით იწონებს თავს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ცენტრი დავით ბერძენიშვილი.

მას შემდეგ, რაც ეროვნული გუნდი ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის შეუდგა მზადებას, ბერძენიშვილი სამშობლოში ჩამოვიდა და ლეგიონერთაგან პირველი შეუერთდა ნაკრებს. დათოს დიღმის სწვრთნელ ბაზაზე, ორსაათიანი მომქანცველი ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრე. ცხადია, თავდაპირველად მესამედ გაჩემპიონება მივულოცე, ინტერვიუზეც თავაზიანად დამთანხმდა



ფოტო ეროვნული ბიბლიოთეკა

სლოვაკეთის სამგზის ჩემპიონი დავით ბერძენიშვილი

— სლოვაკეთის ჩემიონატი აპრილის ბოლოს დამთავრდა და, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დავუთმეთ. შვიდი წელია, რაც სლოვაკეთში დამოუკიდებელი საკალათბურთო ლიგა შეიქმნა და აქედან ზედიზედ ოთხჯერ „სლოვაკოფარმა“ გახდა ჩემპიონი. ვფიქრობ, კარგი შედეგია. მით უფრო, რომ დედაქალაქის გუნდები უკან მოვიტოვეთ.

— გატყობ, გამარჯვებაში ეჭვი არ გეპარებოდა. ნუთუ სხვა კლუბები ვერ უწევენ კონკურენციას „სლოვაკოფარმას“?

— მთელი სეზონი ძალიან რთული და დაძაბული გვქონდა. იყო ჩავარდნებიც, მაგრამ ბოლოს, პლეი ოფებში, გუნდმა შეძლო მობილიზება. ფინალამდე ხომ დაუმარცხებლად მივედით და იქაც მშრალად, 3:0 მოვუგეთ ბრატისლავის „ინტერს“.

— თავად რა წვლილი დაიდე გუნდის გაჩემპიონებაში?

— მოდი, ყველაფერს დაწვრილებით და გულახდილად მოგიყვები. სეზონი რომ დაიწყო კლუბის ხელმძღვანელობა ჩემზე დიდ იმედებს ამყარებდა. ვიმსახურებდი კიდეც მათ ნდობას. გასულ წელს ჩემპიონები რომ გავხდით, თითქმის შეუცვლელად მიწევდა თამაში, ყველაფერი კარგად გამომდიოდა და უკმაყოფილონი როტომ უნდა ყოფილიყვნენ. წლეულს ცოტა ამერია საქმეები. გუნდში ახალი მწვრთნელი, ჩეხი სპეციალისტი რონი მოვიდა და რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო ნაკლებს მათამაშებდა. თავიდან არაფერს ვამბობდი და ბოლმას თავდაუზოგავი ვარჯიშით ვიქარვებდი, ბოლოს კი ფინალებზეც რომ არ დამაყენა, ველარ მოვითმინე და გვარიანადაც შევკამათდით.

— მაინც რას გერჩოდა, თუ აგიხსნა უთამაშებლობის მიზეზი?

— საქმეც ეგ არის, რომ ვერ ამიხსნა. თითზე ჩემი ახალგაზრდული ასაკი დაიხვია და სულ იმას მეჩიჩინებოდა, შენთვის ჯერ ადრეა, ახალგაზრდა ხარ, მომავალი წინა გაქვს და შენი დროც მოვაო. მეც ვეუბნებოდი, ახალგაზრდა რომ ვარ, სწორედ ახლა მინდა თამაში-მეთქი, მაგრამ ვერ შევასმინე. ბოლოს მკაცრად დავუსვი საკითხი, ან მათამაშე, ანაც გუნდიდან წავალ-მეთქი.

— ეს რომ გაიგო, რა გითხრა?

— შეიცხადა, არსადაც არ გაგიშვებო, მითხრა, მაგრამ ახლა რაც უნდა ის თქვას, გადავწყვიტე, რომ წამოვიდე „სლოვაკოფარმადან“.

— ნუთუ ასე ადვილად შეელევი ამ გუნდს?

— როგორც გინდა, ისე გაიგე. ჩემთვის მთავარი თამაშია. სლოვაკეთში სკამზე საყურყუტოდ არ ჩავსულვარ.

— მწვრთნელთან უთანხმოების გარდა რაიმე სხვა პრობლემებიც ხომ არ გქონია? თუნდაც მატერიალური.

— არა, პირობები სავსებით დამაკმაყოფილებები მქონდა. ბინა ქალაქის პრესტიჟულ უბანში, მანქანა, ფული, შენ ოღონდ გევარჯიშა, თუმცა ჩემთვის ეს სულაც არ იყო მთავარი...

— მესმის, რომ „სლოვაკოფარმაში“ გული აღარ გიდგება, მაგრამ თუკი კონტრაქტით ამ კლუბს ეკუთვნი?

— კონტრაქტისგან უკვე თავისუფალი ვარ, ვადა სეზონის ბოლოს გაუვიდა და ახლა შემიძლია, სადაც მინდა, იქ გავაგრძელო თამაში. კიდევ კარგი, თავიდან უფრო გრძელვადიანი ხელშეკრულება არ გავაფორმე.

— დათო, სლოვაკური გუნდიდან, ალბათ, ნაწყენი მოდიხარ. არადა, იქ მთელი სამი წელი დაჰყავი...

— მწვრთნელმა მაწყენინა, თორემ სხვა მხრივ რა მაქვს სადარდებელი. პირიქით, კმაყოფილი ვარ, შესანიშნავ პირობებში ვვარჯიშობდი და ვფიქრობ, როგორც კალათბურთელი, საგრძნობლად გავიზარდე. გარდა ამისა, უამრავი მეგობარი შევიძინე, ადგილობრივებიც და ისეც, ჩასულები. ენაც უცებ შევითვისე. ქვეყანაც მომწონს.

— რაკი ასეა, წამოსვლაც გაგიჭირდება. გატყობ, არც ის გადაგიწყვეტია, თამაშს სად გააგრძელებ. იქნებ ისევ სლოვაკურ გუნდში ამოყო თავი?

— შესაძლოა, ოღონდ „სლოვაკოფარმას“ ვარიანტი გამორიცხულია. სამი-ოთხი კლუბია ჩემით სერიოზულად დაინტერესებული და წამოსვლის წინ ვესაუბრე კიდეც მათ წარმომადგენლებს. თავიანთი პირობები წამიყენეს და არცთუ ურიგო, მაგრამ კონკრეტულად არაფერი გადამიწყვეტია. იქამდე ჯერ დროც საკმაოა, მთელი ზაფხული წინაა. ახლა ერთადერთი, რაზეც ვფიქრობ, ეს ეროვნული ნაკრებია.

— ნაკრები მარტო შენი კი არა, მთელი ქვეყნის საფიქრალი უნდა იყოს. ევროპის ჩემპიონატის წინა ციკლში ათიდან ათივე შეხვედრის წაგებით გულშემატკივარმაც გული აიცრუა ქართულ კალათბურთზე. ევროპაშიც ხომ წაგვიხდა სახელი. ახლა, სულ მალე, შვეიცარიის ტურნირი დაიწყება. შენ და შენი თაობის კალათბურთელებმა სწორედ იქ უნდა დაამტიცოთ, რომ ისე არ წვიმს, რომგორც ქუხს. ქომაგიც მხოლოდ გამარჯვებას ითხოვს...

— ითხოვს და მართალიც არის. მათაც მოსწყინდათ ამდენი წარუმატებლობა...

— და მაინც, როგორი შანსი აქვს ნაკრებს შვეიცარიაში?

— ვფიქრობ, უეჭველად გავალთ შემდეგ ეტაპზე. იქნებ ზედმეტად ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ ვიცი, რასაც ვამბობ.

— საიდან ასეთი თავდაჯერება?

— გუნდის თითოეული წევრი მხოლოდ მოსაგებად არის განწყობილი. ასეთი ერთსულოვნება ნაკრებში აქამდე არ მახსოვს. თანაც ყველას შეგნებული გვაქვს, სად მივდივართ და რისთვის. შვეიცარიაში წაგება ხომ თითქმის ივივეა, რაც ქართული კალათბურთის დასამარება.

გიორგი ბიკაშვილი

მერიის თასზე

ფინალი მეტად უცნაურად დასრულდა: საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა და სანკტ პეტერბურგის „სპარტაკმა“ 84:84 ითამაშეს და გამარჯვებულად ორივე გამოცხადდა. მესამე ადგილისთვის რუსთავის „აზოტმა“ 87:86 დაამარცხა საქართველოს კადეტთა ნაკრები.

აზოტი — თსუ გადათამაშდება

ეროვნული ჩემპიონატის 33-ე ტურის მატჩი „აზოტი“ — თსუ კი ჩამთავრდა, მაგრამ დამარცხებულ სტუდენტთა ხელმძღვანელობამ შედეგი ფედერაციაში გააპროტესტა, აქაოდა ამ შეხვედრის მომსახურე მსაჯები დაუდევრად მოიქცნენ, როცა მატჩის დამთავრებამდე 17 წამით ადრე მწვრთნელის ნოდარ ქორქიას მიერ მოთხოვილი და მდივნის მიერ გამოცხადებული წუთშესვენება არაფრად ჩააგდეს და თამაში გააგრძელესო.

კომპეტენტურმა პირებმა, იმსჯელეს რა ამ საკითხზე, გადაწყვიტეს, რომ შედეგი გააუქმონ, ხოლო მატჩი მოგვიანებით, ეროვნული ნაკრების შვეიცარიული ტურნირიდან დაბრუნების შემდეგ გადაათამაშონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1999 NBA PLAYOFFS

პლეი ოფი. პირველი წრე (სამ მოგებამდე)

აივერსონს სიმაღლის ეშინია

11 მაისი

აღმოსავლეთი

ინდიანა — მილუოკი 2:0

ინდიანა 108:107 მილუოკი

(ძირითადი დრო 101:101)

ინდიანა: ჯეკსონი (13), მილერი (30), მულინი (6), დ. დევისი (7), სმიტსი (6); როუზი (14 ქულა, 9 პასი), პერკინსი (14), ა. დევისი (9), მაკკიი (7), ბესტი (2), ჰოიბერგი

მილუოკი: კასელი (17 ქულა, 11 პასი), ალენი (25 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), რობინსონი (23 ქულა, 12 მოხსნა), ტომასი (2), ჯონსონი (9); მ. კარი (10), ტრეილორი (10), ვორქმენი (9), გილიამი (2), დ. კარი, გატლინგი

ორი უკანასკნელის — ინდიანელი რეჯი მილერისა და მილუოკელი რეი ალენის დუელი ინდიანას თავდამსხმელმა დეილ დევისმა უკანა პლანზე გადასწია. დევისმა იმ დღეს სულ შვიდი ქულის გაკეთება შეძლო, მხოლოდ სამი ბურთი ჩაგდო, მაგრამ ამ სამიდან უკანასკნელი ოვერტაიმის ბოლო წამზე და ინდიანას სერიის მეორე თამაშშიც გაამარჯვებინა. ამასთან, ინდიანამ ზედიზედ მეათე საშინაო თამაში მოიგო პლეი ოფში.

მილუოკიმ, აქამდე შვიდი წელი პლეი ოფი თვალით რომ არ ენახა, სერიის პირველი თამაში სამარცხვინოდ, 22 ქულის სხვაობით წააგო, მაგრამ მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა, ვისი დამსახურებაცაა ის, რომ „ბაქსი" პლეი ოფშია და ინდიანას სიქას აცლის, შეგირდები დროულად მოიყვანა გონს. მათ აშკარად ძლიერ ინდიანასთან თავი დადეს და, მართალია, წააგეს, მაგრამ ღირსეულ ბრძოლაში. ამისათვის მწვრთნელმა ჯორჯ კარლმა მილუოკის ყველა მოთამაშეს მადლობა გადაუხადა — დდი მადლობა, ბიჭებო, ყოჩაღ, კარგად ითამაშეთო.

თამაში მართლაც დაძაბული გამოდგა. მეორე მეოთხედში უფრო ინდიანამ იძალა და 11 ქულით დაწინაურდა, მაგრამ მეოთხე მეოთხედში უკვე მილუოკიმ გაუსწრო. ინდიანა დაიხსნა რეჯი მილერმა, რომელმაც ბოლო წუთში რვა ქულა გააკეთა და მატჩი ოვერტაიმში გადაიყვანა. სხვათა შორის, იმ დღეს მილერმა 30 ქულა კი მოიხვეჭა, მაგრამ ბევრიც ააცილა, 18 ნასროლი სამქულიანიდან მხოლოდ 3 ჩააგდო, არადა, იგი სამქულიანების დიდოსტატად ითვლება. ლიგის ისტორიაში მასზე მეტი სამქულიანი მხოლოდ მიჩ რიჩმონდს ჩაუდია.

ოვერტაიმში მატჩი ქულა-ქულაში მიმდინარეობდა. მატჩის დასრულებამდე 49 წამით ადრე მილუოკელმა გლენ რობინსონმა ჩაგდო და ანგარიში 107:106 გახადა. შემდეგ გუნდებმა თითო უშედეგო შეტევა გაცვალეს და ბოლო წამებზე, ბოლო სროლა ინდიანას გამთამაშებელმა მარკ ჯეკსონმა ითავა. დეილ დევისი კი თანაგუნდელის აცილებულ ბურთს დაეპატრონა და ადგილი მეტოქის კალათში მიუჩინა.

ორლანდო — ფილადელფია 1:1

ორლანდო 79:68 ფილადელფია

ორლანდო: არმსტრონგი (12), ჰარდევეი (22), ანდერსონი (13), გრანტი (7), ოსტინი (8); ჰარპრინგი (10), ოუთლო (5), დოლიკი (2)

ფილადელფია: სნოუ (12), აივერსონი (13), ლინჩი (6), რეტლიფი (7), გეიგერი (7); ჰუგსი (12), მაკკიი (11), ჰილი, ჰონიკატი

„ორლანდო მეჯიქმა" და პენი ჰარდევეიმ როგორც იქნა, გადაწყვიტეს მეტოქე გუნდის ლიდერის, ალენ აივერსონის პრობლემა და ამან მატჩის ბედიც გადაწყვიტა. თუ აივერსონს ხელფეხი შეკრული აქვს და თავის თამაშს ვერ პოულობს, ფილადელფიას საქმეც წასულია. იგი ქარივით სწრაფია, უაღრესად ტექნიკური და ლიგაში ყველაზე კარგად ეხერხება კალათში ბურთის მოთავსება, მაგრამ ერთი დიდი ნაკლიც აქვს — იგი ამპლუით მსროლელია, მაგრამ ბუნებას შესაბამისი სიმაღლე ვერ უბოძებია, სულ რაღაც 183 სანტიმეტრია. აივერსონი წინა მატჩში თავისებურად დატრიალდა, 30 ქულაც ჩაუგდო სტუმრებს და შედეგად სერიის ანგარიში ფილადელფიას მოგებით გაიხსნა. იმ მარცხის შემდეგ ორლანდომ ჭკუა ისწავლა, აივერსონს მასზე მთელი 18 სანტიმეტრით მაღალი ანფერნი ჰარდევეი მიუჩინა. ამ უკანასკნელმა შეტევაშიც გაიბრწყინა და აივერსონსაც კარგი მეურვეობა გაუწია და მხოლოდ 13 ქულას დააჯერა.

დასავლეთი

სან ანტონიო — მინესოტა 1:1

სან ანტონიო 71:80 მინესოტა

სან ანტონიო: ჯონსონი (16), ელი (6), ელიოტი (13), დანკანი (18 ქულა, 16 მოხსნა), რობინსონი (11 ქულა, 10 მოხსნა); კერი (4), როუზი (3), პერდიუ, დანიელსი, ჯეკსონი, კერსი

მინესოტა: ბრენდონი (18 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), პილერი (11), სმიტი (4 ქულა, 10 მოხსნა), გარნეტი (23 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), გარეტი (7); მიჩელი (9), სილი (8), ჰამონდრი, ჯეკსონი, რობინსონი

სანამ პლეი ოფი დაიწყებოდა, „მინესოტა ტიმბერვულვზის" ლიდერმა, ყმაწვილმა კევინ გარნეტმა ბრძანა, ჩვენ ისეთი მაგრები ვართ, მსოფლიოს გავაოგნებთო. მსოფლიოს გაოგნებამდე ჯერ შორი გზაა, მაგრამ მინესოტამ უკვე მოახერხა და ამისთვის ერთი ნაბიჯი გადადგა. რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ და დასავლეთში პირველ ნომრად განთესილ სან ანტონიოს ეგონა, იოლი მეტოქე შემხვდა და მეორე წრეში სულ რიხინ-რიხინით გავალო. ამის საბაბს ის აძლევდა, რომ მინესოტამ შუა სეზონში ერთ-ერთი ლიდერი, გამთამაშებელი სტივენ მარბერი ნიუ ჯერსიში გაუშვა და მის მხარდაჭერას მოკლებული, კენტად დარჩენილი კევინ გარნეტი ტიმ დანკანისთვის საშიშ მეტოქედ აღარ მიაჩნდა. პირიქით კი მოხდა. მართალია, მინესოტა ძველებურად ველარ ბურთაობს, მაგრამ მარბერის ნაცვლად მოსული ტერელ ბრენდონი გუნდს კარგად შეეწყო, კევინ გარნეტი კი ამ სერიას მშვენივრად ატარებს და აგერ უძვირფასესი მოთამაშის ტიტულის მისაღებად გამზადებულ სანანტონიოელ ტიმ დანკანს ტოლ-სწორად ეთამაშება. ამ შეხვედრაში აშკარად აჯობა კიდეც, თუმც ეს მონაგარში რეალურად არ ასახულა.

დაიწყო თუ არა შეხვედრა, მინესოტელმა „მგლებმა" კევინ გარნეტის მეთაურობით ისე აგრესიულად შეუტიეს, სახელი გაამართლეს. სან ანტონიო დაფრთხა, არ ელოდა ასეთ თავდასხმას. პირველი მეოთხედი გაუძლო, მაგრამ მეორეში ათი ქულის მეტი ვერ გაახარხა და მერე მთელი მატჩი ამაოდ ცდილობდა, წინ გაჭრილ სტუმრებს წამოსწეოდა. ახლა უპირატესობა მინესოტას მხარესაა, მას შინ ორი თამაში უწევს, სადაც ორ უეჭველ მოგებას გეგმავს.

ლეიკერსი — ჰიუსტონი 2:0

ლეიკერსი 110:98 ჰიუსტონი

ლეიკერსი: ფიშერი (17), ბრაიანტი (19 ქულა, 9 მოხსნა), რაისი (14), რიდი (4), ონილი (28 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი, 5 დაფარება); ფოქსი (9), ჰარპერი (7), ჰორი (6), რუქსი (5), ლუ (2), ნაითი, პატერსონი

ჰიუსტონი: მობლი (6), დიკერსონი, ჰიპენი (3), ბარკლი (19 ქულა, 13 მოხსნა), ოლაჯუონი (8); მეკი (20), პრაისი (18), ჰარინგტონი (12 ქულა, 9 მოხსნა), ბალარდი (5), კარი (4), დრიუ (2), რობერტსი (1)

ის დღე ნამდვილად არ იყო ჰიუსტონისა, უფრო კი ეს იყო „ჰიუსტონ როკიტსის" ერთ-ერთი ლიდერის, სკოტი პიპენის შერცხვენის დღე. ასოციაციის ექვსგზის ჩემპიონმა პიპენმა საშინლად ითამაშა და ეს თავადაც აღნიშნა. ახლა უკვე დანამდვილებით შეიძლება იმის თქმა, რომ მისი პირველი სეზონის ახალ გუნდში, „ჰიუსტონ როკიტსში", სულაც არ იყო წარმატებული. რეგულარულ ჩემპიონატში იგი მატჩში საშუალოდ 15 ქულასაც ვერ აკეთებდა, რაც ბევრად ნაკლებია წინა წლებში მის მონაგარზე. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ექსჩიკაგოელი სუპერვარსკვლავი თავს ინახავდა, პლეი ოფამდე ტრავმების გამიზეზებას ერიდებოდა, მაგრამ აი, დადგა ეს დროც. ჰიუსტონს ლეიკერსი ერგო. მასთან კი ჰიუსტონი უკვე 0:2 აგებს. წინა მატჩში პიპენს არა უშავდა, 14 ქულას მოუყარა თავი, ამჯერად კი... მხოლოდ სამს. ამ დროს იგი ლიგის ყველა დროის 50 უძლიერეს მოთამაშეს შორისაა... ვერც ოლაჯუონმა ითამაშა, იგი შაკილ ონილმა დაჩაგრა, ჩაფლავდა ჰიუსტონური უკანა ხაზი (დიკერსონს და მობლის ისევ სათადარიგოები — სემ მეკი და ბრენტ პრაისი სჯობდნენ) და საერთოდ ჰიუსტონის წამყვან მოთამაშეთგან მხოლოდ სერ ჩარლზი ბარკლი გამოიყურებოდა ჩვეულად, მაგრამ თუ „როკიტსი" პირველ წრეში გამოეთიშა ჩემპიონობისთვის ბრძოლას, ეს უმთავრესად პიპენის ბრალი იქნება. იგი 12 წელია, ლიგაში თამაშობს და ჯერაც არ გამოვარდნილა პლეი ოფის პირველი ეტაპიდან. ვნახოთ, ლეიკერსი დათმობას არ აპირებს, ჰიუსტონს კი ორი მატჩი უწევს შინ.

ირაკლი ფირაჯვილი



ალენ აივერსონი



ალონზო მურნინგი

ლიგის ლიდერები

რეგულარული სეზონი

		თ	რ-ბა	საშ.
ქულა				
ალენ აივერსონი	ფილადელფია	48	1284	26,8
შაკილ ონილი	ლეიკერსი	49	1289	26,3
კარლ მელოუნი	იუტა	49	1164	23,8
შარიფ აბდურ-რაჰიმი	ვანკუვერი	50	1152	23,0
კეიტ ვან ჰორნი	ნიუ ჯერსი	42	916	21,8
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	50	1084	21,7
გერი პეიტონი	სიეტლი	50	1084	21,7
სტივენ მარბერი	ნიუ ჯერსი	49	1044	21,3
ანტონიო მაკდაიესი	დენვერი	50	1061	21,2
გრანტ ჰილი	დეტროიტი	50	1053	21,1
კევინ გარნეტი	მინესოტა	47	977	20,8
შონ კემპი	კლივლენდი	42	862	20,5
მაიკლ ფინლი	დალასი	50	1009	20,2
ალონზო მურნინგი	მაიამი	46	924	20,1
კობი ბრაიანტი	ლეიკერსი	50	996	19,9
მიჩ რიჩმონდი	ვაშინგტონი	50	983	19,7
ჰაკიმ ოლაჯუონი	ჰიუსტონი	50	945	18,9
ტონი კუკოჩი	ჩიკაგო	44	828	18,8
რეჯი მილერი	ინდიანა	50	920	18,4
გლენ რობინსონი	მილუოკი	47	865	18,4
მოხსნა				
კრის ვებერი	საკრამენტო	42	545	13,0
ჩარლზ ბარკლი	ჰიუსტონი	42	516	12,3
დიკემბე მუტომბო	ატლანტა	50	610	12,2
დენი ფორტსონი	დენვერი	50	581	11,6
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	50	571	11,4
ალონზო მურნინგი	მაიამი	46	507	11,0
ანტონიო მაკდაიესი	დენვერი	50	537	10,7
შაკილ ონილი	ლეიკერსი	49	525	10,7
კევინ გარნეტი	მინესოტა	47	489	10,4
ვლადე დივაცი	საკრამენტო	50	501	10,0
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	49	492	10,0
პასი				
ჯეისონ კიდი	ფინიქსი	50	539	10,8
როდ სტრიკლენდი	ვაშინგტონი	44	434	9,9
სტივენ მარბერი	ნიუ ჯერსი	49	437	8,9
გერი პეიტონი	სიეტლი	50	436	8,7
ტერელ ბრენდონი	მინესოტა	36	309	8,6
მარკ ჯეკსონი	ინდიანა	49	386	7,9
ბრევინ ნაითი	კლივლენდი	39	302	7,7
ჯონ სტოქტონი	იუტა	50	374	7,5
ეივერი ჯონსონი	სან ანტონიო	50	369	7,4
ნიკ ვან ექსელი	დენვერი	50	368	7,4
ჩაჭრა				
კენდალ გილი	ნიუ ჯერსი	50	134	2,68
ედი ჯონსი	შარლოტი	50	125	2,50
ალენ აივერსონი	ფილადელფია	48	110	2,29
ჯეისონ კიდი	ფინიქსი	50	114	2,28
დუგ კრისტი	ტორონტო	50	113	2,26
ანფერნი ჰარდევეი	ორლანდო	50	111	2,22
გერი პეიტონი	სიეტლი	50	109	2,18
დარელ არმსტრონგი	ორლანდო	50	108	2,16
ერიკ სნოუ	ფილადელფია	48	100	2,08
მუკი ბლეილოკი	ატლანტა	48	99	2,06
ჩარლი ვორდი	ნიუ იორკი	50	103	2,06
დაფარება				
ალონზო მურნინგი	მაიამი	46	180	3,91
შონ ბრედლი	დალასი	49	159	3,24
თეო რეტლიფი	ფილადელფია	50	149	2,98
დიკემბე მუტომბო	ატლანტა	50	147	2,94
გრეგ ოსტერტაგი	იუტა	48	131	2,73
პატრიკ იუინგი	ნიუ იორკი	38	100	2,63
ტიმ დანკანი	სან ანტონიო	50	126	2,52
ჰაკიმ ოლაჯუონი	ჰიუსტონი	50	123	2,46
დევიდ რობინსონი	სან ანტონიო	49	119	2,43
ანტონიო მაკდაიესი	დენვერი	50	115	2,30



REUTERS ლოს ანჯელესიდან

ლეიკერსი — ჰიუსტონი. ჰაკიმ ოლაჯუონი (№34) და მისი ლეიკერსელი ბადრაგი: რობერტ ჰორი (მარცხნივ) და შონ რუქსი

«სპორტსმენი» ჯერ კიდევ სახიფათო პროფესია

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ბაზარზე უკვე რამდენიმე სადაზღვევო კომპანია მუშაობს



ბადრი ჯეთელაძის ფოტო

შვეიცარიაში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ნაკრებს ვლადიმერ სტეფანია სწორედ დაუზღვევლობის გამო ვერ დაეხმარება. რამე რომ დაემართოს, ზარალს ვინ აგვინაზღაურებსო — უთქვამთ „სიეტლში“

იყო საქართველოში პროფესიონალი სპორტსმენი (ფეხბურთელი, კალათბურთელი, მორაგბე და ა.შ.) ანუ სპორტით ირჩინო თავი, ჯერ კიდევ შეიცავს ძალიან დიდ საფრთხეს იმისას, ერთ უბედურ დღეს ხეიბრად, უკაპიკოდ და უმომავლოდ დარჩე. პროფესიული ტრავმები სპორტსმენის ცხოვრებისა და წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. სპორტსმენი თუ ხარ, აუცილებლად მოგვხვდება, ბევრი თუ გვხვდება, ესე იგი, ძალიან მაგარი ხარ. განვითარებული სპორტული ინდუსტრიის ქვეყნებში ამ პრობლემას სადაზღვევო კომპანიების საშუალებით აგვარებენ. დაზღვეულ სპორტსმენს მძიმედ დაშავების შემთხვევაშიც არ ემუქრება „საზოგადოებრივ სანაგვეზე“ მოხვედრის საშიშროება (როგორც ეს საქართველოშია). დაზღვევისგან მიღებული კონპენსაციით მას არსებობის ძველებურად გაგრძელებასთან ერთად სპორტში სრულფასოვნად დაბრუნების შანსიც ეძლევა. დაზარალებული არც დაშავებულ სპორტსმენზე უფლებების მქონე კლუბი (ორგანიზაცია, კორპორაცია, სპონსორი) რჩება, კომპენსაციას ისიც სრულად იღებს. საბოლოო ჯამში არც მაყურებელი აგებს, რადგან დაზღვევისგან მიღებული ფულით იმავე კლუბს დაზარალებულის შეცვლა მისი ძალის სპორტსმენით (თუ, რა თქმა უნდა, ასეთი მოიძებნა) თავისუფლად შეუძლია.

რა ხდება ამ ხრივ საქართველოში? კითხვა უამრავია, რომლებზეც სწორი პასუხი ვერა და ვერ გაგვიცია.

რატომ იკლო კატასტროფულად სპორტით დაკავებულ ბავშვთა რიცხვმა, რატომ იკავებენ შშობლები თავს, „ჰყავდეთ ჯანმრთელი შვილები“?

რატომ არ უშვებენ ხალისით უცხოური კლუბები ჩვენს ლეგიონერებს ეროვნულ ნაკრებებში სასპარეზოდ?

რატომ იკავებენ თავს ჩვენი ლეგიონერები, მაქსიმალურად გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები ეროვნული ნაკრების მაისურით გამოსვლისას?

რატომ არ ჰყავს არცერთ ქართველ სპორტულ კლუბს, ორგანიზაციას ან ტურნირს შეძლებული სპონსორი, რატომ არ უჩნდებათ ინვესტორებს ჩვენს სპორტში ფულის ჩადების იდეა?

რატომ არ ხერხდება საქართველოში ამხანაგურის სათამაშოდ „ლაციოს“, „მანჩესტერის“ ან თუნდაც „ემპოლის“ დონის კლუბის ჩამოყვანა?

(„რატომ“ კიდევ იმდენია, რომ მათ ჩამოთვლას ჩვენი ანბანი არ ეყოფა).

ქართულ-გერმანულ სადაზღვევო კომპანია „იმედი-INTERNATIONAL“-ის მმართველი დირექტორი ალექსანდრე ლორთქიფანიძე ამის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სპორტსმენების, სპორტული ორგანიზაციების, კლუბებისა და შეკიბრებების დაუზღვევლობას მიიჩნევს.

„სპორტული პროფილის სექციები და სკოლები შშობლებს გარანტიას ვერ აძლევენ, რომ მათი შვილი ტრავმას არ მიიღებს და სამკურნალო არ გახდება. იქედან გამომდინარე, რომ არც სექციას და არც სკოლას სადაზღვევო კომპანიასთან ხელშეკრულება არა აქვს, ბავშვის მკურნალობა-რეაბილიტაცია ისევ შშობლის ჯიბეს დაუბარალებს.

კლუბი სპორტსმენის ყიდვით გარკვეულ კაპიტალდაბანდებას ახორციელებს, ბუნებრივია, ეს კაპიტალდაბანდება შესაბამისი წესით იზღვევა. ეროვნულ გუნდში მოთამაშის გამოშვებისას კი კლუბი საფრთხის წინაშე დგება, რომ ამ კაპიტალს დაკარგავს, რადგან ეროვნულ ფედერაციას არ შეუძლია იმ თანხად დაზღვიოს სპორტსმენი, რა თანხასაც კლუბი მისი დაშავების შემთხვევაში მიიღებს.

დაუზღვეველ ნაკრებში თამაშისას ლეგიონერიც საფრთხის წინაშეა: დაშავების შემთხვევაში მას პატრიოტობის გამო შეიძლება დიდ სახელთან და დიდ ფულთან გამოთხოვებამ მოუწიოს. ბუნებრივია, იგი ძალებს ზოგავს.

კაპიტალის დაბანდება კლუბში, სპორტულ ორგანიზაციაში ან შეკიბრში გარკვეულწილად სარისკო საქმეა. თუმცა არცერთი ინვესტორი შიშველი გრძნობების და სურვილების გამო არ გარისკავს, მას თუნდაც დაბანდებულის დაბრუნება მაინც უნდა შეეძლოს იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალდაბანდებამ არ გაამართლა, ანუ მისი ფული დაზღვეული უნდა იყოს.

ამავე მიზეზით არ ჩამოვა საქართველოში „ლაციო“, „მანჩესტერი“ ან „ემპოლი“, მათ არ დააკმაყოფილებთ მხოლოდ ჰონორარის გადახდა, ისინი დაზღვევის გარანტიასაც მოითხოვენ. ეს კი უზარმაზარი თანხებია. სხვათა შორის, სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ მოხერხდა საქართველოში ცნობილი იტალიელი ტენორის ლუჩანო პავაროტის ჩამოყვანა“ — თვლის ლორთქიფანიძე.

„იმედი-INTERNATIONAL“-ი საქართველოს ბაზარზე 1995 წლიდან მუშაობს, თუმცა კომპანია ქართულ-გერმანული მხოლოდ შარშან გახდა, მას შემდეგ, რაც „იმედის“ პარტნიორად ევროპაში ერთ-ერთი უდიდესი და ავტორიტეტული გერმანული სადაზღვევო კომპანია ESG იქცა. დღეს „იმედის“ საწესდებო კაპიტალი 2 მილიონი ამერიკული დოლარია.

კომპანია კლიენტებს მომსახურების (დაზღვევის) მრავალ ფორმას სთავაზობს, რომლებიც საზოგადოების ყველა ფენას, მათ შორის სპორტთან დაკავშირებულ ადამიანებს და ორგანიზაციებსაც მიიცავს. ალექსანდრე ლორთქიფანიძის თქმით: „ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სადაზღვევო პაკეტი სპორტსმენებისთვის საგანგებოდაა განკუთვნილი აღმოსავლეთ ევროპის ბაზრისთვის“. ამ პაკეტს „სპორტსეკურიე“ ჰქვია და იგი ძირითადად სპორტის 5 სახეობაში ეროვნული ნაკრებების დაზღვევაზეა ორიენტირებული. პაკეტით შეიძლება დაზღვიონ საფეხბურთო, საკალათბურთო, სათხილამურო, საჩოგბურთო და ჰოკეის ეროვნული ნაკრებების წევრები. ერთ წლის განმავლობაში დაზღვეულები დღის განმავლობაში 24-საათიანი მომსახურებით ისარგებლებენ. ნებისმიერი „საპტიო“ მიზეზის (ავადმყოფობა, დაშავება და ა.შ.) გამო, რომელიც დაზღვეულს შრომისუუნაროს გახდის, იგი მიიღებს 100.000 ამერიკულ დოლარს. ამისათვის ფეხბურთელმა სადაზღვევო კომპანიას წელიწადში 25000 დოლარი უნდა გადუხადოს, კალათბურთელმა — 20000, მოთხილამურემ — 25000, ჰოკეისტმა — 20000, ჩოგბურთელმა — 10000. ამასთან, რაც უფრო ასაკში შედის სპორტსმენი, სადაზღვევო თანხა 10000 დოლარით იკლებს. ამ პაკეტის გარდა „იმედი-INTERNATIONAL“-ი სპორტულ სამყაროს დაზღვევის სხვა ფორმებსაც სთავაობს, რომელთა გასაგებად, უბრალოდ, საჭიროა თამამად შეაღოთ ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ოფისის კარი.

ქართულ ბაზარზე 4 წლის მუშაობის განმავლობაში „იმედმა“ მხოლოდ ორი სპორტული ხელშეკრულება გააფორმა. შარშან კომპანიამ დაზღვია „ოქტაგონის“ წესების გარეშე ცხრა მოჩხუბარი, თითოეული 1000 ლარად. „იმედის“ მომსახურებით სარგებლობს ქვეყნის ცხრა-გზის ჩემპიონი ფეხბურთელი თბილისის „დინამოც“, ოღონდ მხოლოდ უცხოური ვოიაჟების დროს. ამ მომსახურებისას გარანტია მთლიანად გერმანულ ESG-ია, რომელიც ერთობლივი ქართულ-გერმანული საწარმოს მომსახურების 85% თავის თავზე იღებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ბაზარზე „იმედის“ გარდა კიდევ რამდენიმე სადაზღვევო კომპანია მუშაობს (მათ შორის „ალდაგი“, რომლის პრეზიდენტი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის წევრია), სპორტული სამყაროს წარმომადგენლებთან მათი კონტრაქტები თითებზე შეიძლება ჩამოითვალოს. ამის ერთადერთ მიზეზად ალექსანდრე ლორთქიფანიძე საქართველოში შექმნილ უმძიმეს ფინანსურ კრიზისსა და, შესაბამისად, სპორტულ სფეროში დასაქმებულთა სიღარიბეს ასახელებს. ასე რომ, ფინანსური სტაბილურობის მიღწევამდე პროფესია „სპორტსმენი“ კვლავ სახიფათო პროფესიათა სიაში იქნება.

სიმონ მენაბდე

რკინიგზამ იმნაიშვილს თეფშები არ გაუტეხია

ქართველი ტყვიით მსროლელები — ნინო სალუქვაძე და ნინო უჩაძე გერმანიაში გაემგზავრნენ. ამ თვეში მათ მსოფლიოს თასის ორი ეტაპი ელით. 17-დან 24-მდე ისინი მიუნხენში იასპარეზებენ, 25-ში კი მილანში ჩავლენ. ჩვენი მსროლელები გერმანიაში ასე ნაადრევად სავარჯიშოდ მიდიან. ისინი დორტმუნდში მოემზადებიან და მიუნხენს უშუალოდ შეჯიბრების დაწყების დღეს ესტუმრებიან. ამ ტურნირებზე დარეჯან დუმბაძის გასაგზავნი თანხა საქართველოში არ მოიძებნა.

ტყვიის მსროლელებმა სპორტული პისტოლეტით სროლაში ევროპის ჩემპიონატი მარტში ჩაატარეს (იქ სალუქვაძე მეოთხე იყო, გუნდი — მეხუთე), პნევმატურში კი 23 ივლისს ეწყებათ ბორდოში. ეს სამეულიც ამ ტურნირისთვის ემზადება. როგორც სროლა-მშვილდოსნობის ფედერაციაში მითხრეს, საევროპოდ მათ მეგი ხუბულაშვილიც მიემატებათ. იგი უკვე რამდენიმე წელიწადია, შვეიცარიაში ცხოვრობს და ადგილობრივ ტურნირებში გამოდის, ოღონდ კვლავაც საქართველოს მოქალაქეა.

რამდენიმე დღის წინ კვიპროსში, მსოფლიოს თასის ეტაპში უნდა ეასპარეზა მესტენდურ თამაზ იმნაიშვილს. მას საბუთებიც დროულად გაუფორმეს, ფულიც უშოვეს და თითქოს გამგზავრებაც არ უნდა შეფერხებულიყო, მაგრამ... კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო, ხომ გაგიგიათ. ჰოდა, დაბრკოლებაც იქიდან გამოტყვრა, საიდანაც არავინ ელოდა — იმნაიშვილი სამსახურიდან არ გაათავისუფლეს (ის რკინიგზის დეპარტამენტში მუშაობს). მსოფლიოს თასზე ორი, დასკვნითი ეტაპია გასამართი. ისინი მაისის ბოლოს ჩატარდება. ვნახოთ, იქ მაინც თუ გაუშვებენ ჩვენს უძლიერეს მესტენდურს, რომელიც თეფშებთან ერთად მომავალი ოლიმპიადის ლიცენზიასაც უმიზნებს. ისინი მსოფლიოსა (7-12 ივლისი, ტამპერე, ფინეთი) და ევროპის ჩემპიონატებზე (5-12 სექტემბერი, მონპელიე) გათამაშდება. მაის-ივნისის მიჯნაზე ტოკიოში მრგვალ სტენდზე ისვრის დავით ქვათაძე. იქ დედაქალაქში მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპია დანიშნული, რომელიც 25 მაისს დაიწყება.

ბოლოსთვის მშვილდოსნები შემოვინახეთ. მათთვის წლევანდელ სეზონში საერაშორისო ასპარეზზე გასასვლელი კარი, როგორც ჩანს, 18 მაისს გაიხსნება. ამ დღეს ანთალიაში დიდი პრიზის მორიგი ეტაპია. ჩვენი მშვილდოსნებიც იქ იასპარეზებენ. მაისის დამდეგს ისინი ანალოგიურ ტურნირში კვიპროსში უნდა გამოსულიყვნენ, მაგრამ იქ წასასვლელი ფული ვერ უშოვეს.

თუ საქართველოში მშვილდოსნობა არსებობს, თითქმის მთლიანად აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხარჯზე — ბოლო წლებია, საქართველოში მშვილდოსანთა ლამის ყველა ტურნირი იქ ეწყობა. იქ ბაზებიც უკეთესია და მატერიალური მხარეც — მოწესრიგებული. ამიტომაც ჭარბობენ ნაკრებში იქაურები. ანთალიაში წასაყვანი გუნდიც აჭარის სპორტული თამაშების ეგიდით გამართულმა მშვილდოსანთა ტურნირმა დააკომპლექტა (მასში აზერბაიჯანელებიც მონაწილეობდნენ). აჭარის სპორტის დეპარტამენტი თავის მშვილდოსნებს საზღვარგარეთულ ტურნირებში წასასვლელად 1280-ქულიან ნორმატივს უწესებს. ეს მიჯნა მათ საერთაშორისო საშუალო მაჩვენებლიდან — 1300 ქულა — გამომდინარე დააწესეს. ვინც ამ ზღვარს უახლოვდება, მას უცხოეთში წარმატების მიღწევაც შეუძლია. ზემოხსენებულ ტურნირში ხათუნა ფუტკარაძემ 1307 ქულა დააგროვა, ოლგა ლადიგინამ — 1271, ასმათ დიასამიძემ — 1267, სერგო ბერიძემ — 1274. ანთალიაშიც ესენი წავლენ. აჭარის სპორტდეპარტამენტი მათ საკუთარი ხარჯით გაუშვებს. თბილისი ანუ საქართველოს სროლა-მშვილდოსნობის ფედერაცია ვის გააგზავნის, ჯერ ცნობილი არაა.

აჭარის დეპარტამენტმა რომ თავისი მშვილდოსნები ახალი იარაღით აღჭურვა, ადრეც გაცნობეთ. ასეთი საკმაოდ მაღალი შედეგებიც იმ იარაღების დამსახურებაა. განსაკუთრებით დიასამიძის სწრაფ პროგრესს აღნიშნავენ. იგი ძალიან „გადამტერებია“ ათიანებს. აი, ბერიძის შედეგი კი აშკარად ცუდია. მას გაცილებით უკეთესისთვისაც მიუღწევია.

ამ სახეობაში ოლიმპიური ლიცენზიები ივლისში, საფრანგეთის ქალაქ რიომის მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდება. ამ სანუკვარი საგზურის მოპოვების ყველაზე რეალური კანდიდატი ჯერაც აშშ-ში მცხოვრები ხათუნა ქვრივიშვილია. იმედია, დანარჩენი მშვილდოსნები მას სიდნეიში მარტოს არ გაუშვებენ, რადგან ლიცენზიას მოწინავე 43 (!) ადგილი იძლევა.

ირაკლი თავაძე

თბილისი ვისთვის თავშესაფარია...

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი, რომელმაც 32 მოჭადრაკეს მოუყარა თავი. მათგან 16, ანუ ზუსტად ნახევარი ჩვენებურია, 5 — ბერძენი, 4-4 — იუგოსლავიელი და სომეხი და სამიც — თურქი. თბილისში თითქოს კვიპროსელები და მალტელებიც უნდა ჩამოსულიყვნენ, მაგრამ კუნძულელებს ან ზღვათა გადმოსალახავად ფული არ ეყოთ, ანაც სატურნირო ცხრილის პერიფერიებში სავსებით შესაძლო მოხვედრას სულაც უთამაშებლობა არჩიეს.

ტურნირის დებულება საკმაოდ ტევადი გახლავთ და რამდენიმე პუნქტისგან შედგება. მეტოქეებმა შვეიცარიული სისტემით 9 ტური უნდა ითამაშონ და რაც საყურადღებოა, ბოლო სამ ტურში იკრძალება ერთი ქვეყნის წარმომადგენლების დაპირისპირება, თუ ისინი ცხრილში ერთმანეთისგან ძლიერ დაშორებულები არ არიან. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის საგზური ანუ ლას ვეგასში გასამგზავრებელი ბილეთი სულ შვიდია. ბრძოლას სიმძაფრეს მატებს ზოგადად მოკრძალებული, მაგრამ ქართველებისთვის და ჩვენს დღეში მყოფთათვის გვარიანი საპრიზო ფონდიც. იგი 4500 შვეიცარიულ ფრანკს შეადგენს, აქედან გამარჯვებულს 1500 ფრანკი ერგება, მეორე პრიზიორს — 800, მესამეს — 700 და ა.შ.

ტურნირის დასაწყისში, მოლოდინამბრ, დიდი ომი გაჩაღდა და... უპირველესი არასენსაციაც დაფიქსირდა, რომელიც ერთი დასკვნის გაკეთების საშუალებას ახლავე გვაძლევს: ლას ვეგასის შვიდივე საგზური ქართველების და იუგოსლავიელების ნადავლი უნდა გახდეს. ჩვენებზე რაღა გითხრათ: ქართველ ქალთა მთელი ახალგაზრდა გვარდია ჭადრაკის სასახლეშია და თავმოწონედაც უნდა შევნიშნო, რომ აუტსაიდერებში მათი მოძებნა ძალიან გაგიჭირდებათ. იუგოსლავებს რაც შეეხებათ, რამდენიმე დღის წინ ნატოს რაკეტებს გამოქცეულთა კვალობაზე მშვენივრად თამაშობენ, თუმცა იუგოსლავიის საჭადრაკო და საერთოდ სპორტული ტრადიციების მცოდნეთ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს.

5 ტური უკვე გასრულდა. სატურნირო ცხრილის სათავეში ჯერჯერობით ორი ქართველი და ერთი იუგოსლავიელია: ხურციძე, ლომინეიშვილი და პრუდნიკოვა. მათ 4-4 ქულა აქვთ და ნახევარი ქულით უსწრებენ უახლოეს მდევართა ოთხეულს, რომელთაგან ორი ქართველია, ორიც ისევ საშრეთელი სლავი: მთინაძე, ნიკოლაძე ბოიკოვიჩი და ვუქსანოვიჩი.

დავით გულუა



REUTERS რომიდან

ევგენი კაფელნიკოვი

ვინ ოხერი ვარ მე

რომი. იტალიის ღია პირველობა. თიხნარი
საპრიზო 2,45 მილიონი $

სეზონის მერსედეს სუპერ 9-ის სერიის რიგით მეხუთე ტურნირზე ევგენი კაფელნიკოვმა ამათგან პირველზე დაწყებული ნავსიანი სერია გატეხა.

პარადოქსულია, მაგრამ ფაქტია: როდესაც მარტში ინდიან უელსში 25 წლის რუსმა პირველ წრეში წააგო, იგი კლასიფიკაციაში მხოლოდ მესამე გახლდათ. მას შემდეგ სოჭელმა ჟენიამ იგივე „გმირობა“ ხუთჯერაც გაიმეორა, მაგრამ ამჟამად მსოფლიოს პირველი ჩოგანია.

„როდესაც მთელი მსოფლიოს გაზეთები ამბობენ, ვინ ოხერია ეს ევგენი კაფელნიკოვი, სამარცხვინოა, რომ იგი პირველი ჩოგანიაო, მერწმუნეთ, თავს საშინლად ვგრძნობ, მართლაც მრცხვენოდა, რომ თებერვლის შემდეგ მატჩიც არ მომეგო, მაგრამ კლასიფიკაციის სისტემა ასეა მოწყობილი და რა ჩემი ბრალია“ — ამ სიტყვებით დაიწყო რუსმა თავისი პირველი პრესკონფერენცია კაცთა ჩოგბურთის ტახტის მპყრობელის რანგში.

კაფელნიკოვმა თავიდან კრის ვუდრაფთან პირველი წრის მატჩშიც ძველებურად გაუტია და საკუთარი მოწოდება ორჯერ დაკარგა, 2:5-ზე კი განერვიულებულმა ბურთი ტრიბუნებზე მოისროლა და მთავარი მსაჯისგან გაფრთხილებაც მიიღო: „როდესაც ორი თვეა, სულ აგებ და წინ ისევ მეტოქეა, გგონია, რომ ეს კოშმარი არასოდეს დასრულდება და მუდამ დამარცხდები“.

მაგრამ სოჭელმა პირველ სეტში როგორღაც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და ტაი-ბრეიკზე იმარჯვა კიდეც თამაშის ხარისხი ჟენიას არც მერე გამოუსწორებია: მაშინაც კი, როდესაც ქულის მითვლა სულ იოლად შეეძლო, ბურთს აცილების შიშით უბრალოდ უკან აბრუნებდა, შეცდომების შემდეგ კი რაღაცას ბუტბუტებდა და მშობლიურ ენაზე გულიანადაც იგინებოდა (რაკი მსაჯები, ჩოგბურთელებისდა საბედნიეროდ, პოლიგლოტები არ არიან, ინგლისური უხამსობების გარდა არც არავინ ისჯება).

გადამწყვეტი მატჩის ბოლოსწინა გეიმი გამოდგა. 4:4-ზე კაფელნიკოვმა რამდენიმე ბრეიკ-პოინტი გაუშვა ხელიდან, მაგრამ აქ სამი ორმაგი შეცდომით ისევ ამერიკელი დაეხმარა და ორიოდ წუთში რუსმა შვებით ამოისუნთქა — 7:6 (7:1), 5:7, 6:4.

მომდევნო წრეში სოჭელ ჟენიას თანამემამულე მარატ საფინი ელის, რომელმაც, თავის მხრივ, რუმინელი ადრიან ვოინეა გაანადგურა 6:1, 6:2. „საინტერესო იქნება, როგორ გაგუძლებთ ზეწოლას. მოგებამ უსაშველოდ გამახარა. როგორც კი თავდაჯერებას დავიბრუნებ, ჩემი გაჩერება ძნელი იქნება. ეს მხოლოდ დროის საქმეა“.

წარმატებით გაადწია მეორე წრეში ბოლო ხანებში ტრავმებით შეწუხებულმა ორმა ამერიკელმა სუპერვასკვლავმაც.

ანდრე აგასის (14) ნატკენი მხრის გამო ჰონ კონგის პირველობის ფინალში ბორის ბეკერის დამარცხების შემდეგ ერთი თვის მანძილზე არსად ეთამაშა. სწორედ ამიტომ წლეულს თიხნარზე წარმატებით მოასპარეზე ჟერომ გოლმართან შეხვედრაში ფავორიტად ფრანგი ითვლებოდა. როგორც აღმოჩნდა, სულ ტყუილად.

„თიხნარი ყველაზე რთული, ფიზიკურად მომთხოვნი საფარია. აქ მთავარია, მარტო ბურთის უკან მიბრუნებაზე არ იფიქრო, მაგრამ ამავდროულად ზედმეტი რისკიც არ გასწიო. თიხნარზე წარმატებით თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს სხვა საფარზე დაგეხმარება“ — აღნიშნა მოგვიანებით ანდრემ.

ამერიკელმა ცაცია მეტოქე მართლაც ყოველმხრივ დაჩაგრა, ლაზერივით ფორჰენდსა და მიღებაზე სამიზნე თავიდანვე გაისწორა და ერთი შეხედვით რთულ მატჩს სულ 70 წუთი დაახარჯა 6:3, 6:4. ლასვეგასელმა შოუმენმა გამარჯვებაც გამორჩეულად აღნიშნა: ქუდი მოიხადა და მოტვლეპილი თავი „ფორო იტალიკოს“ ოთხივე ტრიბუნას ცალ-ცალკე მოუხარა მხარდაჭერისთვის სამადლობელად.

არადა, ანდრემ იტალიელებს თავი მართლაც მოანატრა — 1994 წელს პირველივე წრეში დამარცხების შემდეგ ხოტორა ვარსკვლავი როშს პირველად ეწვია. 1989-ში აგასი აქ ფინალშიც ასპარეზობდა, მაგრამ ალბერტო მანჩინისთან ხუთსეტიან შეხვედრაში მატჩ-პოინტი გაანიავა და დამარცხდა.

გგონიათ, მწარე ამბებს თუ იშვიათ წარუმატებლობებს მულტიმილიონერები იოლად ივიწყებენ? როდესაც ათი წლის წინანდელი შეხვედრის გახსენება სთხოვეს, ანდრეს გაეღიმა. „კარგი, შევეცდები. მახსოვს, მატჩ-პოინტზე მოჭრილი მოვაწოდე, რვადარტყმიანი გათამაშება გვქონდა და ფორჰენდი ბადეში გავახვიე. ჰა, როგორია?“.

კიდევ ერთ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, პიტ სამპრასს კი კაფელნიკოვზე არანაკლებ გაუჭირდა. ბოგდან ულირახთან ბრწყინვალედ ჩატარებული მეორე სეტისა და საერთო ანგარიშის გათანაბრების შემდეგ ამერიკელმა შეცდომებს ისევ მოუხშირა და მესამეში 2:5 ჩამორჩა. ცოტაც და „პისტოლ პიტს“ ვეღარაფერი გადაარჩენდა, მაგრამ ხმაურიან გამარჯვებამლე მისულ ჩეხს ხელები აუკანკალდა, რამდენჯერმე უპატიებლად შესცოდა და ამერიკელსაც მეტი არაფერი სჭირდებოდა — 6:3, 2:6, 7:6 (7:2).

„უნდა ვაღიარო, რომ დღეს ძალიან გამიმართლა. წლეულს ბევრს ვვარჯიშობდი, მაგრამ ტრიბუნების წინ თამაში სულ სხვაა, ამიტომ მოგება მნიშვნელოვანი იყო. სეზონის დასაწყისში დასვენება მართლაც მჭირდებოდა, მაგრამ ჩოგბურთი იმაზე მეტად მომენატრა, ვიდრე ველოდი. ახლა ისევ მზად და გამარჯვებას მოწყურებული ვარ“ — განაცხადა პიტმა პრესკონფერენციაზე.

კვირას ჰამბურგის პირველობის ფინალში გამართული ოთხსაათიანი მარათონული შეხვედრა მისი ორივე მონაწილისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. მარსელო რიოსმა (8) გერმანელ დევიდ პრინოშილთან მატჩის მეორე სეტში 2:5 ჩამორჩენას თავი კი დააღწია, მაგრამ საბოლოოდ კიდევ ერთი სახელოვანი სეხნიის — მარსელო სალასის ქომაგობამაც ვერ უშველა 2:6, 7:5, 3:6. არგენტინელ მარიანო ზაბალეტას ფელიქს მანტიასთან (15) შეხვედრის დასაწყისშივე ფეხი წამოსტკივდა და 1:6-ზე დანებება მოუხდა.

პირველი წრე: ალეძს პორეტხა (3, ესპანეთი) — **დიეგო ნარგიზო** (იტალია) 6:1, 7:6 (7:2); **პატრიკ რაფტერი** (4, ავსტრალია) — **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) 7:5, 6:0; **რიჩარდ კრაიჩეკი** (5, ჰოლანდია) — **ჟან მაიკლ გემბილი** (აშშ) 6:0, 3:6, 6:1; **კარლოს მოია** (6, ესპანეთი) — **რენცო ფურლანი** (იტალია) 6:2, 6:4; **ტიმ ჰენმანი** (7, ინგლისი) — **დანიელ ვაციკი** (ჩეხეთი) 7:5, 6:3; **ვინსენტ სპედეა** (აშშ) — **მარკ ფილიპუსისი** (9, ავსტრალია) 7:6 (7:2), 4:6, 6:1; **კაროლ კუჩერა** (10, სლოვაკეთი) — **რამონ დელგადო** (პარაგვაი) 6:3, 6:2; **უ�d ფერერა** (სამხრეთ აფრიკა) — **ალბერტ კოსტა** (13, ესპანეთი) 3:6, 6:2, 7:6 (7:4); **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — **ტომას ენქვისტი** (შვედეთი) 7:5, 6:4; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — **ტომას მატსტერი** (ავსტრია) 7:6 (7:5), 6:7 (4:7), 6:4

ბერლინი. გერმანიის ღია პირველობა. თიხნარი
საპრიზო 1,05 მილიონი $

პირველი წრე: მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — **ანა კურნიკოვა** (9, რუსეთი) 6:7 (4:7), 6:4, 7:6 (8:6); **ჰენრიეტა ნაგიოვა** (სლოვაკეთი) — **ამანდა კუტცერი** (10, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 6:1; **დომინიკ ვან რუსტი** (11, ბელგია) — **იანა კანდარი** (გერმანია) 6:2, 6:1; **ამელი მორესმო** (12, საფრანგეთი) — **ემანუელა გალიარდი** (შვეიცარია) 6:4, 6:3; **პარა ბლეძი** (ზიმბაბვე) — **ირინა სპირლეა** (13, რუმინეთი) 6:4, 1:0 — **ტრავმა; ანჩიტა მარტინესი** (14, ესპანეთი) — **ანაგელ სიდო** (საფრანგეთი) 7:6 (7:3), 6:2; **ბარბარა შეტი** (16, ავსტრია) — **მარიან დე შვარდტი** (სამხრეთ აფრიკა) 6:4, 5:7, 6:2.

ავთანდილ სვანიძე

REUTERS რომიდან

პიტ სამპრასი

კაცი, რომელიც თაობებს გასწვდა

მახსენდება შორეული 1961 წლის პაპანაქება ზაფხული. ბათუმში, ჩოგბურთელთა საკავშირო ზონალურ ჩემპიონატზე წილისყრამ ლეგენდარულ ჩოგბურთელს ნიკოლაი ოზეროვს შემახვედრა.

ოზეროვმა პროფესიული ჩოგბურთის გაკვეთილი ჩამიტარა, რომელიც მთელი ცხოვრება დამამახსოვრდა. მატჩის მერე ოზეროვმა ჩვენი თამაშის გარჩევა შემომთავაზა, მერე კი მოულოდნელად მკითხა, გივი კოკაია როგორ არისო. ვუთხარი, გივი ჩოგბურთ აღარ თამაშობს და ახლა მთლიანად სამეცნიერო მუშაობაზე გადაერთო-მეთქი.

ოზეროვმა სინანულით აღნიშნა, გივის გამოთიშვა საჩოგბურთო ცხოვრებიდან ძალიან საწყენია, მან და მისმა თაობამ ძალიან ბევრი გააკეთეს ქართული ჩოგბურთის განსაკუთარებლად და ღირსეულად განაგრძეს ედუარდ ნეგრებეკის, არჩილ მდივნის და ვანო ელერდაშვილის საქმეო. გაიხსენა 1951 წლის საბჭოთა კავშირის პირველობა თბილისში: „ექვსი თვის წინ მენისკის ოპერაცია მქონდა გაკეთებული, ჯერ ვერ ვიყავი ჩვეულ ფორმაში, ამიტომ გივის ვთხოვე, ერთად გვევარჯიშა. არ დამზარდა, ორი კვირა ერთად ვივარჯიშეთ, ფორმა აღვიდგინე, ფინალში გავედი, ცნობილი სერგეი ანდრეევი დავამარცხე და საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი.“

როდესაც ალექსანდრე მეტრეველის ვარსკვლავი ამობრწყინდა, მაშინ მივხვდი ოზეროვის სიტყვების სიბრძნეს: გივი კოკაია არის მნიშვნელოვანი ფიგურა ქართული ჩოგბურთის ისტორიაში, იგი, ასე თქვათ, შემაერთებელი რგოლია 40-იანი წლებისა და შემდგომ თაობებს შორის.

გივი კოკაიამ ჩოგბურთის თამაში მწვრთნელ ვახტანგ (გუგული) დიდიძესთან დაიწყო მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე კორტებზე. 1945 წლიდან გივის მწვრთნელები იყვნენ არამ ხანგულიანი და მარიამ კლდიაშვილი.

1946 წელს გივი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა მოზარდთა შორის და ეს წარმატება მომდევნო წელსაც გაიმეორა.

1948-1949 წლებში გივი კოკაია ამარცხებს საქართველოს ყველა ძლიერ ჩოგბურთელს — ვანო ელერდაშვილს, ბორის კრუპენიკოვს, ბორის სერებრენიკოვს. იმხანად ჩოგბურთელები საზღვარგარეთ არ დადიოდნენ, საერთაშორისო შეხვედრები, ძირითადად, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის ნაკრებებთან იმართებოდა. გივი კოკაია 1948 წლიდან უკვე საბჭოთა კავშირის ნაკრებშია, შეკრებებზე უცხოელ ჩოგბურთელებთან ერთად იყო ლენინგრადში, მოსკოვში, რიგაში, ტალინში.

ათი წლის მანძილზე, 1949-1958 წლებში სპორტსაზოგადოებათა საკავშირო პირველობები ძირითადად მისი გამარჯვებით მთავრდებოდა. გივი კოკაია მრავალჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი, სამჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა სპარტაკიადების ჩემპიონიც გახდა.



გივი კოკაია

1952 წელს თბილისმა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებას უმასპინძლა. ჩვენი გუნდის (ვიქტორ ურაევსკი, ვანო ელერდაშვილი, გოგი ღარიბაშვილი, ოლეგ ბაზილევიჩი) კაპიტანი გივი კოკაია გახლდათ. საქართველოს ჩოგბურთელებმა მხოლოდ ფინალური შეხვედრა დათმეს მოსკოველთა ძლიერ გუნდთან და პირველად ქართული ჩოგბურთის ისტორიაში საკავშირო სარბიელზე ვერცხლის მედლები მოიპოვეს. 1956 წელს გივიმ ისევ უკაპიტნა საქართველოს ნაკრებს საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე.

გივი კოკაია არის ქართული ჩოგბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელი. ის თამაშობდა გააზრებულ, კომბინაციურ ჩოგბურთს მთელ მოედანზე, არასოდეს აგებდა ტაქტიკას სხვის შეცდომებზე და ყოველთვის ცდილობდა, თავისი აქტიური თამაშით მიეღწია წარმატებისთვის. ეს დამახასიათებელი თვისება იყო ქართული ჩოგბურთის საუკეთესო წარმომადგენლებისთვის.

ცხოვრებაშიც ისეთივეა, როგორიც იყო კორტზე — გონებამახვილი, უკომპრომისო და სიცოცხლით სავსე ადამიანი.

გივი კოკაიამ 1958 წელს დაასრულა სპორტული კარიერა.

ახლა 70 წლის ბატონი გივი ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, საინჟინრო აკადემიის წევრი, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებასა და ტექნიკაში.

იგი 105 სამეცნიერო შრომის ავტორია, აქვს 25 საავტორო მოწმობა სხვადასხვა გამოგონებაზე.

45 წლის მანძილზე იგი იკვლევს, ქმნის და ნერგავს წარმოებაში საქართველოს მთიანეთის ტყეების ექსპლუატაციის ეკოლოგიურად სუფთა, ბუნებისთვის უვნებელ ტექნოლოგიურ პროცესებს, რაც ასე აქტუალურია სატყეო მეურნეობისთვის.

მას გვერდს უმშვენებენ მეულლე — ინეზა სანადირაძე, მუსიკისმცოდნე, საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, ორი ვაჟი — მერაბი და ზაზა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორები, ნიუიორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც უკვე ათი წელია მივლინებულნი არიან შვედეთში, ტვინის დაავადებათა საერთაშორისო ცენტრში, სადაც აქტიურად საქმიანობენ ეპილეფსიის, პარკინსონის და ინსულტის სამკურნალო პროცესებისა და პრეპარატების შესაქმნელად.

ბატონ გივის ჰყავს ოთხი შვილიშვილი: თეა, გივიკო, გიორგი და ლუკა, რომლებიც ძალიან ენატრება გივი ბაბუას.

გივი კოკაია ამჟამად საქართველოს საზოგადოება „მერქანის“ ვიცე-პრეზიდენტია და აქაც, როგორც სჩვევია, ერთგულად ემსახურება თავის საქმეს.

ვლადიმერ გოგლიძე
საქართველოს
დამსახურებული მწვრთნელი



REUTERS ტოკიოდან

იან ჟელეზნი



ფრენკ ფრედერიკსი

ენკი-ბენკი გრან პრისა, ფრენკი გავიდა...

მაებაშის ჭერქვეშა მსოფლიოს ჩემპიონატის მერე იაპონიას, აგერ უკვე ორი თვეა, ამოტოლა სამძლეოსნო ამქარი აღარა სწვევია. და მერე რა, რომ ეს ხალხი ტოკიოში ჭერგარე გრან პრიზე საასპარეზოდ ჩავიდა? — არც არაფერიო, გვპასუხობენ იაპონელი მეგობრები და თავიანთი ჭრუტა ღიმილით ტოკიოურ ველ-მინდორზე გამართული შეჯიბრის ამბებსაც გვამცნობენ.

უპირველესად დაბრკოლებებიან 110 მ-ზე ოლიმპიური ჩემპიონის, ამერიკელი ალენ ჯონსონისა ვთქვათ. რაც რომ სეზონი დაიწყო, ეს კაცი ვერ იქნა და ფინიშისკენ დაბრულ ჯგროს ბოლომდე პირველი ვერ მიუძღვა. წინა თვის ბრაზილიურ გრან პრიზე ხომ თანამემამულე ლერი უეიდს დაუთმო, ახლა კი უკანასკნელ მეტრებზე მეორე თანამემამულე, დადლი დორივალთან ჩაიფახა და კვლავაც მეორეს დასჯერდა. თანაც, რიისი არ იყოს, აქაც ბითურად თავის მართლებას მოჰყვა: აქაოდა, ყველაფერი წინაა და ერთი სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატზეც მნახეთ, ვინცა ვარო.

ჩვენ შეიძლება მაგის ბრახი-ბრუხისა უკვე ბევრი არც არაფერი გვწამდეს, მაგრამ დაველოდოთ, იქნებ მართლაც რამეს გამორჩეს...

მანამდე კი ნამიბიელი სპრინტერი, ფრენკი ფრედერიქსი ააშენოს მაღალმა ღმერთმა! აი, ბიჭობა და რამე ვისი გვესმის. რაც კი რამ წლეულს რბოლა გამართულა, ჰაი გიდი, ფრენკის მჯობნელი ვინმე თუ გამოჩენილიყოს. ჰოდა, არც ამჯერად გამოჩენილა. საფირმო 200 მეტრი ბიჭმა დიდოსტატურად ჩაიქროლა და თავისსავე შარშანდელ რეკორდს (19,97) წამის მეათედი ჩამოაკლო — 19,87.

ქება და დიდება 400 მ-ზე მორბენალ ზამბიელ სამუელ მატეტესაც. მას ვერც ბრაზილიაში გაედავა ვინმე და, აბა ახლა ვინღა გაედავებოდა, როცა თავის მაშინდელ შედეგს ლამის 1 წამით უყელა — 47,91. ერთი ის იყო, რომ იაპონელი კაძუხიკო იამაძაკი აღგილობრივი ლიანგის გასახარად ფინიშთან მესამე მივიდა და 48,26-ით ახალი ეროვნული რეკორდიც მიითვალა.

კი მაგარ ფორმაში ყოფილა ჩეხი შუბოსან-მსოფლიოს რეკორდსმენი იან ჟელეზნიც. თავისი გრძელი იარაღი მან ბობოლა 87,57 მ-ზე გატყორცნა და მერე ისე დაიქადნა, რომ მომავალ შეჯიბრზევე 90 მ-იან მიჯნასაც უნდა გადააცილოს.

თავისი ბრაზილიური წარმატება ტოკიოში იამაიკელმა სიგრძეში მხტომელმა ჯეიმს ბეკფორდმაც განავრცო — საამისოდ 8,29 მ-იანი ნახტომი ერთობ საკმარისი გამოდგა.

რაც შეეხება ქალთა განყოფილებას, აქ მოხსენიების ღირსნი უწინარესად დაბრკოლებებიან 100 მ-ზე იოლად ნახერები კანადელი კეტურა ანდერსონი და ტოკიოური გრან პრის პირველი ოქროს ამღები, 800 მ-ზე მორბენალი ბრიტანელი დაიან მოდალი უნდა იყვნენ. თუმცა, გვერდს ალბათ, ვერც 5 კმიანი რბოლის გამარჯვებულს, სახელოვან სტაიერ ქალს ფერნანდა რიბეიროსა (პორტუგალია) და დაბრკოლებებიან 400 მ-ზე საუკეთესოს, ნორჩ რუმინელს იონელა ტირლეას ავუვლით. უხერხულია, სხვა რომ არა იყოს რა.

დანარჩენი კი თქვენ იცით და თქვენმა სტატისტიკურმა მიდრეკილებებმა:

ᲨᲣᲑᲘᲡ ᲢᲧᲝᲠᲪᲜᲐ

1 იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 87.57 მ
2 მაიკ ჰილი (ბრიტანეთი) 84.94
3 კარლო სონეგო (იტალია) 84.60

400 მ ᲗᲐᲠᲐᲯᲠᲑᲔᲜᲘ

1 სამუელ მატეტე (ზამბია) 47.91 წმ
2 ჯოე ვუდი (აშშ) 48.22
3 კაძუჰიკო იამაძაკი (იაპონია) 48.26

200 მ

1 ფრენკ ფრედერიკსი (ნამიბია) 19.87 წმ
2 ობადელე თომფსონი (ბარბადოსი) 20.09
3 რამონ კლეი (აშშ) 20.33

ᲭᲝᲙᲘᲗ ᲮᲢᲝᲛᲐ

1 ტიმ ლობინგერი (გერმანია) 5.70 მ
2 ლოურენს ჯონსონი (აშშ) 5.55
3 ჯეფ ჰარტვიგი (აშშ) 5.55

ᲡᲘᲒᲠᲫᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ

1 ჯეიმს ბრეკფორდი (იამაიკა) 8.29 მ
2 კარინ სტრიტ-ტომსონი (აშშ) 8.04
3 ჯეი ტაურიმა (ავსტრალია) 7.82

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

800 მ

1 დაიან მოდალი (ბრიტანეთი) 2:03.08
2 ქათი რაუნდსი (აშშ) 2:03.92
3 ტემსინ ლუისი (ავსტრალია) 2:04.17

ᲡᲐᲛᲮᲢᲝᲛᲘ

1 ტერეზა მარინოვა (ბულგარეთი) 14.56 მ
2 ივა პრანჯევა (ბულგარეთი) 14.41
3 სარკა კასპარკოვა (ჩეხეთი) 14.28

100 მ ᲗᲐᲠᲐᲯᲠᲑᲔᲜᲘ

1 კეტურა ანდერსონი (კანადა) 12.88 წმ
2 კიმბერლი კერსონი (აშშ) 13.04
3 ფენ იუნი (ჩინეთი) 13.05

5000 მ

1 ფერნანდა რიბეირო (პორტუგალია) 15:13.11
2 შერი კენა (აშშ) 15:13.42
3 მიშიკო შიმიცუ (იაპონია) 15:15.12

400 მ ᲗᲐᲠᲐᲯᲠᲑᲔᲜᲘ

1 იონელა ტირლეა (რუმინეთი) 54.09 წმ
2 დონ ჰემინგსი (იამაიკა) 54.69
3 კიმ ბეტენი (აშშ) 54.94

100 მ

1 სუსანთიკა ჯაისინგჰე (შრი ლანკა) 11.17 წმ
2 სავათედა ფაინზი (ბაჰამის კუბი) 11.18
3 ფილომენა მენსა (კანადა) 11.38

ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲮᲢᲝᲛᲐ

1 მონიკა ვინესკუ (რუმინეთი) 2.00 მ
2 ჰან ჰოგლანდი (ნორვეგია) 1.93
3 ანტონელა ბევილაკვა (იტალია) 1.89

ᲐᲠᲢᲔᲛ ᲩᲐᲩᲐᲜᲘᲫᲔ

ᲕᲐᲨᲕᲘ

800 მ

1 ბალაშ კორანი (უნგრეთი) 1 წთ 47.70 წმ
2 დევიდ კრუმენაკერი (აშშ) 1:47.94
3 რიჩ კენა (აშშ) 1:48.00

5000 მ

1 ჯულიუს გიტაჰი (კენია) 13:05.45
2 სიმონ მაინა (კენია) 13:30.17
3 ჯეფრი შიბლერი (კანადა) 13:39.32

110 მ ᲗᲐᲠᲐᲯᲠᲑᲔᲜᲘ

1 დადლი დორივალი (აშშ) 13.36 წმ
2 ალენ ჯონსონი (აშშ) 13.38
3 მარკ კრიარი (აშშ) 13.42



REUTERS ტოკიოდან

ფერნანდა რიბეირო



იონელა ტირლეა

მარტო ქარი რას უშველიხ...

„მოდესტოს ესტაფეტებად“ წოდებულ სალაბუკო და მუხლებში ქარშესაყენებელ შეხვედრაზე მოხვედრილმა სპრინტერებმა, 100 და 200 მეტრიან ბილიკებზე ამჟამინდელმა მსოფლიოს ჩემპიონებმა — ამერიკელმა მორის გრინმა და ტრინიდადელმა ატო ბოლდონმა კანადელი დონოვან ბეილის მიერ ატლანტის 1996 წლის ოლიმპიადაზე დამყარებული მსოფლიოს რეკორდის (100 მ 9,84 წმ-ში) დამხობა მოიწადინეს. მათ ამ ერთობლივ წადილს საკუთრივ სპორტული ჟინი-მინის გარდა მავან სპონსორთა მიერ აღთქმული 200 ათასდოლარიანი პრემიაც აძლიერებდა. ჰოდა, ბიჭებმაც გასარბენში მთელი ჯიგარი და გაქანება ჩადეს და კაცური შედეგებიც აჩვენეს. ატომ 9,89 წმ მოიმკა, მორისმა — ორი მეასედით ნაკლები. ერთი ეგ იყო, რომ დონოვანის რეკორდსა და, შესაბამისად, აღთქმულ ტუგრიკებს ვერც ერთი შესწვდა და ვერც მეორე, მით უფრო, რომ მათი ოფლიანი ზურგების უკან თურმე მარგებელი ქარიც ქროდა და რბოლას ობიექტურობას უკარგავდა. ზოგიერთი ბოროტი ენის თქმით, ბიჭების სწრაფი შედეგები სწორედ ამ ზურქარის ბრალი უნდა იყოს. მაგრამ ბოლდონსა და გრინზე ჩვენ უკეთესი აზრისა ვართ და ამიტომაც ბოროტ ენებს ვერ ავყვებით.

ხოლო დანარჩენი, თუკი იქ რამე საინტერესო მოხდა, შემდეგნაირად გამოიყურება:

ამერიკელმა მეთარჯრბენე დედიკომ, ანიანეტ კირკლანდმა დაბრკოლებებიან 100 მ-ზე ჯეკი ჯოინერ კირსის მიერ 11 წლის ნაჩვენები ბრწყინვალე 12,70 წმ. გაიმეორა, მეჭოკე სტეესი დრაგილამამ კი თავისივე ეროვნულ-ამერიკული რეკორდი — 4,45მ. მათმა თანამემამულე ინგერ მილერმა კი 100 მ-ზე ფლორენს გრიფიტ-ჯოინერის მიერ ასევე 11-წლიანი რეკორდის დამხობა და საამბისოდ დათქმული 50 ათასი დოლარის დათრევა სცადა, მაგრამ ისე მაგას დაუმშვენდა ეგ ცხვირი, როგორც მის მიერ ნაჩვენებმა 11,06 წმ-მა ფლორენსის 10,49-ს ვერაფერი მოუხერხა. თქვენ კი რაღაც ქარზე მელაპარაკებით! მარტო ქარი რას უშველისო, აბა, სწორედ მაგაზე უნდა იყოს ნათქვამი.



ატო ბოლდონი და მორის გრინი

ხომ ვინდოდათ რძე და ყველი

სამხრეთ აფრიკიდან გუშინ ასეთი ცნობა მოვიდა: იქაურ სამძლეოსნო ფედერაციას (ASA) ქვეყნის 17 უბობოლესი მძლეოსნისთვის ყოველთვიური ჯამაგირის გადახდა განუზრახავს და ეს განზრახვა მათთან წყალგაუვალი კონტრაქტის გაფორმებითაც განუმტკიცებია. კონტრაქტი „ჯამაგირზებული“ ათლეტებისაგან ASA-ს ეგდით მოწყობილ ტურნირებში გამოსვლას მოითხოვს, სანაცვლოდ კი, ხიზილალის და ჩაქაფულის საკმარის ფულს თუ ვერა, რძისა და ყველის საკმარისს კი ნაღდად ჰპირდება. უფრო კონკრეტულად: ხსენებული 17-მძლეოსნიანი ჯგუფი ნამსახურეობისა და გამოჩენილობის მიხედვით 4 კატეგორიად იყოფა. პირველ, A კატეგორიაში „განთესილები“ — 10 000 მ-ზე 1992 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ქალი ელანა მაიერი და მსოფლიოს ამჟამინდელი შუბოსანი ჩემპიონი ვაჟი მარიუს კორბეტი, ყოველწლიურად 12-12 ათას დოლარს მიიღებენ. მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიელთა მონაგარი, შესაბამისად, 10, 7 და 4 ათასი დოლარი იქნება.

„იქნება და ეგრე! აბა, მაგ ხალხმა ვარჯიშზე იფიქროს თუ ლუკმა-პურის შოვნაზე?“, — რიტორიკულად უკითხავს ASA-ს გენერალურ მდივან ბანელე სინდანის და საკუთარი კეთილშობილებით გულაჩუყებულს ბარე ბრილიანტის კურცხლებიც გადმოუყრია. არადა, ამ ქველმოქმედების უკან თურმე მავანი კერძო კომპანია მდგარა, რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ სამხრეთაფრიკელი მძლეოსნების გასახარად ერთ მილიონიან ფოსტას გამოვა, სამაგიეროდ კი ალბათ საგადასახადო თუ სხვა რამ შელავათებს მიიღებს.

თუმცა მძლეოსნებისთვის ფულის წარმომავლობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მათთვის უფრო მნიშვნელოვანი თავად სტაბილური ფინანსური მხარდაჭერის ფაქტია. „სხვა თუ არაფერი, სრულფასოვანი კვების პრობლემა მაინც აღარ მექნება“, - ფიქრობს ბოლო კატეგორიაში ჩარიცხული თარჯმორბენალი, თანამეგობრობის თამაშების ბრინჯაოსმედალოსანი შონ ბაუნზი. მარიუს კორბეტის აზრით კი, ფედერაციის ეს სასიამოვნო წამოწყება ათლეტების „ფინანსური უსაფრთხოების გარანტიაა“. — აწი ის მაინც მეცოდინება, რომ ტრავმის მიღების შემთხვევაში დათვივით ცერა თითის წოვა აღარ მომიწევს“, - ამბობს იგი.

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲔᲚᲐᲣᲠᲐᲫᲔ

ირბინოს, დედამიწა მრგვალია

მერლინ ოტის ასაკის დიაცები ძილის წინ შვილიშვილებს მოუთათუნებენ ხოლმე თავზე ხელს და იავნანას წაუღიღინებენ. აი იამაიკელი მძლეოსანი შინ დაჯდომას კი არა, სპორტიდან წასვლასაც არ აპირებს ჯერჯერობით.

„მას გადაწყვეტილი აქვს, იასპარეზოს 2000 წლის სიდნეის ოლიმპიადაზე, რომელიც, ალბათ, მისი უკანასკნელი დიდი საერთაშორისო შეჯიბრი იქნება“ — განუცხადა ჟურნალისტებს 39 წელმოსრულებული იამაიკელის აგენტმა დენ ციმერმანმა.

უბერებელი მერლინი ჯერ კიდევ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადაზე აქნევდა ხვავრიელ გავასა და კანჭებს, მას შემდეგ სხვადასხვა ტურნირებზე 32 მედალიც მოუგია, მათ შორის ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატების ოქრო 200 მეტრ დისტანციაზე, მაგრამ ოლიმპიური ჩემპიონობა ერთხელაც არ უგემია.

ეჩიდეთ ამ სენს-ს!



REUTERS არქივიდან

რიშარ ვირანკს პარიზის ჟანდარმერიაში ყველაფერი დააფქვევინეს, ფრანკ ვანდენბრუკმა კი პრესკონფერენციაზე ცოდვები თავად აღიარა



REUTERS პლუს სტენერტიდან

ITITJMIS ერთი წელი გავიდა შარშანდელი „ტურ დე ფრანსის“ შემდეგ. მაშინ ატეხილი დოპინგ-სკანდალი კი ჯერაც არ ჩამცხრალა. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო გაღრმავდა. ყველაფერი ეს კი ნამდვილად ლილის (ჩრდილოეთ საფრანგეთი) პროკურატურის გამომძიებლის, ბატონი კეილის დამსახურებაა. კვირის დასაწყისში მან „ფესტინას“ ყოფილი, აწ კი უკვე „პოლტის“ მრბოლი და სკანდალის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა, ფრანგი რიშარ ვირანკი „ფესტინას“ ასევე ყოფილ მასაჟისტ, ბელგიელ ვილი ვოესა და სპორტულ დირექტორ ფრანგ ბრუნო რუსელს დაუპირისპირა.

ამ ამბამდე ერთი დღით ადრე ვოემ სამართალდამცავებს 1991 წლის სეზონიდან მოყოლებული ყველა თავისი ჩანაწერი გადასცა, რომლებშიც აღნუსხული იყო, თუ ვინ, რამდენს და როდის იღებდა დოპინგს. აღმოჩნდა, რომ ყველა სპორტსმენი ნებაყოფლობით სვამდა აკრძალულ ნივთიერებებს და მათთვის ძალა არავის დაუტანებია.

სამშაბათს თავისი უდანაშაულობის მამტკიცებელი რიშარ ვირანკი პარიზის ჟანდარმერიაში გამოიძახეს და მთელი დღით გამოკეტეს საკანში. „თოვლივით სპეტაკმა“ ველომრბოლმა კრიმინალების გარემო დიდხანს ვერ აიტანა და ნაშუადღევს საკუთარი თავი „ჩაუშვა“. „დოპინგს ვიღებდი, რადგან ველოსპორტში უამისოდ ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწევ“ — სხვებსაც მოსცხო ჩირქი ვირანკმა. აღსარება თქვა თუ არა, იგი უმალ გაუშვეს პარიზელმა ჟანდარმებმა.

პოლიციიდან იგი თავის ადვოკატ ჟილბერ კოლართან ერთად პირდაპირ სასტუმრო „ლუტეციაში“ გაემართა და მასმედიისთვის პრესკონფერენცია გამართა.

„არა, რიშარ ვირანკს არ უღიარებია, რომ დოპინგს იღებდა. მან ახსნა თავისი ურთიერთობები თავის ყოფილ ადვოკატ ლაველოსთან და თვითმარქვია ექიმ სენსთან, რომლებიც რაღაც რჩევებს აძლევდნენ ბიოენერგეტიკული საშუალებების გამოყენების თაობაზე. ეს იყო და ეს. სამართალდამცავებმა კი სულ სხვა რამ გაავრცელეს საინფორმაციო საშუალებებით“ — გადათქვა თავისი კლიენტის ნალაპარაკევი კოლარმა.

და ვინ არიან ლაველო და სენსი?

სხვადასხვა წყაროებს თუ დავუჯერებთ, სწორედ ეს ორი ადამიანია დოპინგის საქმეში ყველაზე გამოწრთობილი გაიძვერა. სენსი უამრავ სპორტსმენს (მათ შორის, ლეგენდარულ ბელგიელ ველომრბოლ ედი მერქსს და ფრანგ ავტომრბოლ ალენ პროსტს) ამარაგებდა სხვადასხვა სახის მედიკამენტებით, რომლებიც სპორტში წარმატებების მისაღწევად ერთობ „გამოსადეგი“ ყოფილა. მათი კვალი რომ დაეფარა, იგი თავის „პაციენტებს“ აიძულებდა, ორი ან სამი დღით მშრალად ეშიმშილათ.

ერთ-ერთი პაციენტთაგანი, აბალგაზრდა ბელგიელი ფრანკ ვანდენბრუკი, რომელიც მისმა გუნდმა „კოფიდისმა“ დროებით გარიცხა, აღიარებს, რომ სენსის წყალობით მშვენიერ ფორმას მიაღწია. ამის საფასურად მას ექიმბაშისთვის 57000 ფრანგული ფრანკი (დაახლოებით 20000 ლარი) გადაუხდია მხოლოდ 1999 წელს. სენსთან კავშირი ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის მომგებ და მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში პირველ ადგილზე მყოფ 24 წლის ბელგიელს შეიძლება უფრო ძვირიც დაუჯდეს. 15 მაისს „ჯირო დიტალია“ იწყება და მას ვინძლო სეზონის პირველი უმთავრესი ტურნირის გამოტოვება მოუხდეს.

სენსის „ჩავარდნილი“ პაციენტების მართმსაჯულების კლანჭებისგან დახსნას კი უმეტეს შემთხვევაში ბატონი ლაველო იღებდა თავის თავზე და, ხშირად ახერხებდა კიდეც ველოსიპედისტებისთვის უმწიკვლო სახელი აღედგინა. გასამრჯელოდ რამდენი ერგებოდა ხოლმე, ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

სკანდალს საფრანგეთის სპორტის მინისტრი, ქალბატონი მარი-ჟორჟ ბუფეც გამოეხმაურა. მისი თქმით, საფრანგეთში, სავარაუდოდ, ივნისის პირველ ნახევარში ამოქმედდება ანტიდოპინგური კანონი, მაგრამ მეზობლების დაუხმარებლად, დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მარტო მისი ქვეყანა ვერას გახდება. ამიტომაც ევროკავშირის სპორტის მინისტრების შეხვედრაზე, რომელიც 1 და 2 ივნისს გერმანიაში გაიმართება, ბუფე თავისი კოლეგებისგან აქტიურ მხარდაჭერას ელის.

გაგი გურული

ჩეხური ასკინკილა



REUTERS დეტროიტიდან

დეტროიტელმა კრის დრეიპერმა მილან ჰეიდუკი ბორტს მიღმაც მოისროლა და კოლორადოელებს ფერხთითაც დაუგდო

STANLEY CUP PLAYOFFS

11 მაისი

დასავლეთი

კოლორადო — დეტროიტი 1:2

დეტროიტი — კოლორადო 3:5

1:2 1:3 1:0

1:0 აიზერმანი 7'07 (9); 1:1 ლემიე 11'00 (2); 1:2 ფლერი 16'59 (5); 1:3 ჰანტერი 22'50 (1); 1:4 დრური 23'42 (1); 1:5 მილერი 25'05 (1); 2:5 ჰოლმსტრიომი 29'09 (4); 3:5 კოზლოვი 59'25 (4)

პლეი ოფი ისეთი რამაა, დეტროიტი რომ დეტროიტია, იმანაც კი წაიფორხილა და 11-მატჩიანი მოგებათა სერიაც შეუწყდა (დალასთან შარშანდელი ნახევარფინალის მეხუთე შეხვედრაში დამარცხების შემდეგ არ წაეგო). აწი ბრძოლა, ალბათ, უფრო გამძაფრდება, არადა, „წითელფრთიანებს“ აქამდე არ უნდა მიეყვანათ საქმე. ჩინებულად მოთამაშე სტივ აიზერმანს მატჩის დასაწყისშივე შეეძლო მთლიანად სერიის ბედის გადაწყვეტა, მაგრამ პირველი გოლის გატანის შემდეგ ძელს გაარტყა შაიბა. ქებათა ქება კოლორადოს — იგი არ დაიბნა, ინიციატივა ხელთ იგდო და დატროიტელთა მეკარე ბილ რენფორდის პრობლემაც მოაგვარა.

„ეველანშმა“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წლეულს პლეი ოფში სტუმრად უკეთ თამაშობს. „ვფიქრობ, შინ ემოციებს ავყვებით ხოლმე — გვინდა, ქომაგებს ვასიამოვნოთ. სტუმრად კი უფრო მარტივად და საიმედოდ ვთამაშობთ. გარდა ამისა, უკან დასახევი გზა აღარ გვქონდა“ — ასე ახსნა კოლორადოს გამარჯვება მისმა ლიდერმა პეტერ ფორსბერგმა.

მოგეხსენებათ, სერიის პირველ მატჩში შენაჰანთან უხეშობისთვის ფორსბერგი გაძევეს, რამაც მაშინ გადამწყვეტი როლი ითამაშა და ახლა შვედმა დანაშაული გამოისყიდა. სწორედ მის მიერ წამოწყებული ორი კომბინაციის შემდეგ დაწინაურდა კოლორადო და უპირატესობა ხელიდან აღარც გაუშვა. ამას მეორე პერიოდის დასაწყისში კიდევ სამი შაიბა მოჰყვა და გაწბილებულმა ბილ რენფორდმა სათადარიგოთა სკამს მიაშურა. იგი შესანიშნავად შეცვალა პატრიკ რუამ და ბოლო მესამედში (20 დარტყმა მოიგერია) მასპინძლებს ერთ გოლზე მეტი არ გაატანინა.

რაც შეეხება დეტროიტელ „პოლიციელ“ დეილ ჰანტერს, რომელიც წინა შეხვედრაში სრულიად უწყინარ სიტუაციაში დაჯარიმების გამო მკაცრად გააკრიტიკეს, მან ამჯერად კორექტულად ითამაშა და მეტად მნიშვნელოვანი მესამე შაიბა შეაგდო.

ტორონტო — პიტსბურგი 1:2

პიტსბურგი — ტორონტო 4:3

0:0 2:3 2:0

0:1 ჯონსონი 28'21 (2); 1:1 ჰეჩერი 10'42 (2); 1:2 დ. კინგი 32'19 (1); 2:2 დოლასი 32'45 (1); 2:3 მეირი 32'58 (1); 3:3 იაგრი 49'03 (3); 4:3 შლეგრი 50'43 (1)

„იაგრი ნამდვილად საუკეთესო. კაცი ცალ ფეხზე დგას და მინც დიდებულად თამაშობს“ — თქვა მატჩის შემდეგ თანგუნდელის ოსტატობით გაოცებულმა მეკარე ტომ ბარასომ და ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი. პიტსბურგის ლიდერი ჯერ კიდევ პლეი ოფის დასაწყისში დაშავდა, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ტრავმა ბოლომდე ვერ მოირჩინა, თავისიანების დასახმარებლად უყოყმანოდ გავიდა ყინულზე. სერიის პირველი მატჩის შემდეგ ჩეხს კვლავ გაურთულდა ტრავმა, მაგრამ მესამე თამაშში ისევ შეუერევია. ეს იყო, 3 (1+2) ქულა მიითვალა და მესამე შაიბაც შეაგდო კერტის ჯოზეფის კარში. იაგრი მეოთხე საგოლე კომბინაციაშიც მონაწილეობდა, თუმცა მთავარი წვლილი ამ გოლში მაინც ალექსეი კოვალიოვს მიუძღვის: მან შესანიშნავი პაუზა გააკეთა, ორი მცველი ყინულზე დაწვინა და ირეკ შლეგრს უზუსტესად მიაწოდა.

პიტსბურგის გამარჯვებია მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ გუნდის მწვრთნელის, კევინ კონსტანტინის წინასწარმეტყველებისა არ იყოს, მისმა შეგირდებმა შეძლეს თამაშში გარდატეხის შეტანა და მატჩი, რომელიც თავდაპირველად კანადელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, მთლიანად შეატრიალეს. ისიც ხომ გასათვალისწინებელია, როგორი გუნდია ტორონტო — იგი დაწინაურების შემდეგ მოგებას იშვიათად უშვებს ხელიდან. „თავად განსაკეთ — პირველ რაუნდშიც, ნიუ ჯერსისთან, ამგვარი რამ სწორედ მესამე მატჩში შევძელით“ — განაცხადა კონსტანტინმა, თუმცა იმავე პირველ რაუნდში ტორონტომაც აჩვენა, რომ უდიდესი ნებისყოფის გუნდია. ერთი სიტყვით, ამ სერიაში ჯერ ყველაფერი წინაა.

ბომბარდირები: ფლერი (კოლორადო) 14 (5+9); სტრაკა (პიტსბურგი) 13 (6+7); საკიკი (კოლორადო) 13 (3+10); აიზერმანი (დეტროიტი) 12 (9+3); კოვალიოვი (პიტსბურგი) 11 (4+7)

სამველ ღარიბიანი

დეტროიტის ერთ-ერთ წამყვან მოთამაშეს, იგორ ლარიონოვს შეიძლება ერთობ უსიამოვნო პრობლემები გაუჩნდეს. ვინმე კარლ ლინდკვისტმა, სამშენებლო ფირმის მეპატრონემ, სარჩელი წარადგინა. მისი თქმით, შარშან ფირმამ კონტრაქტი გააფორმა ჰოკეისტთან მისი ორი სახლის შეკეთების თაობაზე. ლარიონოვები ერთ-ერთ მათგანს გასაყიდად ამზადებდნენ და კაპიტალური რემონტი მოისურვეს.

ლინდკვისტის თქმით, ჰოკეისტს 600 დოლარი მარტო ანტიკვარული ლამპარის გაახლებაში უნდა გადაეხადა. თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ ეს ფაქტები სინამდვილეს შეეფერება, ლარიონოვი დაახლოებით 300 ათასი დოლარით დაზარალდება. გარდა ამისა, მას ლინდკვისტის მიერ დაქირავებული ვექილების გასტუმრებაც მოუწევს.

ამასობაში ლარიონოვმა კოლორადოსთან მეორე თამაშში თითი მოიტეხა და მინიმუმ ორი მატჩის გამოტოვება მოუწევს.

***

ფილადელფია ნაადრევად გავარდა პლეი ოფიდან, მაგრამ მისი უფროსები მაინც კმაყოფილნი დარჩნენ მარკს რეკის თამაშით და ფორვარდთან ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს, რომლის საფინანსო დეტალებიც უცნობია. „კვლავ მაღალი დონის გუნდად რომ დავრჩეთ და თასის მოპოვება დავგეგმოთ, წამყვანი მოთამაშეები უნდა შევინარჩუნოთ. ასე რომ, დღეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით“ — თქვა გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ბობი კლარკმა. შეგახსენებთ, რომ რეკი (სხვათა შორის, ფორვარდმა კარიერაში 333 გოლი და 509 პასი დააგროვა, ხოლო თავის დროზე, 1992-93 წლების სეზონში, 123 (53+70) ქულა მიითვალა), მარტში გადავიდა ფილადელფიაში მონრეალიდან. 31 წლის რეკი მოქმედ მოთამაშეთა შორის ყველაზე ხანგრძლივი, 570 თანმიმდევრული თამაშის სერიითაა ცნობილი.

მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია

ISHOCKEY VM '99
LILLEHAMMER - HAMAR - OSLO
1.mai - 16.mai

11 მაისი

მე-9-12 ადგილებისთვის

ბელარუსი — ლატვია 2:1

ავსტრია — ნორვეგია 3:0

ბელარუსი	3	0	0	7:3	6
ავსტრია	2	0	1	10:5	4
ლატვია	1	0	2	10:8	2
ნორვეგია	0	0	3	1:12	0

ბელარუსმა და ავსტრიამ შეინარჩუნეს ადგილი უძლიერესთა შორის.

უფლება არის, შესაძლებლობა — არა

ჩემპიონატის მსვლელობისას ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ (IIHF) კვლავ აამოქმედა შარშან გამოყენებული წესდება, რომლის მიხედვითაც ნახევარფინალში გასულ გუნდებს 5 ახალი მოთამაშის შემატება შეუძლიათ. თუმცა, სამწუხაროდ, ნჰლ-ის პლეი ოფის მეორე რაუნდის დასრულება არ ემთხვევა ჩემპიონატის დასკვნით ეტაპს. რაც შეეხება ნჰლ-ის იმ კლუბებს, რომლებმაც უკვე დაასრულეს სეზონი, მათი მოთამაშეები კარგა ხანია, ისვენებენ, ასე რომ, საეჭვოა, ოკეანის გაღმა დარჩენილმა ჰოკეისტებმა ნახევარფინალში გასულ გუნდებს რაიმე სერიოზული დახმარება გაუწიონ. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ ტრავმირებულ მოთამაშეებს შეენაცვლონ. აკი ერთ ახალ ნჰლ-ელს უეჭველად ვიხილავთ — ერიკ დაზეს ნაცვლად, რომელიც ტურნირს ტრავმის გამო გამოეთიშა, კანადელებს ფინიქსელი ძალისმიერი ფორვარდი ჯეისონ დოიგი შეემატათ.



REUTERS მონაკოდან

ქველმოქმედების ფორმულა

მავანი მონაკოური ასოციაცია, რომელსაც თავად პრინცი ალბერი (ზედა მარცხენა ფოტოზე შუაში) უნდა მეურვეობდეს, შიგადაშიგ მსოფლიოს შეჭირვებული ბალღობისათვის სხვადასხვა სახის საქველმოქმედო ღონისძიებებს აწყობს. აი, გუშინწინ, მაგალითად, მონაკომ ფორმულა 1-ის მრბოლებისა და „რაგინდარა ვარსკვლავთა“ ნაკრებების ამხანაგურ შეხვედრას უმასპინძლა. ამ ამბავს პატივი ისეთმა გამოჩენილმა ადამიანებმაც დასდეს, დიადი მეფორმულე მიხაელ შუმახერი (ქვედა ფოტოზე მარჯვნივ) და მისი ნაკლებ სახელოვანი კოლეგა დევიდ კულჰარდი (მარჯვენა ფოტო), ესპანელი მერალე კარლოს საინსი, გოროზ-მარიაჟი იტალიელი სამთომოთხილამურე ალბერტო ტომბა და ძმანი მათნი რომ არიან. მათი მარნისკარაჭრიალებულისა და ყელისჩამმაჭრიანებელი მასპინძლის როლს კი, რასაკვირველია, მისი უდიდებულესობა პრინცი ასრულებდა... რამდენად კარგად ეგ ჩვენ არ ვიცით, მატჩი კი ვისთვის სასეირო, ვისთვის სამასხარაო გამოდგა და ვარსკვლავთა გამარჯვებით, 5:2 დასრულდა.

კრეტიენული კალათბურთი

REUTERS ონტარიოდან

აქამდე, მეთქი, მარტო რუსების ბაბაია ყანყალებს... თურმე საქმეში ხაარ? აგერ, კანადის პრემიერი, ჟან კრეტიენი რო საღ-სალამათი და სალავათ-იულაევი მეგონა, თურმე ვცდები, ძმაო, ეგ ყველაფერი საეკრანო იმიჯ-პონტები და რაშე ყოფილა და მეტი არაფერი. თორემ ვერ ხედავ, როგორც კი თავს უფლება მისცა, ცოტა „არაპრატაკოლნად“ მოქცეულიყო, ეგრევე გაიყიდა... კოსოველ ლტოლვილებს კი, საწყლებს, იმის იმედი ჰქონდათ, კანადა კარგად მიგვიღებს, კრეტიენი შავარი ბიძაათ... მოკლედ, როცა საჭირო არაა, სპორტული ნიჭის გამოვლენას მოერიდე. თორემ ხომ ხედავ, ბიძამ, აქაოდა, ბავშვებს კალათბურთს გავეღადავებით და... „რა მწარე ყოფილხარ კანადის მიწავ“, შერე სულ ეგეთები უძახია. აი, იქა, ონტარიოში, ანგუსის სამხედრო ნაწილში, სადაც აწი ალბანელ ბაჭაჭყანებს კალათბურითს გახსენებაზე ყოველთვის მტვერში გაფარჩხული კანადელი პრემიერი გაახსენდებათ.

ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ნორვეგია



ISHOCKEY VM '99

LILLEHAMMER - HAMAR - OSLO

1.mai - 16.mai

12 მაისი. ნახევარფინალი

ლილეჰამერი

ფინეთი — შვედეთი 3:1

0:0 2:1 1:0

ფინეთი: ტუომაინენი (23'38), ჰელმინენი (29'09), კარალაჰტი (50'17)

შვედეთი: სუნდსტრომი (33'38)

ლილეჰამერი

კანადა — ჩეხეთი 2:1

1:0 1:0 0:1

კანადა: რიდენი (04'01), სტილმანი (35'35)

ჩეხეთი: კუბინა (53'43)

REUTERS ლილეჰამერიდან

ფინეთი — შვედეთი: ფინელმა ენტი ტორმანენმა (მარჯვნივ) შვედი ანდერს ერიკსონის ხმალივით მოქნეულ ყვანჯს თავისი ყვანჯი ფარივით შეაგება

გერმანია

ჰანოვერი 3:1 ურდინგენი

1:0 კროიცი (63), 1:1 ვოსენი (15), 2:1 ადო (41), 3:1 ლალა (90)

ჰოლანდია

როდა 1:0 ფეიენოორდი

1:0 ლავალი (76)

ინგლისი

ბლეკბერნი 0:0 მანჩესტერი

REUTERS ბლეკბერნიდან

ბლეკბერნი — მანჩესტერი . მანჩესტერელ რაიან გიგზს მასპინძელთა მცველს დაასწრო

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ ბურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29